

ნესტან ლომაია







პიროვნების სოციოლოგია

2012

ნესტან ლომაია

პიროვნების სოციოლოგია

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

უაკ(UDC) 316.61
ლ-81

წინამდებარე ნაშრომი ეხება „პიროვნების სოციოლოგიის“ მნიშვნელოვან საკითხებს. ნაშრომში განხილულია, სხვადასხვა სოციოლოგიური შეხედულებები, კონცეფციები და მიდგომები პიროვნებასთან მიმართებაში. საზოგადოება, წარმოდგენილია როგორც ადამიანთა აქტიურობის შედეგი და მუდამ ცვალებადი, რადგან თავად ადამიანი მოქმედი არსებაა და მისი შესწავლა ხდება აქტივობის, მოქმედების, ქცევის პროცესში.

სოციოლოგიისადმი ინტერესის ესოდენ მომძლავრების ვითარებაში აუცილებელია პიროვნების განხილვა მისი ადგილი და როლი საზოგადოებაში. ნაშრომი საინტერესო იქნება, როგორც სოციოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, ასევე სოციოლოგიით დაინტერესებული მკითხველისათვის, რადგან იგი შეასრულებს გზამკვლევის როლს სოციოლოგიის მეცნიერების ლაბირინთებში შესაღწევად.

რედაქტორი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალ–პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **ამირან ბერძენიშვილი**

რეცენზენტი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი **ვალერიან რამიშვილი**

© ნ. ლომაია, 2012

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-704-0

შესავალი

ნებისმიერი სოციოლოგიური თეორია იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობა პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, როგორია პიროვნების ქცევის კანონზომიერება.

ადამიანი ყოველთვის ფიქრობდა და ფიქრობს საკუთარ თავზე, თავის ადგილზე საზოგადოებაში, საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებზე, იმაზე იგი თვითონ განაგებს საკუთარ ბედს თუ უძლურია.

„ადამიანი“, „პიროვნება“, „ინდივიდი“, „ინდივიდუალურობა“ ამ ცნებებს ხშირად ვიყენებთ გამოთქმებში ამა თუ იმ კონტექსტში. ხშირად მათ სინონიმებადაც იყენებენ, მაგრამ თუ ჩვენ გადავალთ თვითოეული მათგანის დეტალიზაციაზე დავინახავთ, რომ იმავე წამს თავს იჩენს აზრობრივი თუ შინაარსობრივი დატვირთვა.

ეს ცნებები დავახასიათოთ ეპოქისა და საზოგადოებრივი წყობის თვალსაწიერიდან, რამეთუ მათი შინაარსობრივი არსი სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ჟღერდა.

ადამიანი – უზოგადესი გვაროვნული ცნებაა და იწყებს თავის ისტორიას „homosapiens“ -იდან. საზოგადოების არსებობა შეუძლებელია ადამიანების, მოაზროვნე არსებათა გარეშე. საზოგადოებას ქმნიან მხოლოდ ადამიანები, რომელთაც აქვთ შეგნებული აქტიურობის, შრომის, საკუთარი მოთხოვნილებისამებრ ბუნების მიზანდასახული გარდაქმნისა, და მატერიალური დოვლათის მოპოვების უნარი. შრომა არის ადამიანთა მიზანმიმართული მოქმედება, რომელიც აუცილებელია საარსებო ღირებულებების შესაქმნელად. შრომის პროცესში სამი ელემენტია გაერთიანებული: შრომის საგანი – ყოველივე ის, რის გარდასაქმნელადაც ადამიანი მიმართავს თავის შრომას; შრომის საშუალებები – ნივთები ან მათი კომპლექსები, რომლებსაც ათავსებს იგი თავის თავსა და ბუნებას შორის, რათა

მათი გამოყენებით შეცვალოს და გარდაქმნას შრომის საგანი: და საკუთრივ მიზანდასახული მოქმედება, რომელიც შრომის საგანს აკავშირებს შრომის საშუალებებთან, ადამიანის უნარის მწარმოებლური ხარჯვის გზით. ადამიანი შეგნებულ, მიზანდასახულ ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, რათა საკუთარ მოთხოვნილებებს დაუმორჩილოს იგი. ადამიანს წინასწარვე აქვს გაცნობიერებული შრომის საგნის გარდაქმნის გზები და ხერხები, საკუთარი საწარმოო საქმიანობის საბოლოო შედეგები.

შრომა და წარმოება ერთი და იგივე ცნებაა, ორივე ადამიანის წინასწარგააზრებულ შეგნებულ ქმედებას გულისხმობს, და წარმოების პროცესი ემთხვევა შრომის პროცესს. მაგრამ წარმოებისა და შრომის ცნებები მთლიანად არ ემთხვევა ერთმანეთს. თუ ცნება „შრომა“, უპირატესად ადამიანის გარკვეულ, მიზადასახულ საქმიანობას გამოხატავს, ცნება „წარმოება“, ფართო მნიშვნელობით, მოიაზრება არა, როგორც წარმოების მთლიანი ციკლი განაწილების, გაცვლის და მოხმარების ელემენტების ჩათვლით არამედ, წარმოებული პროდუქტის მოძრაობა ინდივიდუალურ მითვისებამდე.

ადამიანის განვითარება, მისი შრომის სრულყოფის მაჩვენებელია, შრომის იარაღების. განვითარებამ, ბუნებრივია გაზარდა სარგებელი. კაცობრიობის ისტორიის საწყის ეტაპებზე ჩვენს შორეულ წინაპრებს შრომის საშუალებათა შექმნა არ შეეძლოთ. შრომის იარაღად იყენებდნენ ბუნებისაგან ნაბოძებ მზა საგნებს: მაგალითად ქვას – სასროლად, სახეხად, საჭრელად, კეტს–ნაყოფის ჩამოსაგდებად, თავის დასაცავად და ა.შ. თანდათანობით, საარსებო საშუალებების მოპოვების პროცესში ადამიანებმა შრომის იარაღების კეთებაც ისწავლეს. გაჩნდა ქვის, ძვლის, ხის ნიჟარების მარტივი სამუშაო იარაღები. შრომა არის საზოგადოებრივი მოვლენა, მხოლოდ ადამიანებს აქვთ შრომის წარმოების იარაღების შექმნისა და გამოყენების უნარი, მხოლოდ მათ შეუძლიათ შეგნებული მოქმედება მატერიალური დოვლათის მოპოვების მიზნით. ამრიგად, შრომის იარაღების შექმნა და გამოყენება სპეციფიკურად ადამიანურ მოქ-

მედებას შეადგენს. მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი მიზანდასახული, შეგნებული საქმიანობა, რასაც ვერ შევხვდებით ცხოველთა სამყაროში.

ადამიანის მიზანმიმართულმა, შეგნებულმა საქმიანობამ, შრომამ, შრომის იარაღების კეთებამ და გამოყენებამ დააშორა იგი ცხოველთა სამყაროს და ახალი, საზოგადოებრივი ყოფიერება შეუქმნა. მისცა მას ყველაფერი, რასაც ვერასოდეს მიიღებდა ბუნებისაგან, საკუთარი აქტიური მოქმედების გარეშე. შრომამ შეცვალა ადამიანის გარემომცველი სინამდვილე, მისი საშუალებით თვით მოაზროვნე სუბიექტის – ადამიანის ორგანიზმი ცხოველებისათვის უცხო ცხოვრების წესს შეეწყო და შეეგუა. ხანგრძლივი ისტორიული არსებობის პროცესში ადამიანებმა გამოიმუშავეს მრავალფეროვანი შრომითი საქმიანობის უნარი, სულ უფრო მოხერხებულად და მარჯვედ გამოიყენეს ხელი, გონება, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, მაგრამ უფრო და უფრო რთული ოპერაციებისა და მოქმედებების შესასრულებლად.

გონებისა და ხელის სრულყოფის პარალელურად, ადამიანში სხვა არსებითი ცვლილებებიც ხდებოდა. საერთო მოქმედების სარგებლიანობის შეგნებამ, მძლავრი მეტყველების ორგანოს – ენის, აზრთა ურთიერთგაცვლისა და ურთიერთგაგებინების საშუალებას, განვითარებას მისცა ბიძგი. მთელი ძალით ამოქმედდნენ ადამიანის, გონითი არსების დამახასიათებელი სულიერი პროცესები. ამრიგად შრომა, შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენების უნარი ადამიანის – ბიოსაოციალური არსების ერთ–ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშნად იქცა.

ამერიკელი ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, პირველყოფილი საზოგადოების მკვლევარი ლ. მორგანი (1818-1881) თავის წიგნში – „ძველი საზოგადოება“ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საზოგადოების ფორმირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა აქტიურ გარდამქმნელ დამოკიდებულებას ბუნებისადმი. მეტიც მორგანმა კაცობრიობის განვითა-

რების ეტაპები საარსებო საშუალებათა წარმოების სფეროში განხორციელებულ ცვლილებებს დაუკავშირა. ამ საფუძველზე მან გამოყო სამი ისტორიული ეპოქა კაცობრიობის განვითარებაში: ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია, და რომელთაგან მისი მტკიცებით, თითოეულმა სამი საფეხური განვლო.

მორგანი ველურობას ადამიანთა „მოდგმის ბავშვობას“ უწოდებდა. ამ ეპოქის დამახასიათებელ ნიშნად მას უმთავრესად ადამიანის მიერ მზამზარეული ბუნებრივი პროდუქტების: მცენარეთა ნაყოფის, ფესვებისა და ა.შ. მითვისება მიაჩნდა. მორგანის თანახმად, ამ ისტორიული ეპოქის მთავარი მიღწევები პირველ საფეხურზე – დანაწევრებული მეტყველების განვითარება იყო, მეორე საფეხურზე – თევზის საკვებად გამოყენება და ცეცხლის მოხმარება, ხოლო მესამეზე – მშვილდისრის გამოგონება იყო.

მეორე ეპოქის – ბარბაროსობის ეპოქის პირველი საფეხური მეჭურჭლეობის გაჩენით, ცხოველთა მოშინაურებითა და მცენარეთა გაშენებით, კულტურული მარცვლეულის გამოყენებით, ხოლო მეორე საფეხური საკვები მცენარეების მორწყვით, სამშენებლო მიზნით მზეზე გამომშრალი აგურის გამოყენებით, მწყემსური ცხოვრების წესის შემოღებით აღინიშნა. ბარბაროსობის ეპოქის მესამე საფეხურზე ადამიანები, რკინის გამოდნობის ჩვევებსაც დაეუფლნენ, რკინის კავ–სახნისს ამზადებდნენ, და მემინდვრეობას ავითარებდნენ. ეპოქის დამლევისათვის ისინი უკვე გაუმჯობესებული რკინის იარაღებით, სამჭედლოს საბერველით, ხელის წისქვილით სარგებლობდნენ. ლითონის დამუშავებამ იმ დონეს მიაღწია, რომ მხატვრულ ხელოვნებაშიც კი გადავიდა, ისწავლეს ურმის კეთება, გემების მშენებლობა და ა.შ.

ბარბაროსობის ეს საფეხური ასოებრივი დამწერლობის, გამოგონებისა და სიტყვიერი შემოქმედების ჩასაწერად იქნა გამოყენებული. ასე შეცვალა ბარბაროსობის ეპოქა – ცივილიზაციის ეპოქამ.

შრომითი საქმიანობა, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნეილებაა, საზოგადოებაში არსებობისათვის და, იგი სპეციფიკურ როლს ასრულებს სოციუმისათვის აუცილებელ ფაქტორთა სისტემაში. სწორედ შრომით იქმნება მატერიალური დოვლათი, რითაც ადამიანი იკმაყოფილებს თავის შინაგან მოთხოვნილებებს. ადამიანთა, შრომა ბუნების გარდაქმნა თავის სასარგებლოდ, ინდივიდთა არსებობის აუცილებელი პირობაა, ხოლო თვით შრომის დანაწილება ადამიანთა შორის ეკონომიკური კანონზომიერებით აიხსნება. შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას განსაზღვრავს მატერიალური და სულიერი ღირებულებების შექმნა. აწარმოებენ რა მატერიალურ დოვლათს, ადამიანები ამით აწარმოებენ და კვლავ წარმოებენ თავიანთ საკუთარ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

ადამიანი, დასაბამიდანვე საზოგადოებაში ცხოვრობს და ვითარდება. თავდაპირველად ადამიანისათვის ეს საზოგადოება იყო პატარა კოლექტივი – გვარი, ტომი, რაც ამავე დროს ეთნიკურ ერთობასაც წარმოადგენდა, სადაც გაერთიანება ემყარებოდა სისხლის ნათესაობით კავშირს, საწარმოო უჯრედებსაც ვინაიდან ადამიანები ერთობლივად მოიპოვებდნენ საარსებო საშუალებებსაც – სოციალური ორგანიზაციის ფორმებსაც, ენობრივ ერთობასაც. ერთობლივი შრომის აუცილებლობა ნაკარნახევი იყო განცალკევებული ინდივიდის სისუსტით ბუნების სტიქიური ძალების წინაშე, იმისათვის რომ გადარჩენილიყვნენ, ადამიანები კოლექტივებად უნდა გაერთიანებულიყვნენ.

ერთობლივი საქმიანობა (შრომის სქესობრივ–ასაკობრივი დანაწილების დროს,) თანასწორობა განაწილებაში, ქცევის მკაცრი რეგლამენტაცია და ინდივიდის სრული დაქვემდებარება, გვარის გადაწყვეტილებებისადმი (ტაბუ), არსებობისათვის საბრძოლველად ახალგაზრდა თაობის მომზადების შემუშავებული სისტემა ახასიათებს კაცობრიობის ცხოვრების ამ პერიოდის სოციალურ ურთიერთობებს, რაც მრავალი ათასწლეულობით გრძელდებოდა. აქ თვალსაჩინოდ, მთელი თავისი პირ-

ველყოფილი სიმარტივით ჩანს ცხოვრების წესისა და ურთიერთობათა მთელი სისტემის დამოკიდებულება წარმოების დონეზე. პირველყოფილი თემური ფორმაცია საყოველთაოდ ვრცელდებოდა. მის ფარგლებში, მართალია, ძალზე ნელა, მაგრამ განუხრელად მიმდინარეობდა საწარმოო ძალების განვითარება. ადამიანის შრომა სულ უფრო ნაყოფიერი ხდებოდა. წარმოიშვა შრომის დანაწილება მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში, ხელოსნობაში. ტომთა შორის გაჩნდა გაცვლა ეკონომიური კავშირის ახალი ფორმა, გამოვლინდა შრომის იარაღების ინდივიდუალური ხასიათი, შეიქმნა პროდუქტების დაგროვების, გადანაწილების, საზოგადოების მცირე ნაწილის ხელში სიმდიდრის თავმოყრის შესაძლებლობა. ამ სიმდიდრედ თვით ადამიანიც შეიძლებოდა ქცეულიყო, ვინაიდან სამუშაო ძალის ექსპლუატაცია ეკონომიურად ხელსაყრელი იყო. მიწათმოქმედება მოითხოვდა ბინადარი ცხოვრების წესს, ხოლო ხელოსნობის განვითარებამ და პროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობის გაჩენამ ადამიანებს საშუალება მისცა შეექმნათ ქალაქის მოსახლეობა. ყოველივე ამან გამოიწვია პირველყოფილი კოლექტიურობის დაშლა და პრიმიტიული პირველყოფილი თანასწორობის ურთიერთობის დარღვევა. მას ცვლიდა კლასობრივი საზოგადოება კერძო საკუთრებით და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრით.

კლასობრივი საზოგადოება ყველგან ერთდროულად არ აღმოცენებულა. თავდაპირველად იგი წარმოიშვა მდინარეების ხუახეს, ნილოსის, განგის, ტიგროსისა და ევფრატის ხეობებში. ამ ადგილების ნაყოფიერი და ადვილად დასამუშავებელი ნიადაგი გაცილებით კარგ მოსავალს იძლეოდა, მიწათმოქმედების ყველაზე პრიმიტიული იარაღების გამოყენებითაც კი და სწორედ ამან განაპირობა აქ, ყველაზე ადრე პირველყოფილი თემის – დაშლა, რასაც მოყვა, მონათმფლობელური საზოგადოების წარმოშობა, საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად: მდიდრებად და ღარიბებად. გაჩნდა მონობა.

იქ, სადაც მონობა საზოგადოებრივი წარმოების საფუძველი გახდა, მონათმფლობელური საზოგადოება წარმოიშვა. თავის აყვავებას და კლასიკურ ფორმებს მან ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში (საბერძნეთი და მისი კოლონიები, კართაგენი, რომი და რომის იმპერია) მიაღწია. აქ მონებს უმთავრესად დაპყრობის გზით იძენდნენ, მონების მასის ჩაგვრა, მონათმფლობელების სიმდიდრის წყარო იყო. მონური შრომის საფუძველზე ვითარდებოდა ანტიკური სამყაროს მთელი სოციალური ორგანიზაცია და კულტურა.

ფეოდალური საზოგადოება, უფრო მაღალი საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაცია იყო მონათმფლობელურ საზოგადოებასთან შედარებით. ამ საზოგადოების მატერიალურ–ტექნიკური ბაზა იგივე იყო ანუ, ინდივიდუალური გამოყენება შრომის იარაღების, ხელოსნობა, მიწათმოქმედება და მეცხოველეობა შეადგენდა, მათი ძირითად საქმიანობას, რაც პროგრესული იყო წინანდელ საფეხურთან შედარებით.

უშუალო მწარმოებლის შრომით გარკვეული დაინტერესებისა და მონათმფლობელობის პირობებთან შედარებით სამუშაო ძალის კვლავწარმოების უკეთესი პირობების შექმნით ფეოდალიზმმა უფრო მეტად გააფართოვა საწარმოო ძალების განვითარების საზღვრები, ვიდრე წინა ფორმაციებმა. ამასთან ერთად ფეოდალიზმი არის საზოგადოება, რომელიც ძალზე ნელა იცვლება, დამყაყებული ტექნიკა, ადგილობრივი კარჩაკეტილობა და განცალკევებულობა, მიმოსვლის გზების და კავშირგაბმულობის სუსტი განვითარება, საქმიანობის ყველა სახეობისათვის მკაცრი და უცვლელი განრიგის დაწესება, ტრადიციების ზეგავლენა, სულიერი ცხოვრების უხეში რეგლამენტაცია ეკლესიის მხრივ, რელიგიის ბატონობა იდეოლოგიის სფეროში პროგრესულ ცვლილებებს ამუხრუჭებდა. ცხოვრება ტრიალებდა დახშულ წრეში, ერთხელ დაწესებული რიტმით. მაგრამ ფეოდალური წყობილების პირობებში ნელ–ნელა და ფარულად მზადდებოდა მატერიალური წინამძღვრები ცხოვრების ახალ სოციალურ ფორმაზე გადასასვლელად. შრომის

დანაწილების განვითარებამ, სასაქონლო–ფულადი ურთიერთობის ზრდამ, ახალი ბაზრების გაჩენამ და ა.შ. სამოქმედო ასპარეზზე გამოიწვია ახალი საწარმოო ძალები, კოოპერაცია და მანუფაქტურა, რომლებმაც მოამზადეს პირობა მანქანური წარმოების წარმოშობისათვის. ახალი საწარმოო ძალები მოითხოვდა აგრეთვე ახალ ეკონომიურ და სოციალურ ფორმებს, რომლებიც გასაქანს მისცემდნენ მათ განვითარებას. ამიტომ ფეოდალიზმს ახალი საზოგადოებრივ–ეკონომიური ფორმაციისათვის – კაპიტალიზმისათვის უნდა დაეთმო ადგილი.

კაპიტალიზმის დროის ისტორია მსოფლიო ისტორიაა ამ სიტყვის სრული გაგებით, ვინაიდან ისპობა ცალკეული რაიონების ყოფილი იზოლირებულობა და სხვადასხვა ხალხის შეფარდებითი განცალკევებულობა. პირველად იქნება მეურნეობის ერთიანი მსოფლიო სისტემა, ერთიანი მსოფლიო ბაზარი.

კაპიტალიზმის განვითარების წყარო და საფუძველია მანქანურ წარმოებასთან, დაკავშირებული საწარმოო ძალები. ამ პერიოდში მკვეთრად იზრდება ეკონომიური და სოციალური განვითარების ტემპები, მაგრამ თვით განვითარება ჩაგვრის ფორმით მიმდინარეობს, ვინაიდან კაპიტალისტის მიერ ზედმეტი ღირებულების–მუშათა აუნაზღაურებული შრომის–მითვისებას ეფუძნება მოგების აუცილებლობა, კონკურენცია, წარმოების ანარქია, პერიოდული კრიზისები, კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების დამახასიათებელი თავისებურებებია.

მანქანური წარმოების უშუალო ტექნიკურ წინამძღვრებს მანუფაქტურა ქმნის. ამა თუ იმ მასშტაბით შრომის კოოპერაციას, ე.ი. სამუშაოთა წარმოებისათვის ადამიანთა გაერთიანებას, ადრეც ჰქონდა ადგილი–მაღაროებში, შახტებში, ხელოსანთა სახელოსნოებში, მშენებლობაზე და ა.შ. მანუფაქტურა იმით განსხვავდება მარტივი კოოპერაციისაგან, რომ იგი ემყარება შრომის დეტალურ დანაწილებას რომელიმე ნაკეთობის წარმოების დროს. შრომის ეს დანაწილება მანუფაქტურაში იწვევს ხელოსნური იარაღებისა და თვით მომუშავის სპეციალი-

ზაციას. ამასთან, მუშა ნაწილობრივი ფუნქციის შესმრულებ-ლად იქცევა. თუ ხელოსანი მთელ ნაწარმს ქმნიდა, სამაგიე-როდ მანუფაქტურულ წარმოებაში ამ ნაწარმის წარმოება მთელ რიგ ნაწილობრივ ოპერაციებად იშლება, რომლებსაც სხვადასხვა მუშა ასრულებს. ეს იწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ადამიანის მოქმედების, მანქანის მოქმედებით შეცვლის წინამძღვრების შესაძლებლობებს.

მანქანური სამრეწველო წარმოების წარმოშობა XVIII საუკუნეს მიეკუთვნება. ამ დროს ინგლისში მოხდა პირველი სამრეწველო რევოლუცია, რომელმაც გადატრიალება მოახდინა. მუშამანქანების–საქსოვი დაზგისა და სართავი მანქანის–წარმოების განვითარებამ დიდი ბიძგები მისცა კაპიტალიზმის აყვავებას. ეს მანქანები დიდი რაოდენობის მუშებს ცვლიან, იმავე ოპერაციებს ასრულებენ, რასაც ადრე ხელით ასრულებდნენ მუშები, მაგრამ მუშამანქანა ძრავას საჭიროებს და ასეთი ძრავაც შეიქმნა ორთქლის მანქანის სახით. ძრავა, გადამცემი მექანიზმი და მუშამანქანა შეადგენდა მანქანური წარმოების პირველდაწყებით საწარმოო მექანიზმს. ამ მექანიზმის ჩამოყალიბება მთავრდება მაშინ, როდესაც იქმნება მისი შესაბამისი ტექნიკური ბაზა–მანქანების წარმოება მანქანების საშუალებით. ამით გადაიდგა პრინციპულად ახალი ნაბიჯი საწარმოო ძალების განვითარებაში, და დასაბამი მიეცა ახალ ეპოქას წარმოების განვითარებაში. XVIII საუკუნის ინგლისში დაწყებული სამრეწველო გადატრიალება XIX საუკუნეში გავრცელდა და, სხვა ევროპულ ქვეყნებსაც მოედო, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკას, შემდგომ მან რუსეთი და იაპონიაც მოიცვა. აქ მანქანური წარმოება კაპიტალიზმის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის როლში გამოდის.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული საზოგადოებრივი ფორმაციები აბსოლიტურად განსხვავდებიან ერთმანთისაგან, ეს არის კაცობრიობის განვითარების გზა, უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, მაგრამ ყველა ამ საზოგადოების მთავარი დამახასიათებელი ნიშან–თვისება ერთია,

ეს არის სხვისი შრომის მითვისება, ჩაგვრა და ამის ნიადაგზე გამდიდრება. საზოგადოების განვითარების პროგრესულობა მდგომარეობს მაინც იმაში, რომ წინანდელ ყველა განვლილ საზოგადოებრივ ფორმაციაში ადამიანები სხვადასხვა სტატუსით გვევლინებიან. მაგალითად მონათმფლობელობის დროს მონა სრულიად არ არის დაინტერესებული შრომით მას მხოლოდ მათრახი აიძულებს იშრომოს, მონა არის უუფლებო, მონის გაყიდვა, გაჩუქება და თვით სიკვდილით დასჯაც კი შესაძლებელია. ფეოდალიზმის დროს იცვლება სტატუსი, მას აქვს თავისი მეურნეობა, ოჯახი–რომელიც აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს და ამიტომ იგი დაინტერესებულია შრომის ნაყოფიერების ზრდით. გლეხი–ადამიანი საზოგადოდ დაცულ „პიროვნებად“ გვევლინება ფეოდალურ საზოგადოებაში, რადგან მას აქვს გარკვეული უფლებები: მისი გაჩუქება, გაყიდვა, ცემა კანონით იკრძალება. კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში მუშა ყიდის სამუშაო ძალას და მით უფრო მეტ ფულს იღებს, რაც უფრო მაღალია მისი კვალიფიკაცია. ამიტომ იგი იძულებულია გარკვეული ზომით განავითაროს თავისი შრომის ნაყოფიერების ძალა. მაგრამ კაპიტალისტისათვის მუშაობა, მუშას აიძულებს შრომას უყუროს, როგორც მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი საშუალებების მიღების წყაროს.

სოციალისტური საზოგადოების განხილვის გარეშე მთლად სრულყოფილი არ არის საზოგადოებრივ–ეკონომიური ფორმაციები. სოციალისტური საზოგადოებრის კლასებია მუშები და გლეხები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან მეურნეობის სოციალისტური სისტემით, წარმოების საშუალებებზე ერთტიპიური საზოგადოებრივი საკუთრებით, ერთობლივი შრომით, მაგრამ ამავე დროს ჯერ კიდევ განსხვავდებიან აღნიშნული ერთობის ფარგლებში, თავისი დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, შემოსავლის მიღების წესით.

პიროვნების სოციოლოგიის გაგებისათვის

კაცობრიობის სოციალური აზროვნების მთელი ისტორია ასახავს მიმდინარე პროცესებს, ადამიანის ქმედითუნარიანობას, რომელიც საზოგადოებაში ურთიერთობს სხვა ადამიანებთან, თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სწორედ კონკრეტულ–ისტორიული ტიპები და სახეობები განსაზღვრავენ ადამიანების, დამახასიათებელ თვისებებს, წინააღმდეგობებს და ტენდენციებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. არა მარტო ადამიანი ქმედითუნარიანობით განსაზღვრავს საზოგადოებას, არამედ, მისი მოღვაწეობა საზოგადოებაში აყალიბებს ადამიანს, იმ მოაზროვნე არსებად, რომელსაც ახასიათებს მეტყველება და მიზანმიმართული შემოქმედებითი მოღვაწეობა. მაგრამ ყველა იმ თვისებიდან, რომელიც ადამიანს განასხვავებს ცხოველთა სამყაროდან, ის არის რომ ადამიანი მაინც პირველ რიგში გვევლინება ბიოლოგიურ არსებად, ცოცხალი ორგანიზმის განვითარების რგოლში დედამიწაზე.

მართალია, ადამიანი წარმოიშვა ცხოველისაგან და საბოლოოდ ის მთლიანად ვერ განთავისუფლდება ცხოველებისათვის დამახასიათებელი თვისებებისაგან, მაგრამ განმსაზღვრელი მისი ქმედითუნარიანობისა არის სოციალური, რომლის ფორმირება და ფუნქციონირება განსაზღვრულია საზოგადოებრივი ურთიერთობით. ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ბიოლოგიური თავისებურებანი ადამიანისა: სწორი სიარული, ტვინის აგებულება, სახის გამომეტყველება, ხელების ფორმა ეს არის შედეგი იმ განსხვავებისა, რომელიც მილიონი წლები მიმდინარეობდა და განაპირობა კოლექტიურმა შრომამ. ადამიანი თავის ბიოლოგიურ თვისებას იყენებს არა მარტო თვითგადარჩენის მიზნით, არამედ როგორც საფუძველს სულიერი ურთიერთობისა და სულიერი თვითრელიზაციისა. ყველა ახალშობილ ბავშვს აქვს ტვინი, სამეტყველო აპარატი, მაგრამ ის სწავლობს აზროვნებას და მეტყველებას საზოგადოებაში. რასაკვირველია განუყოფელი

ერთიანობა ბიოლოგიურისა და სოციალურისა, მხოლოდ ადამიანისათვის არის დამახასიათებელი.

გარემო პირობები, და სოციალური სისტემები განაპირობებენ, პიროვნების თავისებურებას, მის ქცევას, განწყობას, ემოციებს და არჩევანს. ურთიერთობა და კავშირი მყარდება ადამიანებს შორის იმიტომ რომ ინდივიდუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების პროცესში, ისინი დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, სხვანაირად რომ ვთქვათ ყოველი ადამიანი იყენებს განსაზღვრულ სოციალურ ფუნქციას. იმ საჭიროების მიხედვით, რაც მას კონკრეტულ მომენტში ან სიტუაციაში ესაჭიროება და ურთიერთობს მათთან მაგ. ექიმი–და პაციენტი, მოსწავლეები და მასწავლებელი და ა.შ. სოციოლოგიაში პიროვნების მოტივაციას განსაზღვრავს ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გარემო პირობები და ხასიათი, რომელიც ვლინდება ურთიერთობებში.

გარემომცველ სამყაროში ურთიერთობების ღირებულებათა საძირკველი მდგომარეობს, თვით პიროვნების ორიენტაციაში, მოთხოვნილებებში და ინტერესებში. პიროვნული ღირებულებები განსაზღვრავენ ადამიანის მისწრაფებებს, სურვილებს, არსებას, პროცესებს, ასახავენ სინამდვილის ფაქტებს, რომლებიც ადამიანს აიძულებენ იმოქმედოს განსაზღვრულად. მიზანმიმართული ღირებულებითი ორიენტაციები, რომლებიც საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი, გადმოდის პიროვნებაზე, იგი ერგება მას და ცდილობს მოერგოს იმ სოციუმის ფუნქციებს, რომლის წევრი თავად არის.

სოციალური პირვნების სტატუსი – ეს არის ადამიანის ადგილი საზოგადოებრივ იერარქიაში – რომელიც განსაზღვრულია მისი პროფესიით, ასაკით, სქესით და ოჯახური მდგომარეობით. სტატუსში ფაქტიურად დაფიქსირებულია ის ნაკრები, რომლითაც ადამიანი ურთიერთობს სხვა ადამიანებთან იმ კანონის ფარგლებში, რომელიც ამ საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. მაგრამ ვინაიდან ადამიანი ერთდროულად გაერთიანებულია, რამდენიმე საზოგადოებაში,

ანუ ერთდროულად იგი ურთიერთობს სხვადასხვა საზოგადოებაში, ამდენად იგი ასრულებს სხვადასხვა სოციალურ ფუნქციებს. ასე მაგალითად თანამედროვე ადამიანს აქვს უამრავი სტატუსი ის არის პირველ რიგში ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე, ოჯახის წევრი, პოლიტიკური პარტიის წევრი, რომელიმე ორგანიზაციის წევრი და ა.შ. ანსხვავებენ დაწესებულ და ბუნებრივ სტატუს (ეროვნება, სოციალური წარმოშობა, დაბადების ადგილი) და მიღებული ან მიღწეული სტატუსი (განათლება, პროფესია კვალიფიკაცია და ა.შ.)

პიროვნების სოციალური როლის დახასიათებისას საკმარისია მოკლედ ვიცოდეთ, მისი საქმიანობის შესახებ, რომლითაც შემდგომში განვსაზღვრავთ მის სტატუსსაც.

აქედან, ნათლად ჩანს პიროვნების სოციაულრი სტატუსი დამოკიდებულია არა მარტო მატერიალურ, სოციალურ და სულიერ პირობებზე, რომელიც საზოგადოებაში არის მიღებული, არამედ იმაზეც, რამდენად აქტიურია პიროვნება, მისი ქმედითუნარიანობა და თვითშეგნება.

თუმცა როლების მრავალფეროვნება ბადებს შინაგან კონფლიქტებს, რომელიც გვევლინება, როგორც არსებობისათვის ბრძოლა. გამარჯვებული რჩება ის, ვინც ღირებულია კონკრეტულ სიტუაციაში. აქედან გამომდინარე არსებობს არა მარტო იერარქიული სტატუსი, არამედ სოციალური როლების იერარქიაც, სადაც ყოველი პიროვნება აგებს თავის პირამიდას თავისი მიზნებისათვის. მაგრამ თავისუფლების ნება პიროვნების პირველი აუცილებელი თვისებაა, და მისი განხორციელება ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგან ადამიანი ყოველთვის განიცდის საზოგადოებისაგან ზეწოლას. ფუნქციები, სტატუსი და სოციალური როლები აყალიბებენ მექანიზმს, რომლის თანახმად ადამიანი ხდება საზოგადოების სოციალური გაერთიანების, ჯგუფის წევრი. ეს სოციალური ჯგუფები ეფუძნებიან აგრეთვე საერთო კულტურას და ადათ–წესებს.

სოციალური როლების თავმოყრა, რომელსაც ასრულებს ადამიანი საზოგადოების ცხოვრებაში რთულია, რადგან იგი მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრივ სისტემასაც.

ადამიანის ჩართულობა საზოგადოებაში, საზოგადოებრივი ურთიერთობები, განსაზღვრავენ მათ ინტეგრაციას სხვადასხვა სოციალურ თემებში: სოციალურ ჯგუფებში, სოციალურ ინსტიტუტებში და სოციალურ ორგანიზაციაში რომლის შედეგად ადამიანი გვევლინება ერთდროულად ჩართულად რამდენიმე სოციალურ საზოგადოებაში, მაგრამ ინტეგრაციის დონეების სხვაობით. სოციალური ინტეგრაცია გულისხმობს ინდივიდებს შორის უკონფლიქტო ურთიერთობებს, ისევე როგორც ორგანიზაციაში ასევე სახელმწიფოში. სოციალურ თემში ინტეგრირებისას პიროვნება ახორციელებს სოციალურ ურთიერთობებს, რომელიც მიღებულია კონკრეტულად მოცემულ სოციალურ გარემოში. პიროვნების სოციალური ურთიერთობა ვლინდება საზოგადოებაში, ადამიანის ქცევაში, ეს არის მისი სოციალური თვისება. სოციალური თვისება განსაზღვრულია სოციალური ტიპით, და პიროვნების ურთიერთქმედებით სხვა ადამიანებთან კონკრეტულ–ისტორიულ პირობებში. ადამიანის სოციალური თვისება მოიცავს: მისი საქმიანობის განმსაზღვრელ რგოლს სოციუმში, დაკავებულ სოციალურ სტატუსს და განმსაზღვრელ სოციალურ როლს; რომელსაც მოელიან მისი როლისა და სტატუსისაგან გამომდინარე, რა ნორმებითა და ღირებულებებით ხელმძღვანელობს იგი თავისი მოღვაწეობის პერიოდში, რას იყენებს იგი გადაწყვეტილებების მიღებისას, ცოდნას, ინიციატივას და როგორ ართმევს თავს მის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს. პიროვნების სოციალური თვისებები, განსაზღვრავენ თუ რომელ სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნება იგი, რაც აყალიბებს შემდგომში პიროვნებას, სოციალურ ტიპად. ბუნებრივია, როცა ლაპარაკია პიროვნებაზე, როგორც სოციალური ერთობის წევრზე, ჯგუფზე, ფენაზე, სოციალურ ინსტიტუტებზე და სოციალურ ფორმირებაზე აქ მხედველობაში აქვთ არა დამახასიათებელი თვისება ცალკეული ინდივიდი-

სა, არამედ პიროვნების სოციალური ტიპი. საწყისი პიროვნების სოციალური ტიპოლოგიზაციისა სხვადასხვაა, ასევე სხვადასხვა მათი სტატუსი და როლი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში. სოციალური განსაზღვრავს პიროვნებას, მის სოციალურ ინტეგრირებას სხვადასხვა სოციალურ ფენებში. პიროვნების სოციალური მდგომარეობით განისაზღვრება საზოგადოებრივი წარმოება, რეალიზაცია და საზოგადოებრივი ფუნქციები.

პიროვნების ინტეგრაციის დონეს საზოგადოებაში, განსაზღვრავს თვით საზოგადოება, რომელიც მიგვანიშნებს, პიროვნების ინტეგრაციის მაღალ ან დაბალ ხარისხზე სოციალურ თემში. ნებისმიერი სოციალური თემი მიმართულია იქეთკენ, რომ პიროვნება, რომელიც ინტეგრირებულია ამ თემში, ზუსტად ისე წარმართოს ურთიერთობები, რომელიც ამ ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი. მოთხოვნილება და დონე იდენტურობის დამოკიდებულია ჯგუფის სიდიდეზე და იმ როლზე, რომელსაც ადამიანი ახორციელებს ამ ჯგუფის ფარგლებში, იგულისხმება თანადგომა და ქცევის წესები. სოციალური ერთობა განსაზღვრავს კონკრეტული პიროვნების ქმედებას, იმისდა მიხედვით თუ რა როლი აკისრია მას ამ მექანიზმში. ამა თუ იმ როლის შერჩევა, იმის მიხედვით ხდება თუ რა შესაძლებლობების არის პიროვნება, როგორია მისი მომზადების დონე, ბიოქიმიური თვისებები, საქმიანი და სხვა, თვისებები, რომლითაც უნდა ხასიათდებოდეს პიროვნება და მიესადაგებოდეს იმ როლს, რომლის თამაში მას მოუწევს. იმის გარდა რომ ის ინტეგრირდება სოციალურ გარემოში, პიროვნება ინარჩუნებს ავტონომიას ანუ თავისუფალ არჩევანს, რომელსაც აქვს თავისი საზღვრები: სამოქალაქო მიკუთვნებულობა, პოლიტიკური განვითარება, ექსტრემალურ სიტუაციაზე რეაგირება.

პიროვნება ირჩევს თავის როლს, რომელსაც მდგომარეობა და სოციალური გარემო სთავაზობს, იმ კონკრეტული როლის შესასრულებლად რა პერსპექტივაც მის წინაშეა.

პიროვნების ავტონომია ვლინდება, მაშინ როცა ადამიანს შესწევს უნარი გაითავისოს ის როლი, რომელსაც ის თამაშობს, „სარკასტულად“ მიუდგეს საკუთარ თავს, შეიძლება, ეზიზღებოდეს საკუთარი თავი ამა თუ იმ როლის გამო, რომელიც მას აკისრია, (მაგ. ტოტალიტალური რეჟიმების, სოციალურ მოთხოვნილებებსა და ზნეობრივი ზოგადსაკაცობრიო ღირებულების კონფლიქტის დროს) მაგრამ მაინც ბოლომდე თამაშობდეს.

პიროვნების სოციოლოგიის ძირთადი კონცეფციები

სოციოლოგია პიროვნების ცნებას მოიაზრებს, როგორც ინდივიდში განსაზღვრულად ინტეგრირებულ სოციალურად მნიშვნელოვან თვისებათა და სოციალურ ურთიერთობათა სისტემას. სოციალურ კვლევათა პროცესში იკვეთება პიროვნულ თვისებათა სოციალური განსაზღვრებანი, სოციალური შინაარსი და სოციალური ფუნქციები პიროვნებათა საზოგადოებაში არსებული ტიპებისა.

პიროვნების დამახასიათებელ თვისებათა, მისი ქცევის განსასაზღვრავად მნიშვნელოვანია განისაზღვროს არა პიროვნების შინაგანი სტრუქტურის ანალიზის შიდაინდივიდუალური მეთოდი, არამედ ინდივიდუალთაშორისი მეთოდი, რაც ადამიანის საზოგადოებრივ კავშირებს ეფუძნება, თუმცა მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ფსიქოლოგიის მიღწევები, რათა წარმოჩნდეს საზოგადოებრივ ძალთა გარდაქმნის ზოგადი ხასიათის პროცესი, ინდივიდუმთა ქმდების მიზეზები და ხარისხი.

როდესაც ადამიანების რეალურ ცხოვრებისეულ ქმედებას ვაანალიზებთ, ვხვდებით მათ სოციალურ ბუნებას, თითოეული ინდივიდის განსაკუთრებულობას, რომელიც ვლინდა საზოგადოებაში. დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა სოციალურ ჯგუფებს, სადაც უშუალოდ ჩართულები არიან ადამიანები და ეს პატარ–პატარა ჯგუფები შეადგენენ დიდ საზოგადოებას. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ერთი და იგივე ადამიანი ერთდროულად განეკუთვნება სხვადასხვა საზოგადოების ჯგუფს, სადაც იგი აბსოლიტურად განსხვავებულ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენს, სწორედ ეს „განსხვავებულობა“ ხდის მას განუმეორებელს და უნიკალურს.

ღირებულია პიროვნების ჩამოყალიბების პროცესი, როცა სოციალური განსაზღვრავს პიროვნების განვითარებას და იგი გვევლინება შედეგად მისი საბოლოო სრულყოფილებისა ე.ი. სოციუმისა და პიროვნების, პიროვნებისა და სოციუმის ურთი-

ერთგავლენა ჩვეულებრივ მოვლენად გვევლინება. საზოგადოების, როგორც ერთი-ერთი წევრის, ინდივიდის, მისი ფუნქციაა შინაგანი განვითარება. ჩამოყალიბებულ ადამიანს ხშირად უხდება გადაწყვეტილებების მიღება დამოუკიდებლად. ადამიანის. თვითშეგნება, სოციალური რელობის ობიექტური ანალიზი პრობლემის ღრმა წვდომა, ინდივიდს აძლევს საშუალებას მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. ბუნებრივია პიროვნების ინდივიდუალურობის გარეშე ვერ ავხსნით პიროვნების სოციალურ ტიპს. პიროვნების შეფასებისას მხედველობიდან არ უნდა გამოგვარჩეს, რომ მასში ყოველთვის არის დაფარული სუბიექტური სურვილი, რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ობიექტურს. პიროვნების ღირებულება საზოგადოებაში, მისი ძირითადი დადებითის მაჩვენებელია, იყოს ობიექტური, ქმედითუნარიანი, აიღოს თავის თავზე ინიციატივა და მიიღოს რეალური ვითარებიდან გამომდინარე სწორი გადაწყვეტილებები, რომელიც საზოგადოებისათვის იქნება მისაღები. თავის მხრივ ასეთ პიროვნებას საზოგადოებაც გვერდით ამოუდგება და ეს თანხვედრა განარპირობებს სოციალურ სტაბილობას და სიმშვიდეს.

პიროვნების საზოგადოებაში ჩართულობის პროცესი გულისხმობს მის სოციალურ კავშირს და ინტეგრაციას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან, რის შედეგადაც ვღებულობთ სოციალურ ინდივიდს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სოციალიზაციას. სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება ადამიანის სოციალური თვისებები, ღირებულებები, ცოდნა, გამოცდილება და ის გვევლინა მთავარ მონაწილედ საზოგადოებრივი ურთიერთობისა. ადამიანი სოციალიზაციის მეშვეობით საზოგადოებაში ახორციელებს, ინდივიდისათვის დაწესებულ კულტურის ელემენტებსა და ნორმებს. სოციალიზაცია ერთი მხრივ გულისხმობს თვითგანახლების პროცესს საზოგადოებრივ ურთიერთობებში და კულტურული ღირებულების შენარჩუნებას, ხოლო მეორე მხრივ – ინდივიდის საზოგადოებრივ საქმიანობა-

ში კეთილდღეობას, პიროვნების თვითრეალიზაციას და თავის თავის გამოვლენის საშუალებას.

სოციალიზაცია – ეს ის პროცესია, როდესაც ინდივიდის საქმიანობა ვლინდება, და მას შეუძლია თავისი შესაძლებლობების გამოვლენა საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

პიროვნების სოციალიზაციის ძირითად ფაქტორად გვევლინება სოციალური გარემოს, ელემენტები, რომელზედაც ზემოქმედებს ადამიანი.

პირველი, როლებისა და სტატუსის ერთობლიობა, რომელსაც საზოგადოება სთავაზობს ადამიანს.

მეორე, არის სოციალური ინსტიტუტებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, და სოციალური თემების ერთობლიობა, რის ფარგლებშიც ინდივიდი, რეალიზებას ახდენს თავისი განსაზღვრული როლის და ღებულობს მისთვის სასურველ სოციალურ სტატუსს.

მესამე, სოციალური გარემოს ელემენტები, განსაზღვრავენ პიროვნების სოციალიზაციას, სოციალური ნორმებია: ცოდნა, განათლება, თვისებები. ეს იმ ღირებულებათა ერთობლიობაა, რომელსაც ადამიანი ეუფლება, რათა შესაბამისობაში იყოს იმ როლთან, რომლის შესრულებაც მას უხდება თავისი სტატუსით საზოგადოებაში.

მეოთხე, – სოციალური გარემო, სოციალური ინსტიტუტებისა და სოციალური ტექნოლოგიების წარმოების იმ ერთობლიობას მოიცავს, რასაც აწარმოებს ადამიანი და გადასცემს მომავალ თაობას იმ მიღწევებს, რომელიც მან მოიპოვა.

მეხუთე, საზოგადოებაში ინდივიდის ღირებულების განწყობის ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს კონკრეტული მოვლენები. პიროვნება შეუძლებელია შედგეს სოციალური საქმიანობისა და ურთიერთობის გარეშე. როგორც ადამიანის ისტორიული განვითარების გზა გვიჩვენებს, ინდივიდი სოციალურ გარემოში ავლენს თავის თავს, აყალიბებს მის სოციალურ თვისებებს, გამოიმუშავებს ღირებულ ორიენტაციებს. მთავარი სფერო პიროვნებად ჩამოყალიბებისა – მისი საქმიანი

მოღვაწეობაა. შრომა, არის ძირითადი საწყისი ადამიანის ყოფიერებისა, იმიტომ რომ მხოლოდ ადამიანი გამოხატავს შრომაში თავის თავს, როგორც საზოგადოებრივ ინდივიდს. პიროვნების ჩამოყალიბებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს საქმიანი მოღვაწეობა, საზოგადოებრივი შრომა, სადაც იგი ავლენს ან შეუძლია გამოავლინოს, შესაძლებლობის მაქსიმუმი, იყოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისას, თავის თავზე აიღოს ინიციატივა.

სოციალიზაციის გამარტივება იქნებოდა გვეფიქრა, რომ ის არის მხოლოდ ერთმიმართულებიანი პროცესი, რომელიც ზეგავლენას ახდენს კონკრეტულ ადამიანზე და მხედველობიდან გამოგვრჩენოდა, თვით ინდივიდზე სოციალური გარემოს ზემოქმედება. სოციალური გარემო ადამიანს აიძულებს იყოს ძალიან ფრთხილი, მოახდინოს ფასეულობების გადახარისხება, მოერგოს იმ გარემოს რომელშიც ის მოღვაწეობს, გაითვალისწინოს გარემოს აზრი და გააკეთოს გონიერი დასკვნები. პიროვნების ინდივიდუალურობა, მისი პოტენციური შესაძლებლობები, საზოგადოების მოთხოვნილებები და ინტერესები, ჰარმონიულად უნდა შეერწყას ერთმანეთს.

პიროვნების სოციალიზაციის პროცესში შეიძლება გამოვყოთ ორი ფაზა ადაპტაცია და ინტერიორიზაცია.

სოციალური ადაპტაცია – არის პიროვნებისა და სოციალური გარემოს ურთიერთზეგავლენა, რომლის დროსაც ხდება ორივე მხარის მოთხოვნილებებისა და მოლოდინების შეთანხმებულობა. ადაპტაცია ნიშნავს, რომ ინდივიდი შეეგუა როლის ფუნქციას, სოციალურ ნორმებს, სოციალურ თემს, ჯგუფს, ინსტიტუტს, ორგანიზაციას, იქ მიღებული წესებითა და ღირებულებებით. ადაპტაციის პროცესში ინდივიდი უხამებს ერთმანეთს თავის შესაძლებლობებს ერთ მხრივ და მეორე მხრივ რეალურად არსებულ სოციალურ გარემოს.

ინტერიორიზაცია – ადამიანის შინაგანი სტრუქტურისა და ფსიქიკის ფორმირების პროცესია, იმ სოციალურ გარემოში, სადაც მას უხდება საქმიანობა. ადამიანის შინაგანი სამყარო

ეგუება გარემო პირობებს. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს, მისი ტემპერამენტი, აღქმა, ინტელექტი, მისი სულიერი სამყარო, რომლის გარეგამოვლინებაც უნდა ერწყმოდეს სოციალურ გარემოს.

ბუნებრივია, თუ პირველ ფაზაში ხდება პიროვნების სოციალიზაცია და მისი ადაპტაცია, ინდივიდის შემგუებლობა სოციალურ გარემოსთან, მეორე ფაზაში ინტერიორიზაცია – სოციალური სისტემის ზემოქმედება ადამიანის „მე"–ზე, რომელიც შემდგომ ვლინდება მის ქმედებაში. ადაპტაციის პერიოდში ადამიანს უჭირს შეინარჩუნოს წონასწორობა, მაგრამ თანდათან მისი ქცევა სტაბილურდება.

სოციალიზაციის ფორმის მიზანმიმართულებაში აღმზრდელობით მუშაობას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი არის განმსაზღვრელი სოციალური ურთიერთობებისა, რომელშიც აქტიურად არის პიროვნება ჩართული. აღმზრდელობით მუშაობაში, საზოგადოება წყვეტს მიზნებს, პიროვნების ფორმირების მეთოდებს ხოლო საშუალებებს აღზრდა იტოვებს. აღზრდის მიზანი არის იმ მეთოდების ძიება და გამოყენება, რომელიც ადამიანს დაეხმარება ადვილად მოერგოს სიტუაციას და ხელი შეუწყოს მის სოციალიზაციასაც. ე.ი. აღზრდის მეთოდების გათვალისწინება, საშუალებას მიცემს, უფრო გაუადვილოს აღმზრდელმა აღსაზრდელს მისი საქმიანობა და ქმედითუნარიანი გახადოს იგი.

თანამედროვე ცივილიზებულ საზოგადოებაში აღზრდა, ღებულობს უფრო მასშტაბურ სახეს, რომელიც მთელი რიგი სოციალური ინსტიტუტებით ხორციელდება: ოჯახი, განათლება, საინფორმაციო საშუალებები და ა.შ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი თაობის აღზრდას ოჯახში. სწორედ ოჯახში ეყრება საძირკველი ღირებულებით ორიენტაციებს, რომლითაც თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე სარგებლობს ადამიანი. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ოჯახში ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, ოჯახურ საქმიანობას, მათ პირად მაგალითზე აღსაზრდელები ბევრს სწავლობენ. აღსაზრდელებისათვის მშობ-

ლების საქციელი მისაბაძი უნდა იყოს, თავის მხრივ მშობლები უნდა ზრუნავდნენ ბავშვებზე და მათ კარგ საქციელს სჭირდება წახალისება. აღზრდის მეთოდის ეფექტურობისათვის, თანამედროვე საზოგადოებაში იყენებენ სოციალურ კვლევას იმ პრობლემებზე, რომელსაც პიროვნების სოციალიზაცია ქვია.

პიროვნების სოციალიზაციის პროცესების კვლევისას სოციოლოგია ფართოდ იყენებს სოციალურ–ფსიქოლოგიურ მეთოდებს: სოციომეტრიას, რეფერენტომეტრიას, როლებრივი ქცევებისა და ტიპოლოგიზაციის მეთოდებს. ტიპიზაციის მეთოდი გულისხმობს პროცედურების აბსტრაგირებას, ე.ი. პიროვნების დამახასიათებელი თვისებებისა და ხასიათის გამოვლენა, რის საფუძველზეც ვაგებთ სოციალურ ტიპს. აბსტრაგირება ორი სახისაა: კერძო აბსტრაგირება, როცა კვლევის პროცესში გამოიყენება პიროვნების ცალკეული თვისებები და არსობრივი აბსტრაგირება, არსებული ხასიათის სისტემიდან გამოყოფა იმ ნიშანთვისებისა, რომელიც ქმნის პიროვნების მოდელს. პიროვნების ცხოვრებისეული პოზიციის ოთხ ტიპს გამოყოფენ. ჰარმონიული, ტექნოკრატიული, ტრადიციული და არატრადიციული პიროვნების – ტიპის აგების ორი მეთოდი არსებობს ლოგიკური და ემპირიული. ლოგიკური გულისხმობს მის ჩაბმულობის დონეს სოციალურ გარემოში, საკუთარ თავზე კონტროლს, მოტივებს მისი ქმედითუნარიანობისა და ღირებულ ორიენტაციებს.

მეორე – ემპირიული გულისხმობს სტატისტიკური მეთოდების დახმარებით გამოვყოთ პიროვნების ტიპები. ამაში ლოგიკური ანალიზიც დაგვეხმარება, რითაც ჩვენ პიროვნების თვისებების სისტემატიზაციას მოვახდენთ.

ლოგიკურისა და ემპირიულის ერთიანობა სოციოლოგიური კვლევის დროს საშუალებას იძლევა უფრო ზუსტი გახადოს შედეგები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური ინსტიტუტების ეფექტური საქმიანობისათვის და რაც ხელს უწყობს პიროვნების შემდგომ სოციალიზაციას.

პიროვნების სოციალური სტატუსი და როლებრივი თეორიები

პიროვნების სოციოლოგიაში, მნიშვნელოვანი ადგილი როლებრივ თეორიებს განეკუთვნება. მისი ძირითადი თეორიები შემუშავებულ იქნა ამერიკელი სოციოლოგების ჯ. მიდის, მერტონისა და პარსონსის, აგრეთვე გერმანელი სოციოლოგის დარენდორფის მიერ. რაში მდგომარეობს ამ თეორიების ძირითადი არსი?

როლებრივი თეორია აღწერს პიროვნების სოციალურ ქცევას ორი ძირითადი მნიშვნელობით: „სოციალური სტატუსი“ და „სოციალური როლი“. განვიხილოთ ისინი ცალ–ცალკე. ყოველ ადამიანს სოციალურ სისტემაში უკავია რამდენიმე პოზიცია. თითოეული პოზიცია გულისხმობს განსაზღვრულ ვალდებულებებს – ეს არის სტატუსი. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე სტატუსი. თუმცა მხოლოდ ერთი სტატუსი განსაზღვრავს მის მდგომარეობას საზოგადოებაში. ამ სტატუსს ეწოდება ძირითადი. სწორედ ამ ძირითადი სტატუსით არის განსაზღვრული მისი თანამდებობაც (მაგალითად, დირექტორი, პროფესორი). სოციალური სტატუსი ასახავს როგორც გარეგან ქცევას და (ჩაცმა, პროფესიონალიზმი სოციალური მდგომარეობის მიკუთვნებულობა) ვიზუალობას, ასევე შინაგან სამყაროს. (ღირებულებები, ორიენტაცია, მოტივაცია).

სოციოლოგიაში განიხილავენ დაწესებულ და შეძენილ სტატუსებს. დაწესებული – ეს ნიშნავს საზოგადოების მიერ თავსმოხვეულ, გარკვეულ თავისებურებებს, ანუ იგი განსაზღვრულია ეთნიკური წარმოშობით, დაბადების ადგილით, ოჯახით და ა.შ. შეძენილ (მიღწეული) (რექტორი, დირექტორი ა.შ.) გამოყოფენ აგრეთვე ბუნებრივ და პროფესიონალურ–თანამდებობრივ სტატუსს. პიროვნების ბუნებრივი სტატუსი გულისხმობს საერთო ადამიანის დახასიათებას (ქალი და მამაკაცი, ბავშობა, ახალგაზრდობა, მოწიფულობა და ა.შ.) პროფესიონალურ–თანამდებობრივი – ეს არის პიროვნების საბაზისო სტა-

ტუსი, უკვე ზრდასრული ადამიანის, მასში ფიქსირდება სოციალურ, ეკონომიკური, წარმოებით–ტექნიკური მდგომარეობა (ბანკირი, ინჟინერი, ადვოკატი) და ა.შ.

სოციალური სტატუსი განსაზღვრავს კონკრეტულ ადგილს, რომელიც უკავია ინდივიდს, მოცემულ სოციალურ სისტემაში. მოთხოვნილებათა ერთობლიობა, რომელსაც საზოგადოება უყენებს ინდივიდს, და ქმნის სოციალურ როლს. სოციალური როლი არის ქმედებების ერთობლიობა, რომელიც უნდა შეასრულოს ადამიანმა, იმ სოციალურ სისტემაში, რა სტატუსითაც არის ის იქ. ყოველი სტატუსი, როგორც წესი, მოიცავს სხვადასხვა როლებს. როლების ერთობლიობა, რომელიც სტატუსიდან გამომდინარეობს როლებრივი ნაკრები ეწოდება.

პირველი ვინც შეეცადა როლების სისტემატიზაციას გახლდათ ტ. პარსონსი ის წერდა, რომ ნებისმიერ როლს ახასიათებს 5 ძირითადი მახასიათებელი.

1) ემოციური – ერთი როლი ემოციური შინაარსისაა-მეორე თავისუფალი.
2) მიღების წესი–ხერხი–ერთნი დაწესებული,-მეორე მოპოვებული.
3) მასშტაბები – როლების ნაწილი ფორმულირებულია და ზუსტად განსაზღვრულია–მეორე წალეკილია–წაშლილია.
4) ფორმალიზაცია – ქმედება მიღებული წესების შესაბამისად – მეორე თავისებური.
5) მოტივაცია – კარგი მოგება, საერთო საქმის წარმატება და ა.შ. ნებისმიერი როლი ხასიათდება ამ 5 ძირითადი ნიშნით.

სოციალური როლის განხილვა შეიძლება მოხდეს ორი ასპექტით: როლის შინაარსი და შესრულება. ამ ორ ასპექტს შორის არასოდეს არ არის მთლიანი როლის დამთხვევა. მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს დიდი მნიშვნელობა პიროვნების ქმედებაში. ჩვენი როლი განსაზღვრულია უპირველეს ყოვლისა იმით, თუ რას ელოდებიან ჩვენგან სხვები. ეს მოლოდინი ასო-

ცირდება სტატუსთან, რომელიც აქვს პიროვნებას მოცემულ მომენტში. თუ ვიღაც არ თამაშობს ამ როლს სათანადოდ და მოლოდინს ვერ ამართლებს, მაშინ იგი გარკვეულ კონფლიქტში იმყოფება საზოგადოებასთან. მაგ. მშობლები უნდა ზრუნავდნენ შვილებზე, ახლობელი მეგობარი არ უნდა იყოს გულგრილი ჩვენი პრობლემებისადმი.

როლებრივი მოთხოვნილებები (დაწესებული, მოქმედი და ქცევის შესაბამისი მოლოდინი) ერწყმის კონკრეტულ სოციალურ ნორმებს ჯგუფთაშორისი სოციალური სტატუსის შიგნით.

სოციალური როლის ნორმატიულ სტრუქტურაში გამოყოფენ ოთხ ელემენტს:

1) ქცევის ტიპის აღწერა, რომელიც ესადაგება მოცემულ როლს.
2) მოთხოვნა, დაკავშირებული მოცემულ ქცევასთან მიმართებაში.
3) დაწესებული როლის შეფასება, რომელსაც ასრულებს, პიროვნება.
4) სანქცია – ამა თუ იმ ქმედების სოციალური შედეგები, იმ ჩარჩოებში რომელსაც აყენებს სოციალური სისტემა. სოციალური სანქციები შეიძლება იყოს მორალური, განხორციელებადი სოციალური ჯგუფის მიერ ან იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიური და ა.შ. რომელსაც ახორციელებს კონკრეტული სოციალური ინსტიტუტი. სოციალური სანქციის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვროს ადამიანის ქცევის ტიპი. ეს არის სოციალური რეგულირების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი როლი არ გამოდგება ქცევის მოდელად. როლის მოლოდინისა და როლის ქცევის მთავარ მაკავშირებლად ჩვენ აქ გვევლინება თვით ინდივიდის ხასიათი. ეს ნიშნავს რომ კონკრტული ადამიანის ქცევა არ შეიძლება ჩავსვათ გარკვეულ სქემაში. რადგან იგი კონკრეტულ ადამიან-

ზეა დამოკიდებული და იმაზე თუ როგორ გაართმევს იგი თავს ამ როლს და რა თვისებებით ინტეგრირდება სოციუმში.

იმდენად, რამდენადაც ყოველი ადამიანი, რამოდენიმე როლს ასრულებს სხვადასხვა სიტუაციებში, როლებს შორის შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი. სიტუაციას, როდესაც ადამიანი ეჯახება აუცილებლობას, დააკმაყოფილოს ორი ან მეტი შეუსაბამო როლი და მისი ურთიერთდაპირისპირებული მოთხოვნები, ეწოდება როლებრივი კონფლიქტი.

შტაინი და ჰოფმანი (1978) იკვლევდნენ როლურ კონფლიქტებს კოლეჯის იმ სტუდენტებში, რომლებიც მისდევდნენ სპორტს. მათ აღმოაჩინეს, რომ ხასიათის თვისებები, რომლებიც დიდად ფასობს სპორტსმენებში: სიმტკიცე, დამოუკიდებლობა, ემოციური თავშეკავება და წარმატებისაკენ სწრაფვა არ შეესატყვისებოდა მათი მეგობარი ქალების მოლოდინს. ქალებს არ მოსწონდათ მომეტებული სიმკაცრე და სხვა თვისებები, რომლებიც სპორტსმენებისათვის საამაყო იყო. მათ უფრო მოსწონდათ გულახდილობა, ღრმა გრძნობები და თანაგრძნობის უნარი.

ზოგჯერ თავს იჩენს კონფლიქტი ერთი და იგივე როლის სხვაგასხვა ასპექტებს შორის. მაგალითად, სოციალური სფეროს მუშაკისაგან მოელიან ყურადღებასა და კეთილგანწყობას. მაგრამ მათი ბიუროკრატებთან აუცილებელი ურთიერთობა შეუძლებელია სიჯიუტესა და სიმტკიცის გარეშე. ეს ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნები იწვევენ როლურ კონფლიქტებს.

როგორ ახერხებენ ადამიანები როლური კონფლიქტის დაძლევას? მერტონს (1957) მიაჩნია, რომ არსებობს მათი შესუსტების რამდენიმე ხერხი, საშუალება. ერთ-ერთი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ აღიარებენ ზოგიერთი როლის უპირატეს მნიშვნელობას სხვა როლებთან შედარებით. ჩვენს საზოგადოებაში წინა პლანზე ჩვეულებრივ არის ოჯახი და სამსა-

ხური, ამიტომ ადამიანებს ესმის იმ ადამიანისა, რომელიც ამ-ბობს, რომ: ,,ჩვენ სიამოვნებით მოვიდოდით, მაგრამ დღეს ჩემი მეუღლე ცოტა შეუძლოდაა" ან ,,ეს საინტერესოა, მაგრამ მე უნდა შევასრულო სამუშაო, რომელიც სახლში მაქვს წამოღე-ბული".

რამდენადაც ოჯახი და სამსახური წარმოადგენენ ძირი-თად პრიორიტეტებს, ადვილი გასაგებია თუ როგორ შეიძლება აქ თავი იჩინოს კონფლიქტმა. ადამიანთა უმრავლესობა თავს ართმევს ამ კონფლიქტს იმის წყალობით, რომ ოჯახი და სამსა-ხური ერთმანეთისაგან დაშორებულია, ისინი ერთად არ არიან. ამ დაშორიშორებას აქვს ორი მიზანი. ჯერ-ერთი, როგორც წე-სი, ჩვენ უფრო პროდუქტიულად ვშრომობთ ოფისსა და ქარხა-ნაში, ვიდრე სახლში. მეორე, ოჯახის წევრები არ ხედავენ თუ როგორ ვიქცევით ჩვენ სამსახურში, ხოლო თანამშრომელთა უმრავლესობამ არ იცის თუ რა ხდება მათი კოლეგების ოჯა-ხებში. როლების ამ ორ სისტემას შორის გაყოფა ამცირებს მათ როლურ კონფლიქტს. კონფლიქტის აღმოცენება გამოიწვევს უსიამოვნებას როგორც სახლში, ასევე სამსახურში. მაგალი-თად, ფილმში ,,კრამერი კრამერის წინააღმდეგ", ერთ-ერთი მო-სამსახურე, რომელიც მიატოვა მეუღლემ, იძულებულია შეას-რულოს სამსახურებრივი მოვალეობა და მოუაროს საკუთარ შვილს. უფროსთან რაღაც საკითხის განხილვისას მას ურეკავს შვილი და ითხოვს ტელევიზორის ყურების გახანგრძლივების ნებას, სანამ თანამშრომელი მოილაპარაკებს შვილთან, უფ-როსი ბრაზობს.

არსებობს როლური კონფლიქტის შესუსტების უფრო დახვეწილი საშუალება. ერთ-ერთი მათგანია ხუმრობა. ოჯახის შიგნით აღმოცენებული როლური კონფლიქტი იწვევს დაძაბუ-ლობას. თუ მეუღლე გვიან და ნასვამი ბრუნდება სახლში ან ჭირვეულობს სიდედრი, ხუმრობა შეასუსტებს დაძაბულობას.

ხუმრობებში ,,შერწყმულია ჩვენი კეთილგანწყობა და უარყოფითი დამოკიდებულება ამა თუ იმ ქცევისადმი; ისინი გვხმარებიან დავძლიოთ კონფლიქტურ სიტუაციებში ჩასახული დაპირისპირება".

პიროვნება, როგორც ობიქტი საზოგადოებრივი ურთიერთობისა სოციოლოგიაში განიხილება ორი ურთიერთდამოკიდებული პროცესით – სოციალიზაცია და იდენტიფიკაცია. სოციალიზაცია – ეს არის პროცესი, როცა ინდივიდი ითავისებს სოციალურ ნორმებს, ღირებულებებს, რომელიც აუცილებელია მოცემული საზოგადოების ფუნქციონირებისათვის და კარგად ართმევს თავს. სოციალიზაცია – მოიცავს შემდეგ პროცესებს, ეს არის კულტურა, აღზრდა, განათლება, ადამიანის ნიჭიერება, რითაც იგი მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში. სოციალიზაციის პროცესში ღებულობს მონაწილეობას ყველა ვინც არის ინდივიდის გარშემო: ოჯახი, მეზობლები, თანატოლები, სკოლა, საინფორმაციო საშუალებები და ა.შ. სოციალიზაციის წარმატებული ფუნქციონირებისათვის სმელზერი თვლის. რომ აუცილებელია, სამი ფაქტის არსებობა: მოლოდინი, ქცევის შეცვლა და მისწრაფება რათა გაამართლო მოლოდინი. პიროვნების ფორმირების პროცესი სმელზერის აზრით, გადის სამ სხვადასხვა სტადიას 1) სტადია როცა ბავშვები ბაძავენ და კოპირებას უკეთებენ თავიანთ მშობლებს; 2) თამაშის სტადია, როცა ბავშვები იგებენ, რომ ისინი თამაშობენ გარკვეულ როლს. 3) ჯგუფური თამაში – როცა ბავშვი იგებს რომ მას მოუხდება თამაში ბევრ ადამიანთან.

ცნობილმა ფსიქოლოგმა ჟან–პიაჟემ (1896-1980) ამოცანად დაისახა ეკვლია თუ როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს, განვითარების რა კანონზომიერებს ემყარება ბავშვის აზროვნება და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კოგიტური განვითარება (კოგიტური, ნიშნავს ცოდნას, შემეცნებას) წარმოადგენს უწყვეტი პროცესის შედეგს, რომელიც მოიცავს ერთმანეთში გარდამავალ სტადიებს. ბავშვის ინტელექტის განვითარება

ხდება წონასწორობის მუდმივი ძიების შედეგად, იმას შორის რაც ბავშვმა იცის და რისი გაგებაც უნდა მას. განვითარების ამ სტადიებს პიაჟეს მიხედვით გაივლის ყველა ბავშვი ერთი და იმავე რიგის მიხედვით, მაგრამ ზოგიერთი ბავშვის განვითარება რიგი ფაქტორების გამო მუხრუჭდება რომელიმე ფაზაზე. ეს განვითარება განისაზღვრება ნერვიული სისტემის მომწიფებით, საგნების მოხმარების გამოცდილებით და ისეთი სოციალური ფაქტების გავლენით, როგორიცაა ენა და აღზრდა.

ჟ. პიაჟე თვლიდა, რომ ყოველი ბავშვის აზროვნებისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი. მისი აზრით პატარა ბავშვი არის საკუთარი სამყაროს არაცნობიერი ცენტრი, რომელსაც არ შეუძლია სხვის პოზიციაზე დადგომა, საკუთარი თავისადმი კრიტიკულად შეხედვა და იმის გაცნობიერება, რომ საგნებსა და მოვლენებს სხვები გაცნობიერებულად ხედავენ და აღიქვამენ, სწორედ ამიტომაა, რომ ბავშვები ერთმანეთში ურევენ სუბიექტურსა და ობიექტურს, განცდასა და რეალურს. ბავშვები თავიანთ პირადულ თვისებებს მიაწერენ საგნებს, საკუთარი განცდები გადააქვთ მათგან დამოუკიდებლად არსებულ მიზეზ–შედეგობრივ კავშირებზე.

ჟ. პიაჟეს მიხედვით, ბავშვების აზროვნებაში არსებობს თავისებური მაგიაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვებსა და ჟესტებს აქვთ უნარი იმოქმედონ გარესამყაროს საგნებზე და ზოგიერთი მოვლენა მიიჩნიონ საკუთარი მიზნებისათვის ადამიანის მიერ სპეციალურად დამზადებულად. ესაა ანიმიზმი და არტროფიციალიზმი, რაც აისახება ბავშვის მეტყველებაზე. მაგალითად მსჯელობს ხმამაღლა, თითქოს იგი მარტო იყოს. მას არ აინტერესებს გაუგებენ თუ არა სხვები. ბავშვის მეტყველება გამოხატავს მის სურვილებს, ოცნებებს, გრძნობათა ლოგიკას და გვევლინება მისი რეალური ქცევის ერთგვარ აკომპანიმეტად. მაგრამ რეალური ცხოვრება აიძულებს ბავშვს გამოვიდეს ოცნებათა სამყაროდან და ურთიერთობა დაამყაროს, გარესამყაროს კონკრეტულ საგნებთან და მოვლენებთან. ამ დროს ბავშვის მეტყველება კარგავს თავის პირველქმნილებას,

განიცდის დეფორმაციას და იწყებს სხვისი, სოციალური სინამ-დვილიდან აღებული უფროსების ლოგიკისადმი დამორჩილე-ბას.

ჟ. პიაჟეს მიხედვით ინტელექტი ყოველთვის აქტიურია. იგი არაა არც სუფთა დაფა“, რომელზედაც შეიძლება დაიწე-როს ცოდნა და არც სარკე, რომელშიდაც აისახება აღქმადი სამყარო. თუ ადამიანის მიერ მიღებული ინფორმაცია, სუბიექ-ტური განცდები შეესაბამებიან მისი ინტელექტის სტრუქტუ-რას, მაშინ მოხდება ასეთი ინფორმაციის გაგება ანუ ასიმილა-ცია. თუ ინფორმაცია არ შეესაბამება ინტელექტის სტრუქტუ-რას, იგი მას განდევნის, ხოლო ისეთ შემთხვევაში, როცა ინტე-ლექტის სტრუქტურა მზადაა ცვლილებებისათვის, იგი ეგუება ახალ ინფორმაციებსაც.

ჟ. პიაჟეს მიხედვით, ასიმილაცია არის ახალი გამოცდი-ლების ინტერპრეტაცია, არსებული მენტალური სტრუქტურე-ბიდან გამომდინარე ყოველგვარი ცვლლებების გარეშე. ხოლო აკომოდაცია არის არსებული მენტალური სტრუქტურების შეცვლა ახალი და ძველი გამოცდილების გაერთიანების გზით.

ადამიანთა მიერ გარე სამყაროსადმი შეგუების პროცესის აღწერისა და ახსნისათვის ჟ. პიაჟე გვთავაზობს ბიოლოგის-ტურ მოდელს. ცხოველის ჭამის დროს ერთდროულად მიმდი-ნარებს ორი პროცესი. ორგანიზმისადმი: საკვების შეგუება (აკომოდაცია) საჭმლის მომნელებელ სისტემაში ცვლილებების საფუძველზე. ამასთანავე კი ხდება საკვების შეთვისება (ასიმი-ლაცია) რომლის დროსაც ეს საკვები ცხოველის ნაწილად იქცე-ვა. ჟ. პიაჟეს აზრით, სწორედ ანალოგიური გზით აუმჯობესე-ბენ ადამიანები თავიანთ ინტელექტს.

ჟ. პიაჟეს მიხედვით ინტელექტი მუდამ იმის ცდაშია, რომ დაამყაროს წონასწორობა აკომოდაციას და ასიმილაციას შო-რის და თავიდან აიცილოს რეალურის წარმოსახვასთან არსე-ბული შეუსაბამობები. სწორედ გაწონასწორების ეს პროცესი ედება საფუძვლად ნებისმიერ ბიოლოგურ ადაპტაციას. ჟ. პია-ჟესათვის ინტელექტის განვითარება არის ბილოგიური ადაპ-

ტაციის მნიშვნელოვანი მაგალითი. იგი ფიქრობდა, რომ ასიმილაცია და აკომოდაცია საფუძვლად ედება, აგრეთვე ადამიანის ინტელექტუალურ ადაპტაციას გარესამყაროსადმი, შესაძლებლობას აძლევს მას, გადარჩეს, როგორც სახეობა.

ჟ. პიაჟე თვლიდა, რომ ინტელექტი არის ბიოლოგიური ადაპტაციის კონკრეტული მაგალითი. მან დაადგინა, რომ ყოველი ადამიანი ფლობს ორ ფუნქციონალურ ინვარიატს – ორგანიზაციას და ადაპტაციას. ადაპტაცია არის ორი ურთიერთშემავსებელი პროცესის ერთობლიობა – ესაა ასიმილაცია, რომლის საშუალებითაც ინდივიდს ინფორმაცია შეაქვს უკვე არსებულ სტრუქტურებში და აკომოდაცია, რომლის საშუალებითაც არსებული სტრუქტურები იცვლებიან შეცვლილი გარემოს ახალი პირობების საპასუხოდ.

ფსიქოლოგმა რ. გაროლდმა შემოგვთავაზა თეორია, რომლის მიხედვითაც დიდების სოციალიზაცია, არ არის ბავშვობის სოციალიზაციის გაგრძელება. არამედ არის პროცესი, სადაც ბავშვობის ფსიქოლოგიური ფანტაზიები ნელ–ნელა ამოწურავენ თავიანთ შესაძლებლობებს და ბოლო ეღება ბავშურ მითებს. (მაგ. ყოვლისშემძლეობა, ჩვენი მოთხოვნების კანონიერება სხვებისთვს).

სოციალიზაციის პროცესი, აღწევს განსაზღვრულ საფეხურს და პიროვნება სოციალიზაციაში შეიძლება ჩაითვალოს მომწიფებულად, როდესაც პიროვნება მოიპოვებს ინტეგრალურ სოციალურ სტატუსს. სოციალიზაციის პროცესის დროს შეიძლება მოხდეს ჩავარდნა, არ გამართლება სოციალიზაციაში უარყოფითი თვისებების გამოვლინება ქცევის დროს, რაც გამოიხატება ღირებულებებისა და ფასეულობების გაურკვევლობაში, სამართლისა და ქცევის არცოდნაში და ყოველივე ამას მივყავართ ზოგჯერ სავალალო მდგომარეობამდე. ძალიან ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, იმისა თუ რა მიზეზი შეიძლება დასახელდეს იმისათვის, რომ პიროვნებამ გადაუხვია ქცევის წესებსა და ნორმებს, რაც შემდგომში იწვევს კონფლიქტს – ეჯახება ერთმანეთს საზოგადოებრივი ინტერესები და პიროვ-

ნება. გარიყული – პიროვნება ცდილობს თავი დააღწიოს პრობ-ლემებს და იწყებს წუწუნს, რომ მისი არ ესმით – ეს არის გარი-ყული პიროვნების ნეგატიური მხარე. არსებობს პოზიტიური მხარეც – როდესაც ხდება ძველი კონსერვატიული დრომოჭმუ-ლი აზრებისა და იდეების მსხვრევა, ხოლო პიროვნებას აქვს მისწრაფება ახალი იდეებისკენ, რომელიც უფრო გამართლე-ბულია. ეს შეიძლება შეეხებოდეს მეცნიერ–ტექნიკურ პროგ-რესს, პოლიტიკას და ა.შ. როგორც წესი საზოგადოება ახალს ყოველთვის თავიდან უარყოფითად აღიქვამს და იმისათვის რომ იგი დანერგილ იქნას სოციუმში მოითხოვს დიდ ძალისხმე-ვასა და ბრძოლას. ჩვენს ისტორიულ სინამდვილეს, რომ გადავ-ხედოთ სავსეა ასეთი ფაქტებით.

ადამიანი – საქმიანი არსებაა. იგი ერთვება საზოგადოებ-რივ საქმიანობაში და ზემოქმედებს მასზე თავისი მოღვაწეო-ბით. ადამიანი თავისი პიროვნული მონაცემებით, ხდება სოცი-ალური სუბიექტი. საზოგადოებრივი ცხოვრების სოციოლოგი-ური ანალიზი გვიჩვენებს, პიროვნების შესაძლებლობებს, მის შემგუებლობას და ადაპტაციას სოციალურ პირობებთან – რაც ძალიან აქტუალურია, საქართველოს სახელმწიფოებრიობი-სათვის. სწორედ, ადამიანის დადებითი მექანიზმების ჩართუ-ლობის, მისი საქმიანობის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიუ-ლი საზოგადოების მშენებლობა.

ტ. პარსონსის სტრუქტურულ–ფუნქციონალური ანალიზი

სტრუქტურულ–ფუნქციონალისტური მიმართულების ერთ–ერთი მთავარი წარმომადგენელია ამერიკელი სოციოლოგი ტოლკოტ პარსონსი (1902-1979) რომლის თეორიასაც, იმის გამო, რომ იგი საზოგადოების შემეცნების სოციალური მოქმედების აქტზე და მის განსაკუთრებულ გაგებაზე აფუძნებს, მას ხშირად მოქმედების თეორიას უწოდებენ.

სტრუქტურული–ფუნქციონალიზმის წარმომადგენლები, რომლებიც განსაზღვრავენ სოციოლოგიის საგანს, ფიგურირებს შემდეგი ტერმინები–სოციალური სისტემა, სოციალური სტრუქტურა, ფუნქცია, წონასწორობა, სოციალიზაცია. სტუქტურული ანალიზის განხილვას უცილობლად მივყავართ პიროვნებამდე, რადგან მთავარი მომენტი დინამიკურობისა არის პიროვნება. მაგრამ ჯერ უნდა გავარკვიოთ რა იგულისხმება სოციალურ სტრუქტურაში და როგორ ხდება სტრუქტურული ანალიზი.

პარსონსი სოციალური სტრუქტურის ანალიზს ახდენს სტრუქტურის ანალიზის გზით, მისი აზრით სტრუქტურა შედარებით მყარი, სტანდარტიზებულ მიმართებათა ელემენტების ერთობლიობაა. მოღვაწე, სოციალური სისტემის ელემენტია, ამიტომ სოციალური სტრუქტურა წარმოადგენს მოქმედთა სოციალური ურთიერთობების სტანდარტიზებულ სისტემას. მაგრამ სოციალური მოქმედების სტრუქტურათა და სისტემათა განსმასხვავებელი ნიშანი სწორედ ისაა, რომ მიმართებათა უმრავლესობაში მოქმედი პირი მთლიანი არსების სახით კი არ მონაწილეობს, არამედ თავისი მთლიანი მოქმედების მხოლოდ მოცემული დიფერენცირებული „სექტორის“ მეშვეობით, მსგავსად იმისა, როგორც მოცემული აგური არის ან არ არის მოცემული კედლის „ნაწილი“. ასეთ სექტორს, რომელიც სოციალურ მიმართებათა განსაკუთრებული ერთეულია, „როლს“ უწოდებენ. ამგვარად მოცემული დებულება შეიძლება შემდეგ-

ნაირად ჩამოყალიბდეს „სოციალური სტრუქტურა წარმოადგენს ერთმანეთის მიმართ როლების შემსრულებელ მოქმედთა სტანდარტიზებული მიმართებების სისტემას, ხოლო, სოციალური სტრუქტურა არის კავშირის მყარი და განმეორებადი სისტემა, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ორგანიზაციის ფორმების, ისე ორგანიზაციის დონეთა მიხედვით. სოციალური სტრუქტურის სხვადასხვა ფორმებია: საწარმოო გაერთიანებანი, ოჯახი, ერი, კლასი, ჯგუფი, პიროვნება, საზოგადოება და სხვა. ამ ფორმათა ორგანიზაციის დონე შეიძლება სხვადასხვა იყოს.

ტ. პარსონსის მეცნიერული ძალისხმევის ძირითადი მიზანი იყო უკიდურესად აბსტრაქტული და უბერებელი სისტემის პრინციპების შექმნა. მისი კონცეფციის მთავარი ცნებაა–წონასწორობა, რადგან საზოგადოების არსებობისათვის, სწორედ წონასწორობაა აუცილებელი და პრიორიტეტული. წონასწორობის დარღვევა–ეს არის დესტაბილიზაცია, ანუ სოციალური სისტემის დაღუპვა. აქედან გამომდინარეობს სოციოლოგიის ძირითადი ამოცანა–მოამზადოს რეკომენდაციები საზოგადოების სტაბილიზაციისათვის ე.ი. წონასწორობის დასაცავად.

სტრუქტურათა ფორმებს, ისე როგორც მათ იერარქიას, ადგენს სოციოლოგია სოციალური სინამდვილის შემეცნების პროცესში და მათ იყენებს როგორც გარკვეულ ტიპოლოგიას ცალკეულ სისტემათა კვლევაში. სოციალური სტრუქტურის ყოველი ფორმა პიროვნებით დაწყებული და საზოგადოებით დამთავრებული, ყოველთვის გარკვეულ კომპონენტთა მთლიანობაა. ეს კომპონენტებია, (როლების, პრესტიჟის, მოლოდინის) რომლებიც სხვადასხვა სახით გარკვეულ მიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან. მიმართება შეიძლება იყოს წონასწორობის ხასიათის და ჯანსაღ სოციალურ ორგანიზმს აქვს მიდრეკილება დაიცვას ეს წონასწორობა დინამიკურობის პროცესშიც, მაგრამ იდეალური წონასწორობა არასოდეს არაა, რადგან საზოგადოებისათვის შინაგანად დამახასიათებელია კონფლიქტი, მაგრამ თუ სოციალური ქმედებები მთლიანად ან ნაწილობ-

რივ მაინც აკმაყოფილებს სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, მის ნორმებს და ღირებულებებს პასუხობს მაშინ ყველა კონფლიქტი მოწესრიგებადია.

ვერც ერთი სოციალური სისტემა, თვით საზოგადოებაც კი, და ვერც ერთი მწარმოებელი ერთეული, ინდივიდი ვერ გაძლებს თუ არ გადაიჭრება მისი ძირითადი პრობლემები.

შეგუება გარე სამყაროსთან (ადაპტაცია); მიზნის ზუსტი ჩამოყალიბება და მის გადასაჭრელად რესურსების მობილიზება (მიზანდასახულობა); შინაგანი ერთიანობის მოწესრიგება და შენარჩუნება, დაზღვევა შესაძლო გადახრებისაგან (ინტეგრაცია); სისტემის თავისთავადობის, შინაგანი სტაბილურობისა და წონასწორობის უზრუნველყოფა (ლატენტურობა). ეს აუცილებელი პირობები განაპირობებენ სწორედ სტაბილურობას საზოგადოებაში.

მთლიანად საზოგადოების დონეზე ადაპტაციის ფუნქციას ასრულებს ეკონომიკა, მიზანდასახულობის ფუნქციას – პოლიტიკა, ინტეგრაციის ფუნქციას – სამართალი და კულტურა, ლატენტურ ფუნქციას – სოციალიზაციის ინსტიტუტები (სკოლა, ოჯახი, ეკლესია და ა.შ.)

უფრო გასაგები და სრულყოფილი რომ იყოს მსჯელობა განვმარტავთ ე.ი. იმისათვის, რომ წონასწორობა დაამყაროს გარეგან, ფიზიკურ სამყაროსთან, საზოგადოება იძულებულია საწარმოო– ეკონომიკურ მოქმედებებს მიმართოს. მაგრამ წესრიგი უნდა დამყარდეს საზოგადოების შიგნითაც. ამას ემსახურება სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტი, კერძოდ სახელმწიფო, რელიგია და ოჯახი. მაგალითად, სახელმწიფო ასრულებს ადამიანთა მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნის მაგარანტირებელ ფუნქციას, რელიგია – სხვადასხვა რწმენის მიმდევარი ადამიანების, სოციალური სოლიდარობის დამყარების ფუნქციას. ოჯახს დაკისრებული აქვს პიროვნების პირველადი სოციალიზაციის როლი. თავდაპირველად მან უნდა გაუცნობიეროს პიროვნებას მოტივები სისტემის მიზნების შესაბამისი მოქმედებებისათვის და ა.შ. ხოლო სა-

ზოგადოების ნორმებისა და ღირებულებებისაგან გადახრის მოქმედებებს აღკვეთავენ საპასუხო სოციალური ქმედების საშუალებით, რასაც ახორციელებენ სოციალური კონტროლისა და ზედამხედველობის სხვა ინსტიტუტები.

როგორ არის შესაძლებელი მაინც ადამიანთა ერთობლივი ცხოვრება ან საზოგადოებრივი წესრიგი? ამ კითხვაზე პასუხის ძიებისა პარსონსი მიდის დასკვნამდე, რომ საზოგადოებას აკავშირებს არა ეკონომიკური ურთიერთობები არამედ, ის რაც ხდის შესაძლებლად თვით ამ ურთიერთობების არსებობას, კერძოდ ღირებულებათა ერთობლიობა და სოციალური ქცევის წესების ე. წ. თამაშის წესების დაცვა. ამ გზით მიდის პარსონსი თავის ერთ–ერთ ძირითად კატეგორიამდე – სოციალური ქმედების კატეგორიამდე, რომლის სპეციფიკა, ფიზიკური და ბიოლოგიური ქმედებებისაგან განსხვავებით მდგომარეობს:

- სიმბოლურობაში (მოქმედებების რეგულირების ისეთი მექანიზმების არსებობა, როგორიცაა ენა, ტრადიციები, ღირებულებები და ა.შ.);
- ნორმატიულობაში (რაც მიუთითებს, რომ ინდივიდუალური მოქმედებები დამოკიდებულია ქცევის მოცემულ საზოგადოებაში მიღებულ ნორმებსა და წესებზე;
- ვოლუნტარისტულობაში (რაც ვლინდება იმაში, რომ სოციალური ქმედებები „გარკვეულ სიტუაციაში“ სუბიექტზეა დამოკიდებული).

სოციალური მოქმედების მოდელის ძირითად შემადგენელ ელემენტებად პარსონსი თვლის – მოქმედს, სიტუაციას და მოქმედის რეაქციას ამ სიტუაციაზე.

იგულისხმება, რომ მოქმედი სამ როლში შეიძლება მოგვევლინოს როგორც ინდივიდი, (ასევე სოციალური ჯგუფი) აქტიურია, აქვს სიტუაციის ანალიზის უნარი, შეუძლია დაისახოს მიზანი (ხშირად თუნდაც არარეალური), განსაზღვროს მიზნის მიღწევის გზები და მეთოდები. სიტუაცია – ეს არის განსხვავებული ფიზიკური, კულტურული, სოციალური ფაქტორები,

რომლებზეც დამოკიდებულია სუბიექტის ქმედებები. ამავე დროს ქმედების პარტნიორები ორიენტირებულნი არიან ერთმანეთზე, ელოდებიან ერთმანეთს და ელოდებიან თანხმობას სხვა მხარეებიდანაც.

სოციალური ქმედებების საბოლოო სტრუქტურას განსაზღვრავენ: 1) ღირებულებებისა და ნორმების სისტემა, რომელიც ზოგადად ათანხმებს მიზანსა და სიტუაციას, განსაზღვრავს საშუალებებს, ასევე დიაპაზონს, შესაძლებელსა და შეუძლებელს;

2) მიზნის მიღწევის გზების თაობაზე ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას;

3) არსებულ საშუალებებსა და პირობებს. მაშასადამე, სოციალური ქმედების ფორმალიზებული მოდელი გულისხმობს ოთხ ქვესისტემას: სოციალურს, კულტურულს, პიროვნულს, ორგანულს. სოციალური ქვესისტემა უზრუნველყოფს მოქმედი ინდივიდების სიმრავლის ინტეგრაციას. კულტურა მიუთითებს ქმედების შედარებით ზოგად ნიმუშებს, მიზნის შერჩევის პრინციპებს, ღირებულებებს, მრწამსს, ცოდნას, ე.ი. ქმედებაში რეალიზებულ საზრისს და ამ საზრისის წაკითხვის საშუალებებს. ორგანიზმი ამ სქემაში შეიძლება განსაზღვროთ, როგორც ქვესისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქმედ სუბიექტს, გარემოსთან ურთიერთობისათვის აუცილებელი ფიზიკური და ენერგეტიკული რესურსებით. რის შედეგადაც, ქმედება მოწესრიგებულია და თავისუფალია შინაგანი წინააღმდეგობებისაგან.

პარსონსის მიხედვით საზოგადოების განვითარება ევოლუციური ხასიათისა და მისი აღწერა შესაძლებელია დიფერენციაციისა (სისტემის შიგნით ადგილი აქვს ახლად აღმოცენებულ და პროგრესულად მზარდ არაერთგვაროვნებას) და ინტეგრაციის (იზრდება სისტემის ერთიანობა და მთლიანობა, რადგან მის ნაწილებს შორის ჩნდება და მტკიცდება ახალი დამატებითი კავშირები) კატეგორიებით.

პარსონსი განასხვავებს საზოგადოების სამ ტიპს: პრიმიტიულს სადაც უმნიშვნელოა დიფერენციაცია; საშუალო–დაკავშირებულია დამწერლობის გაჩენასთან, სოციალურ დანაწევრიანობასთან, კულტურის გამოყოფასთან ადამიანური მოღვაწეობის დამოუკიდებელ სფეროდ; თანამედროვე – სადაც სამართლებრივი სისტემა გამოეყო რელიგიას, ჩამოყალიბდა ადმინისტრაციული ბიუროკრატია, საბაზრო ეკონომიკა და დემოკრატიული საარჩევნო სისტემა.

სტრუქტურულ ფუნქციონალიზმის თეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია რ.მერტონი (1910). სოციალური და კულტურული სტრუქტურის ელემენტების დადგენის შემდეგ მერტონის აზრით, სოციოლოგია ადგენს მათ შორის მიმართებას. მერტონი ამ ელემენტებიდან იღებს ორ კომპონენტს – მიზნებს და მისწრაფებებს, ერთ მხრივ და მეორე მხრივ, მიზანთა და მისწრაფებათა გადაწყვეტის საშუალებათა მარეგულირებელ ინსტიტუციონალიზებულ ნორმებს. სოციოლოგი განიხილავს ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში გარკვეულ ჯგუფთა მიზან–მისწრაფებებს, მათი მიღწევის დაკანონებულ საშუალებებს შორის მიმართებას იმის მიხედვით, თუ რომელს ეძლევა უპირატესობა, რა ითვლება პრესტიჟის მაჩვენებლად და რა გზებს მიმართავენ მიზნების მისაღწევად და ადგენს სოციალურ ერთეულთა (პიროვნებების ჯგუფების, კლასების და სხვა. ერთობათა) ქცევის გარკვეულ სქემას. აღმოჩნდა, რომ ერთნი ექვემდებარებიან არსებული მიზნების მისაღწევად დაშვებულ ნორმებს; მეორენი მიზნებს ექვემდებარებიან, მაგრამ საშუალებების განახლებას ახდენენ, დაწესებულთა გვერდით მიმართავენ სხვა ტექნიკურად შესაძლებელ საშუალებათა დადგენას და გამოყენებას; მესამენი, საკუთარ მიზანს მოკლებულნი, საშუალებებს იხდიან მიზნად; მეოთხენი მოკლებულნი არიან მიზანსაც და საშუალებასაც; მეხუთენი კი არ ეგუებიან არსებულ მიზნებს და საშუალებებს და აყენებენ ახალ მიზნებს, მათი განხორციელების ახალ საშუალებებს.

რ. მერტონი – საშუალო დონის სოციოლოგიური თეორიის წარმომადგენელია, იგი სოციოლოგიას განსაზღვრავს, როგორც მეცნიერებას, რომელმაც სტრუქტურულ ფუნქციონალური ანალიზის მეთოდის გამოყენებით უნდა გაარკვიოს თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ბუნება, აგვიხსნას მისი მარეგულირებელი ინსტიტუციონალური სტრუქტურები და სტრუქტურული ელემენტების ფუნქციები. რ. მერტონის შეხედულებით სოციოლოგია უნდა დაგვეხმაროს „ინდუსტრიული საზოგადოების“ დადებითი და უარყოფითი მომენტების, მისი დეფორმაციული სტრუქტურების და დისფუნქციური მოვლენების დადგენაში, ამ საზოგადოების სრულყოფის გზების დასახვაში.

და ბოლოს ამერიკელი მეცნიერი და სოციოლოგი ნ. სმელზერი ხუთი პუნქტით განსაზღვრავს თანამედროვე ფუნქციონალიზმის თეორიულ ჩარჩოებს:

1. საზოგადოება არის ერთიან მთლიანად გაერთიანებული ნაწილების სისტემა;
2. საზოგადოებრივი სისტემა მდგრადომას ინარჩუნებს, რამდენადაც მასში არსებობს კონტროლის შინაგანი მექანიზმები; როგორიცაა სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო.
3. ცხადია, დისფუნქციებიც არსებობს, მაგრამ ისინი ან თავისთავად დაიძლევიან ან ბოლოსდაბოლოს მკვიდრდებიან საზოგადოებაში.
4. ცვლილებებს, ჩვეულებრივ, აქვთ თანდათანობითი და არა რევოლუციური ხასიათი.
5. სოციალური ინტეგრაცია, ანუ იმის შეგრძნება, რომ საზოგადოება განსხვავებულია მაგრამ მათ აქვთ საერთო ინტერესები და ისინი აყალიბებენ ღირებულებათა ერთიან სისტემას. მაგალითად ინგლისელები ეხმარებიან მონარქიას რათა მან იარსებოს, თუმცა არსებობს პრემიერ–მინისტრის პოსტი, რომელიც უფ-

რო, მაღალია, მაგრამ შეთანხმებული ქმედებები იწ-
ვევს სწორედ იმ ბალანსს საზოგადოებაში.

ასე აყალიბებს ნ. სმელზერი თანამედროვე ფენქციონა-ლისტების ტ. პარსონსისა და რ. მერტონის სოციოლოგიურ დასკვნებს.

პიროვნების ფსიქოლოგია

(პიროვნების ფროიდისეული კონცეფცია)

როცა ფსიქოლოგიური კუთხით ვუდგებით, ისეთ რთულ პრობლემას, როგორიცაა ადამიანის შინაგანი ბუნება, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის თეორიები, რომლებსაც ფსიქოლოგები განიხილავენ პიროვნებასთან მიმართებაში. ის გარემოება, რომ ადამიანი პიროვნებად იქცევა ადამიანთა საზოგადოებაში, არ წარმოადგენს უკვე სადაო საკითხს, რადაგან ერთხელ და სამუდამოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ „ადამიანური ურთიერთობების გარეშე პიროვნება არ არსებობს“.

პიროვნებაში ბიოლოგიურისა და სოციალური როლის შესახებ მრავალი თეორია არსებებობს. ინდივიდის განვითარების ბუნებრივი წინამძღვრები, მისი სხეულებრივი ორგანიზაცია, ნერვიული და ენდოკრინული სისტემები დიდ გავლენას ახდენენ მისი ინდივიდუალურ–ფსიქოლოგიური და პიროვნული ფორმირების საქმეში. ამ მხრივ აღსანიშნავია მეოცე საუკუნის დასაწყისი, როცა ფსიქოლოგიაში აღმოცენდა ახალი მიმდინარეობა, რომელსაც შემდეგ ფსიქოანალიზი ეწოდა და რომლის შემქმნელი და სულისჩამდგმელი გახლდათ ზიგმუნდ ფროიდი (1856-1939). ამ ახალმა მიმართულებამ დიდი გავლენა იქონია ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე და ადამიანის პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა მეცნიერებასა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ცალკეულ ფაქტორებზე.

ტერმინ „ფსიქოანალიზს“ სამი მნიშვნელობა აქვს: 1) პიროვნების თეორია და ფსიქოპათოლოგია, 2) პიროვნულ დარღვევათა თერაპიის მეთოდი; 3) ადამიანის გაუცნობიერებელი აზრებისა და გრძნობების შესწავლის მეთოდი. ზ. ფროიდი ეყრდნობოდა ე.წ. ტოპოგრაფიულ მოდელს, რომლის მიხედვითაც ფსიქიკურ ცხოვრებაში გამოიყოფა სამი დონე: ცნობიერი, ქვეცნობიერი და არაცნობიერი. ცნობიერების დონეს შეადგენენ შეგრძნებები და განცდები, რომელსაც ადამიანი აცნობიე-

რებს დროის მოცემულ მონაკვეთში. ცნობიერება მოიცავს მხოლოდ ტვინში შენახულნ ინფორმაციის მცირე ნაწილს, ამასთანავე განსაზღვრული ინფორმაცია ცნობიერდება მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთში, შემდგომში იგი მალე გადადის ქვეცნობიერსა და არაცნობიერში. ეს იმის მიხედვით ხდება, თუ ადამიანის ყურადღება როგორც გადაერთვება სხვა სიგნალებზე.

ქვეცნობიერი ან წინარეცნობიერი სფერო მოიცავს იმ გამოცდილებას, რომელიც მოცემულ მომენტში არ ცნობიერდება, მაგრამ ადვილად შეუძლია გაცნობიერდეს სპონტანურად ან მინიმალური ძალისხმევის შედეგად.

ზ. ფროიდის მიხედვით ადამიანის ფსიქიკის ყველაზე ღრმა და მნიშვნელოვანი სფეროა არაცნობიერი, რომელიც წარმოადგენს ინსტიქტური სწრაფვების, ემოციებისა და მოგონებების საწყობს, რომლებიც ცხოვრების მიერ ჩახშობილნი და განდევნილნი არიან არაცნობიერში. მაგრამ ეს გაუცნობიერებელი სფერო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ყოველდღიურ ქცევას, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ამას ვერ აცნობიერებს. არაცნობიერი სინამდვილე ადამიანის ცნობიერებისათვის სრულიად მიუწვდომელია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მნიშვნელოვნად აპირობებს და განსაზღვრავს მის ქცევებს.

მრავალწლიანი კლინიკური დაკვირვების შედეგად ზ. ფროიდმა ჩამოაყალიბა ფსიქოლოგიური კონცეფცია რომლის მიხედვით ადამიანის ფსიქიკა შედგება სამი სტრუქტურისაგან, დონისაგან: „იგი“, „მე“ და „ზე–მე“. ეს არის ფსიქიკური ცხოვრების ფროიდისტული მოდელი. „იგი“ არის ფსიქიკის არაცნობიერი ნაწილი, თანშობილი ინსტიქტების, აგრესიულ და სექსუალურ სწრაფვათა ადგილსამყოფელი, რომელიც შეიცავს დიდ სექსუალურ ენერგიას–ლიბიდოს.

ზ. ფროიდის მიხედვით ადამიანი არის ჩაკეტილი ენერგეტიკული სისტემა და თითოეული მათგანის ენერგიის რაოდენობა მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს. „იგი“ ემორჩილება სია-

მოვნების პრინციპს, ე.ი. ამ სფეროსათვის სიამოვნება და ბედნიერებაა ადამიანის ცხოვრების ძირითადი და მთავარი ამოცანა.

ქცევის მეორე ძირითადი პრინციპთა ჰომეოსტაზი – შინაგანი წონასწორობის შენარჩუნების ტენდენცია. ცნობიერების „მე“–ს დონე მუდმივ ქონფლიქტში იმყოფება „იგი“–სთან და ახშობს სექსუალურ ლტოლვებს. ცნობიერების დონე ყალიბდება საზოგადეობის გავლენის საფუძველზე. „მე“–ზე ზემოქმედებს სამი ძალა: „იგი–მე“ და საზოგადოება, რომელიც ადამიანს უყენებს თავის მოთხოვნებს. „მე“ ყოველთვის ცდილობს მათ შორის დაამყაროს ჰარმონია. იგი ემორჩილება არა სიამოვნების, არამედ რელობის პრინციპს. „ზე–მე“ არის მორალური სტანდარტების მატარებელი, პიროვნების ის ნაწილი, რომელიც ასრულებს კრიტიკისა და ცენზურის ფუნქციას, ესაა სინდისი. როცა „მე“ ღებულობს გადაწყვეტილებას და განახორციელებს „იგი“–სათვის მისაღებ, მაგრამ „ზე–მე“–სთვის მიუღებელ ქცევას, ამ დროს პიროვნება განიცდის სასჯელს სირცხვილისათვის, სინდიდის ქენჯნას და დანაშაულის გრძნობას. ზ. ფროიდის ფსიქიკური ცხოვრების სტრუქტურული მოდელი ასეთი სახისაა: „იგი“–ს სფერო მთლიანად არაცნობიერია, მაშინ, როცა „მე“ და “ზე–მე“ ვლინდება სამთავე დონეზე.

ბავშვებთან ფსიქიკის, განსაკუთრებით კი „ზე–მე“–ს ანუ „სუპერეგოს“ ჩამოყალიბება იწყება ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევით. ზ. ფროიდის მიხედვით ძველბერძნულ მითში ოიდიპოსის მეფის შესახებ, რომელშიც იგი კლავს საკუთარ მამას და ქორწინდება დედამისზე, ჩამარხულია ყოველ მამაკაცში მუდმივად არსებული სექსუალური კომპლექსის გასაღები: ბიჭი განიცდის დედისაკენ ლტოლვას და ამ დროს იგი მამას აღიქვამს, როგორც მოწინააღმდეგეს და რომლის მიმართაც განიცდის ზიზღსა და შიშს: ბიჭს უნდა მამის სიკვდილი, რის გამოც მის მიმართ განიცდის დანაშაულს და ეშინია კიდეც მისი.

კასტრაციის შიშით ბავშვი თრგუნავს სექსუალურ ლტოლვას დედის მიმართ, 5-6 წლის ასაკში თავის თავში ახ-

შობს ოიდიპოსის კომპლექსს და მას უჩნდაება „ზე–მე“, სინდისი. „ზე–მე“, ანუ სუპერეგო შეიცავს საზოგადოებაში მიღებულ ღირებულებებსა და ნორმების სისტემას, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას გაიგოს რა არის კარგი და ცუდი, რა არის ზნეობრივი და უზნეო საქციელები.

ზ. ფროიდმა სუპერეგო გაყო ორ ნაწილად: სინდისი და ეგო იდეალი. სინდისი არის კრიტიკული თვითშეფასების უნარი. ესაა მორალური აკრძალვებისა და ადამიანის მიერ დანაშაულის განცდა, როცა მან არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა ან კიდევ არ გააკეთა ისე, როგორც უნდა გაეკეთებინა. ეგო–იდეალი ყალიბდება იმის მიხედვით, თუ განსაკუთრებით რას იწონებენ და აფასებენ მშობლები, რომლის საფუძველზედაც ბავშვი (ადამიანი) აყალიბებს ქცევის მაღალ მორალურ სტანდარტებს. სუპერეგო საბოლოოდ მაშინ ფორმირდება, როცა ბავშვის პიროვნების თვითკონტროლს ჩაენაცვლება მშობლების გარეგანი კონტროლი. სუპერეგო ცდილობს მკაცრად დათრგუნოს „იგი“–ს მხრიდან წამოსული „მიუღებელი სურვილები“ და როცა ადამიანი არღვევს სინდისის ნორმებს, იგი დასჯის მას.

„ზე–მე“ არ უშვებს ინსტიქტებს „მე“–ში, როცა ამ ინსტინქტების ენერგია სუბლიმაციას და ტრანსფორმაციას განიცდის, იგი ვლინდება ადამიანისათვის და საზოგადოებისათვის მისაღები ქცევისა და ფორმირების სახით (შემოქმედება, ხელოვნება, თამაში, შრომა, სიზმარი, ხმაურობა და სხვა) ამრიგად, სუბლიმაცია არის დათრგუნული, განდევნილი, აგრძალული სურვილების გარდაქმნა ქცევის ისეთ ფორმად, რომელიც მიღებულია და ნებადართულია საზოგადოების მიერ.

თუ ლიბიდოს ენერგია ვერ პოულობს გამოსავალს, ადამიანს ემართება ფსიქიკური აშლილობები, ნევროზები, ისტერია და ეუფლება სევდა. „მე“–სადა „იგი“–ს შორის კონფლიქტების აღმოსაფხვრელად გამოიყენება ფსიქოლოგიური დაცვის საშუალებები. ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმი ეხმარება ადამიანს თავი დაიცვას იმ პრობლემებისაგან, რომელთა გა-

დაწყვეტა მას ჯერ–ჯერობით არ შეუძლია. ეს მექანიზმი მას ეხმარება გაეცალოს „საშიშ რეალობას“. ზ. ფროიდმა გამოიყენა რამდენიმე დამცველი მექანიზმი:

1) სურვილების განდევნა. ეს არის მიუღებელი ანუ აკრძალული სურვილების, აზრების, გრძნობების, განცდების ცნობიერებიდან არაცნობიერში განდევნა. განდევნა არ არის საბოლოო. არაცნობიერში განდევნილი აზრები არ კარგავენ აქტივობას და იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მათი ცნობიერებაში შემოჭრა, საჭიროა ფსიქიკური ენერგიის მუდმივი ძალისხმევა. სხეულებრივი დაავადების მიზეზადაც (თავის ტკივილები, ართრიტები, წყლული, ასთმა, ჰიპერტონია და ა.შ.) დათრგუნული, განდევნილი სურვილთა ფსიქიკური ენერგია არსებობს ადამიანში მისი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და ზიანს აყენებს პიროვნებას.
2) უარყოფა. ესაა ფანტაზიაში წასვლა, რომელიმე მოვლენის, როგორც „არა მართლის“ უარყოფა. „ეს არ შეიძლება მოხდეს“ - ადამიანი უგულებელყოფს ყოველგვარ ლოგიკას. ვერ ამჩნევს წინააღმდეგობებს საკუთარ მსჯელობებში.
3) რაციონალიზაცია. ეს არის საკუთარი არასწორი, აბსურდული ქცევის ახსნის და გამართლების არაცნობიერი მცდელობა. ამ დროს ადამიანი თხზავს მისთვის მისაღებ ლოგიკურ დასაბუთებას, არგუმენტებს, ქცევის მიუღებელი ფორმების, აზრების, საქციელის, სურვილების გასამართებლად და დასასაბუთებლად. ამასთანავე, როგორც წესი, ეს ახსნა არ შეესაბამება ჩადენილი ქცევის ჭეშმარიტ მიზეზს, რომელიც ადამიანის მიერ შეიძლება არც იყო გაცნობიერებული.
4) ინვერსია ანუ საწინააღმდეგო კეთება. ეს არის ნამდვილი სურვილების საპასუხო მოქმედებების, აზრების, გრძნობების შეცვლა დიამეტრულად საწინააღმდეგო ქცევებით, აზრებითა და მოქმედებით. მაგალითად, ბავ-

შვი, რომელიც ვერ იღებს დედისაგან სიყვარულს, იწ-ყებს მის გაბრაზებას, რათა გამოიწვიოს მისადმი ზიზ-ღის გრძნობა, რათა იგი დედას შეჯავრდეს.

5) პროექცია. ესაა არაცნობიერი მცდელობა თავიდან მოი-შოროს აკვიატებული სურვილები, სხვებისადმი მისი მი-წერისა და მიკუთვნების კვალობაზე. სხვა ადამიანები-სადმი საკუთარი თვისებების მიწერა არის „საშიშროე-ბის თავიდან მოშორება“. პროექცია ეხმარება ადამიანს საკუთარი დანაშაული დააკისროს სხვას, ე.ი. სხვას მია-წეროს მისი პირვონების უარყოფითი თვისებები.

6) შეცვლა: შეცვლა ეს არის ემოციური იმპულსების გა-დართვა უფრო საშიში ობიექტიდან ან პიროვნებიდან ნაკლებად საშიშზე. მაგალითად ბავშვი, რომელიც მშობ-ლებმა დასაჯეს, სამაგიეროს უხდის თავის პატარა დას, ამტვრევს მის სათამაშოებს, ცემს ძაღლს. ამ შემთხვევა-ში უმცროსი და, და ძაღლი ცვლის მის მშობლებს, რო-მელთა მიმართაც, ბავშვი ავლენს წყენას და ბრაზს.

7) იზოლაცია. ეს არის სიტუაციის საშიში ნაწილის გამოყო-ფა და ჩამოშორება დანარჩენი ფსიქიკური სფეროსაგან, რაც იწვევს ადამიანის პიროვნების გაორებას, განკერ-ძოებულობას, მე–ს არასრულ განვითარებას.

8) რეგრესია. რეგრესია არის რეაგირების ადრეულ პრიმი-ტიულ ფორმებზე დაბრუნება, როცა გამძლე რეგრესო-რები ვლინდება ისეთ ქცევებში, როდესაც ადამიანი თა-ვის ქცევებს ამართლებს და ასაბუთებს ბავშური აზროვ-ნების ლოგიკის პოზიციიდან და არ აღიარებს ნამდვილ ლოგიკას, თავის თვალსაზრისს დაჟინებით იცავს იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოკამათე მართალია. ასეთი ადამიანი არ ვითარდება ფსიქიკურად და ხანდახან იგი იმეორებს ინფანტილურ ჩვევებს. ყოველი ადამიანი ამა თუ იმ ფორმით, მეტ–ნაკლებად იყენებს დაცვის მექა-ნიზმებს, რომელთაც ორი საერთო თვისება გააჩნია: ყვე-ლა მათგანი მოქმედებს არაცნობიერად და ამიტომ წარ-

მოადგენს თვითმოტყუების საშუალებებს, იმის გამო, რომ საშიშროება ნაკლებ საზიანოდ წარმოადგინონ, ადამიანები რეალობის აღქმას ამახინჯებენ ან საერთოდ უარყოფენ მას.

საშიშროება შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის:

1) რეალური საშიშროება (შიში) როცა გარესამყაროს რეალურ საშიშროებაზე ემოციური პასუხი ეხმარება ადამიანს უზრუნველყოს შენახვა:
2) ნევროტული საშიშროება. ეს არის ემოციური პასუხი ისეთ საშიშროებაზე, როცა „იგი"–დან მომდინარე მიუღებელი იმპულსები ცნობიერდება. ესაა შიში იმის გამო, რომ „მე" აღმოჩნდება უუნარო კონტროლი გაუწიოს სექსუალურ ან აგრესიულ სურვილებს, რაც აისახება საზოგადოებისთვის მიუღებელ უარყოფით ქცევებში.
3) მორალური შიში როცა „მე" განიცდის დასჯის მუქარას „ზე–მე"–საგან, როცა „იგი" ცდილობს აქტიურად განახორციელოს უზნეო ქცევები და რაზედაც მას „ზე–მე" პასუხობს აკრძალვებით, სირცხვილით, დანაშაულის გრძნობით.
4) სოციალური შიში. ეს შიში აღმოცენდება მაშინ, როცა ბავშვს თავისი მიუღებელი საქციელის გამო ემუქრება თანატოლთა ჯგუფიდან გარიცვა. მოგვიანებით ზ. ფროიდმა აღნიშნა, რომ შიში, რომელიც თავის საწყისს იღებს „ზე–მე" დან საბოლოოდ გადაიქცევა სიკვდილის შიშად და წარსულში ჩადენილი ცოდვებისათვის საიქიოში სამაგიეროს გადახდის მოლოდინის მწვავე განცდად.

შიში და შფოთვა ნევროტიკებთან ლიბიდოს ენერგიის არაადექვატური განმუხტვის შედეგია და იგი გვევლინება ადამიანის გამაფრთხილებელ სასიგნალო საშუალებად მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. ნამდვილი შიშის დროს საფრთხე მომდინარეობს გარეგანი კონკრეტული სამყაროსაგან, ხოლო ნევროტული შიშის დროს საფრთხის წყარო უცნობია. ბავშვობის ასაკში შიში აღმოცენდება ინსტიქტების ძლიერი აგზნების

გამო, ხოლო შემდეგში იგი ვლინდება საფრთხის მოლოდინის სახით. ინსტიქტური ლტოლვები რომელიც ოდესღაც იყო მიუღებელი და რის გამოც ისინი განიდევნენ ცნობიერებიდან, დაითრგუნენ და გადავიდნენ ფსიქიკის არაცნობიერ ნაწილში, საბოლოოდ მაინც არ ისპობიან და ფარული ფორმით განაგრძობენ არსებობას.

ზ. ფროიდის მოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის თეორიას სექსუალური განვითარების შესახებ. მისი აზრით, ფსიქოსექსუალური ქცევები იწყება ჯერ კიდევ ჩვილის ძუძუთი კვების პერიოდში, როცა ბავშვის პირი გადაიქცევა ეროგენული, დაკმაყოფილების ზონად. ესაა ე.წ. ორალური სტადია. მისი აზრით, ასე იქცევა პირი მნიშვნელოვან ეროგენულ ზონად ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში. ყველა ბავშვს უჭირს დედის ძუძუს წოვის გადაჩვევა. ეს იმიტომ ხდება, რომ ამით ბავშვი კარგავს უდიდესი სიამოვნების მიღების წყაროს.

ბავშვი, რომელიც ჩვილობის ასაკში ღებულობდა გადაჭარბებულ ან არასაკმაო სტიმულაციას და წარმოიშვა მისი ფიქსაცია ორალურ სფეროში, მას ზ. ფროიდის აზრით, ჩამოუყალიბდა პიროვნების ორალურ–პასიური ტიპი, რომელიც გარესამყაროსგან ელოდება „დედობრივ დამოკიდებულებას“. იგი მუდამ ეძებს მხარდაჭერას და მოწონებას, ძალზე დამოკიდებული, დამჯერე და შემსრულებელი არსებაა.

ექვსი თვის შემდეგ იწყება ორალური სტადიის ორალურ–აგრესიული ანუ ორალურ–სადისტური ფაზა, როცა ბავშვს ამოსდის კბილები და კბენა იქცევა დედის არყოფნის ან კვების დაგვიანებით გამოწვეული უკმაყოფილების ან ფრუსტრაციის გამოხატვის საშუალებად. ადამიანს მოწიფულობაში გადაყვება ხოლმე ამ ორივე ფაზისათვის დამახასიათებელი ისეთი ქცევები, როგორიცაა: ორალურ–პასიურისათვის: საღეჭი რეზინის ღეჭვა, ფრჩხილების კვნეტა, თამბაქოს წევა, კოცნა, ორალური სექსი და ა.შ. ორალურ–აგრესიულისათვის: კამათის სიყვარუ-

ლი, კრიტიკანიზმი, ცინიზმი, მისწრაფება სხვების ექსპულუა-ტაციისათვის, სხვებზე დომინარება და სხვა.

მესამე ფაზა არის ე.წ. ანალური სტადია, რომელიც და-კავშირებულია დეფეკაციისა და მოგვიანებით, მოშარდვისაგან მიღებულ სასიამოვნო შეგრძნებებთან. ოთხი წლის ასაკში ყვე-ლა ლტოლვა ერთიანდება და იწყება ბავშვების განუზომელი ინტერესი სასქესო ორგანოებისადმი (ფალოსური სტადია). ბავშვები ათვალიერებენ თავიანთ სასქესო ორგანოებს, ინტე-რესდებიან მშობიარობის, სქესობრივი ცხოვრებისა და დაბა-დების საკითხებით. შემდგომში ვითარდება ოიდიპოსის, ხოლო გოგონებთან ელექტრას კომპლექსი, რომელთა არსი საწინააღ-მდეგო სქესის მშობლებთან დადებითი დამოკიდებულების დამყარებისა და თავისი სქესის მშობლებთან აგრესიული და-მოკიდებულების ჩამოყალიბებაში მდგომარეობს.

ზ. ფროიდის აზრით, ბავშვები მოგვიანებით ოიდიპოსის ტენდენციებს ემიჯნებიან კასტრაციის შიშით. 5-7 წლის ბიჭი თრგუნავს, ცნობიერებიდან აძევებს თავის სექსუალურ სურვი-ლებს დედის მიმართ და იწყებს მის იდენტიფიკაციას მამასთან: ითვისებს მამაკაცის სექსუალურ–რთული ქცევის ნორმებს, მოდელებს და მორალურ სტანდარტებს, ე.ი. ოიდიპოსის კომ-პლექსის დაძლევის შედეგად ყალიბდება „ზე–მე“. გოგონებში კი ხდება ელექტრას კომპლექსის გადალახვა (ძველ ბერძნული მითის მიხედვით ელექტრა თხოვს თავის ძმას მოკლას მათი დე-და და მისი საყვარული რათა შური იძიოს მამის სიკვდილისათ-ვის.), ითრგუნება მამისკენ ლტოლვა და ხდება დედასთან ინ-დენტიფიკაცია.

ოიდიპოსის კომპლექსის მოუგვარებლობა ზ. ფროიდის აზრით არის ნევროტიული აშლილობის ძირითადი წყარო და მიზეზი. იგი განსაკუთრებით ისეთ აშლილობებს ედება საფუძ-ვლად, რომლებიც დაკაშირებულია იმპოტენციასთან, ფრიგი-დულობასთან, ჰომოსექსუალობასა და ლესბიანიზმთან.

შემდგომში დგება ე.წ. ლატენტური (ფარული) პერიოდი (10-11 წლამდე), როცა ბავშვი მიმართულია სწავლაზე, ადამია-

ნურ ურთიერთობებზე და სქესობრივი მომწიფების პერიოდის დადგომისთანავე იწყება სექსუალური განვითარების გენიტალური პერიოდი, როცა სექსუალური ლტოვები და ინტერესი ძლიერდება და კონცენტრირდება საწინააღმდეგო სქესის განსაზღვრულ წარმომადგენლებზე.

ზ. ფოიდის აზრით, ყველა მოზარდი (უმცროსი მოზარდობის სტადიაში) გაივლის „ჰომოსექსუალურ პერიოდს“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უპირატესობას აძლევენ საკუთარი სქესის თანატოლთა საზოგადოებაში ყოფნას. ამ დროს აღსანიშნავია აგრეთვე ეპიზოდური ჰომოსექსუალური თამაშებიც. შემდგომში კი ლიბიდოს ენერგიის ობიექტი ხდება საწინააღმდეგო სქესის პარტნიორი და იწყება არშიყობა. ამ მოვლენათა საფუძველზე ვითარდება „ფსიქოლოგიური სიმწიფის“ სტადია, რომლის ძირითადი პარამეტრია უნარი უყვარდეს სხვა ადამიანი როგორც ასეთი და არა როგორც მისი სქესობრივი პარტნიორი. თუმცა „ფსიქოლოგიური სიმწიფის“ სტადიას ამ ასაკში მხოლოდ ერთეულები აღწევენ.

ზ. ფროიდის მიხედვით არსებობს ორი ძირითადი ინსტინქტი – სიცოცხლის და სიკვდილის. სიცოცხლის ინსტინქტი ანუ ეროსი თავის თავში მოიცავს ყველა იმ ძალასა და შესაძლებლობას, რომელიც ემსახურება სიცოცხლის შენარჩუნებასა და გვარის გაგრძელებას. ამ ჯგუფის ძირითადი ინსტიქტებია სექსუალური ინსტინქტი და სექსუალური ენერგია ლიბიდო სიკვდილის (თანატოლი) ინსტინქტი საფუძვლად ედება ადამიანის აგრესიას. სისასტიკის, მკვლელობის, თვითმკვლელობის და ყოველგვარი მავნე ფორმის ქცევის გამოვლენას.

ფსიქოანალიზის თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიზმარს. ზ. ფროიდი მას უწოდებდა „სამეფო გზას არაცნობიერებისაკენ“. სიზმრის ანალიზის საშუალებით ფსიქოთერაპევტს საშუალება ეძლევა გამოავლინოს და პაციენტს აუხსნას მის არაცნობიერებაში არსებული შიშები, სურვილები, წინააღმდეგობები, დაცვითი მექანიზმები და სხვა.

სიზმრის მიზეზს წარმოადგენს არაცნობიერი ლტოლვა, რისთვისაც მას ესაჭიროება ფსიქიკური ენერგია. როგორც ყოველგვარი ლტოლვა, ისიც ისწრაფვის თვითდაკმაყოფილებისათვის და სიზმარის არსიც სწორედ ამაში მდგომარეობს. სიზმარში ფარული აზრები გარკვეულ სიმბოლოებად გარდაიქმნება. სიზმრის შინაარსს ამახინჯებს ცენზორი, რომელიც მიმართულია მიუღებელი არაცნობიერი ლტოლვების წინააღმდეგ. რამდენადაც სიზმრის სიმბოლო მჭიდროდ უკავშირდება მის შინაარსს, ეს საშუალებას გვაძლევს ავხსნათ სიზმარი. ზ. ფროიდის კონცეფციაში სახლი, გლუვი კედლებით, გამოხატავს მომავალს, ხოლო შვერილებითა და აივნებით – ქალს. მშობლები გვეჩვენება მეფისა და დედოფლის ან სხვა წარმომადგენელთა სახით, რომელთა მიმართ გვაქვს პატივისცემა და მოწიწება, პატარა ცხოველების სახით გვეჩვენება შვილები, დები და ძმები. დაბადება დაკავშირებულია წყალთან (წყალში შესვლა, ჩავარდნა ან გამოსვლა).

ძალზე მდიდარია სიმბოლოებით სექსუალური შინაარსის სიზმრები. მამაკაცის გენიტალობის სიმბოლოა მაგიური რიცხვი სამი მასთან სიმბოლურადაა დაკავშირებული ფორმითი ნივთები – გრძელი და აღმართული (ჯოხი, ხე, ქოლგა, ბოძი) საგნები, რომელთაც აქვთ შიგნით შესვლისა და გაჭრის თვისებები (დანა, ხმალი, მაკრატელი), აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე ფანქარი, კალმისტარი, ჩაქუჩი, ფრენა და კიბეებზე ასვლა–ჩამოსვლა.

სიზმრის ახსნა მჭიდროდ უკავშირდება მკურნალობის ეტაპებს. საწყის ეტაპზე მთავარი ყურადღება ექცევა „დღის ნარჩენებს“, რაც პაციენტის ცხოვრებაში ყველაზე უახლესი განცდებია. ამით პაციენტი ხვდება, რომ სიზმარი დაკავშირებულია რეალური ცხოვრების გამოცდილებასთან. პაციენტი იგებს იმასაც, რომ შესაძლებელია სიზმრის გაანალიზება და მისი ფარული აზრის გაგება. შემდგომში კი თანდათანობით ხდება სიზმრის მასალაში დაცვითი მექანიზმების, წინააღმდეგობებისა და ტრანსფერის დიფერენციაცია. ტრანსფერის ანუ

გადატანის საშუალებით პაციენტი იხსენებს დავიწყებულს, ე.ი. იმას რაც წარმოადგენს მისი ფსიქიკური აშლილობის არაცნობიერ წყაროს. მკურნალობის უფრო გვიანდელ ეტაპზე ხორციელდება იმის გაანალიზება, რომ სიზმარში ადგილი აქვს არაცნობიერში ღრმად მდებარე ბავშვური სურვილების, შიშებისა და კონფლიქტების ასახვას.

ამგვარად, ფროიდისეული მოძღვრების მიხედვით, ადამიანი არის წინააღმდეგობრივი, წვალებულ–წამებული არსება, რომლის ქცევა, მისი ცნობიერების კონტროლის მიუხედავად, უმთავრესად განპირობებულია არაცნობიერი ფაქტებით.

ზ. ფროიდის აზრით გაუცნობიერებელი შინაგანი კონფლიქტფები აკონტროლებენ და წარმართავენ ადამიანის ქცევას. ამის გამოა, რომ ადამიანი ხშირად არის ნევროტული და კონფლიქტური. მეცნიერების წინაშე ზ. ფროიდის დამსახურება უდაოდ დიდია. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ფსიქიკის არაცნობიერი მხარის კვლევას და შეისწავლა პიროვნების შინაგანი კონფლიქტები.

XX ს. 80-იან წლებამდე ფროიდისტულ თეორიას საბჭოთა კავშირში ბევრი მოწინააღმდეგები ყავდა და მას თითქმის არც იცნობდა ფართო საზოგადოება, მხოლოდ დამოუკიდებლობის შემდეგ გახდა იგი ხელმისაწვდომი ყველასათვის. თუმცა მიმდინარეობა ნეოფროიდიზმი წარმატებით განვითარდა შემდგომ, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან კ. ჰორნი და ე. ფრომი.

პიროვნების ქცევითი კონცეფცია

მოქმედება აღნიშნავს ქცევას, რომლის არჩევანი ბევრად აღემატება ინსტინქტურსა თუ რეფლექსურს. მოქმედება სოციალურია ერთი მხრივ, რადგან ადამიანებსაც შეეხება და მეორე მხრივ, სხვათა მიერ შექმნილ გარემოებებზეც არის დამოკიდებული. სინამდვილეში ადამიანად და პიროვნებად მის ჩამოყალიბებაზე დიდ როლს თამაშობს ქცევა, რომელიც სოციალურითაა ნაკარნახები – ჩვენ ვსწავლობთ ენას, ღირებულებებსა და ქცევას, პირველ რიგში სოციალური ურთიერთობის მეშვეობით.

სოციალური მოქმედება შეუძლიათ არა მხოლოდ პიროვნებებს, არამედ ჯგუფებსა და ისეთ რთულ ორგანიზაციებს, როგორიც კორპორაციები თუ ხელისუფლებებია. ჩვენ, როგორც პიროვნებებს, საკუთარი პირობების შესაცვლელად მოქმედება შეგვიძლია მაგალითად, ყოველდღიურად ვარჯიშობთ სპორტ–დარბაზში, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი ჯანმრელობა და დავხვეწოთ, ჩვენი ფიზიკური სილამაზე. ან ვერთიანდებით არამწეველთა ორგანიზაციაში, რათა ამ მავნე ჩვევისაგან გავნთავისუფლდეთ.

ადამიანი მოქმედი არსებაა და მისი შესწავლა ხდება აქტივობის, მოქმედების, ქცევის პროცესში. მოქმედება, ქცევა არის ადამიანის ბუნებასთან აქტიური ურთიერთქმედება, რომელიც ხორციელდება განსაზღვრული მოთხოვნილებების აღმოცენების საფუძველზე.

ჯორჯ ჰერბერტ მიდის (1863-1931) მიდგომა სოციალურ ურთიერთქმედებაზე ეფუძნება სამ ძირითად მოსაზრებას. პირველი ხალხი რეგირებს ყველაფერზე, რასაც ან ვისაც კი გადააწყდება, რაც იმის შესაბამისად ხდება, რას ნიშნავს მათთვის ის ხალხი, ქმედება თუ სიტუაცია. მეორე– ჩვენ ვსწავლობთ საგნების მნიშვნელობას, რასაც იმაზე დაკვირვებით ვახორციელებთ, როგორ რეაგირებენ სხვა ადამიანები მათზე ანუ – სოციალური ურთიერთქმედებით. მესამე – როგორც შედეგი მიმდინარე ურთიერთქმედებისა, ხმა ჟესტიკულაცია, გამომეტყველება და აღ-

ნაგობა იძენს სიმბოლურ მნიშვნელობას, რასაც იზიარებს ერთი და იმავე კულტურას მიკუთვნებული ხალხი.

როდესაც ჯ. მიდი უფრო ვრცლად საუბრობდა ჩვენს მიერ სოციალური სიტუაციების გაგებაზე, იგი ფიქრობდა, რომ ქცევასა და მოვლენებს სხვებთან ურთიერთობის შედეგად ვსწავლობთ. ასეთი ურთიერთობით ვსწავლობთ ჩვენი „ადგილების“ შესახებ სოციალურ სამყაროში და შევიმეცნებით იმ როლებს, რომლებიც უნდა ვითამაშოთ სხვადასხვა სიტუაციაში. ჩვენი იდენტობის ან კიდევ, საკუთარი „მეს“ მოაზრებაც განპირობებულია სოციალური ურთიერთობებით. ამით მიდი გულისხმობდა, რომ ადამიანები საკუთარი თავის შესახებ შეხედულებას იქმნიან იმაზე დაკვირვებით, სხვები როგორ რეაგირებენ მათზე, თუმცა ადამიანის ფიქრები და განცდები პირდაპირ ხელმისაწვდომი არ არის სხვებისათვის. არამედ, ურთიერთობას ვახდენთ სიმბოლოების საშუალებით – სიტყვებით, ჟესტებით, სახის გამომეტყველებით, სხვა ხმებითა და მოქმედებებით, რომლებსაც საერთო, საყოველთაოდ გაზიარებული ინტერპრეტაციები აქვს. ამრიგად, ადამიანური ქცევის უმეტესი ნაწილი სიმბოლური ინტერაქციონიზმით არის განპირობებული. მაგალითად, ამერიკელები მოსაუბრეს პირდაპირ უყურებენ და ეს არის ქმედება, რომელიც ბევრ კულტურაში შესაძლებელია, შეურაცმყოფელი და აღმაშფოთებელი იყოს. ჩვენ იმ ხალხს, ვისაც ერიდება თვალის გასწორება, „ფლიდს“ ვუწოდებთ. ასევე ვიყენებთ თვალებს სტატუსის დასამტკიცებლად, როდესაც ურთიერთქმედების დროს პარტნიორები განსხვავდებიან ძალაუფლებითა და საზოგადოებაშიც ასევე სხვადასხვა ავტორიტეტით სარგებლობენ, ის ვინც პირველი ვერ გაუსწორებს თვალს პარტნიორს, მიანიშნებს პატივისცემასა და მორჩილებაზე. შედარებით დაბალი სტატუსის მქონე პარტნიორებმა შესაძლებელია თვალი გაუსწოროს მოლაპარაკეს, როდესაც უსმენს მას, ხოლო როდესაც თვითონ ლაპარაკობს, მაშინ მას თვალს არიდებს ან საერთოდ დაბლა იყურება. მამაკაცისა და ქალის ურთიერთქმედების დროს ქალები უფრო ხშირად გაურბიან თვალებში ყურებას. როდესაც ქალს სერიოზული ძალისმიერი

პოზიცია უკავია მაგალითად არის პოლიციელი ან კიდევ წარმოების უფროსი, მაშინ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მიდი მიიჩნევს, რომ ასეთი სიმბოლური ურთიერთქმედებები სოციალური წყობის საშენი ბლოკებია.

გამომდინარე კონტექსტიდან, ერთი და იმავე სიმბოლოს, შესაძლებელია სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. როდესაც დაჟინებით მიაჩერდებით ვინმეს, რომელიც თქვენ წინ ცდილობს რიგში ჩადგომას, მაშინ გამოხატავთ მრისხანებას; როდესაც საწინააღმდეგო სქესის ადამიანს დაჟინებით უყურებთ რიგში, მაშინ თქვენი მზერა რომანტიული ინტერესის მანიშნებელია.

სიმბოლური მესიჯების ინტერპრეტაცია დამოკიდებულია ადამიანის შესაძლებლობაზე, აიღოს სხვა პიროვნების როლი. როლის აღება ნიშნავს საკუთარი თავის დაყენებას სხვის ადგილზე იმის წარმოდგენით, რას გრძნობს და ფიქრობს ის ადამიანი, და იმის გათვლით, რას მოიმოქმედებს ის შემდგომ. ამგვარად, ჩვენ ვწყვეტთ ჩვენი, რომელი ქმედება იქნება ყველაზე „წარმატებული“ ან რა მიგვიყვანს ყველაზე ახლოს ჩვენს მიზნებთან.

როლები არ არის ფიქსირებული და უცვლელი სოციალურმა ურთიერთქმედებამ შესაძლებელია გაამყაროს როლის არსებული ურთიერთობები ან გამოიწვიოს მათი ცვლილება. როლის ცვლილებაში იგულისხმება უფრო მეტი, ვიდრე ინდივიდუალურ ცვლილებებში, ეს ნიშნავს სოციალური მოლოდინის ცვლილებას. როლის ცვლილება სავარაუდოდ მაშინ ხდება, როდესაც ახალი სოციალური მოთამაშეების შესაძლებლობები და ინტერესები არ ესადაგება როლის მოთხოვნებს და ფართოდ გავრცელებული კულტურული და სტრუქტურული მოდელები უშვებენ ან საჭიროებენ ცვლილებას. მაგ. ბებიები და ბაბუები, როგორც წესი, არიან დისტანციები, ავტორიტეტული ფიგურები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მორალურ ღირებულებებსა და ოჯახურ მემკვიდრეობაზე. როდესაც შვილიშვილები ბებიასთან მიდიან, მათ კარგად უნდა ეცვათ და კარგადაც უნდა იქცეოდნენ. კულტურულ ცვლილებებს რომელსაც ადგილი ჰქონდა 1960 –იან და 1970–იან წლებში, ხშირად მიჰყავდა კონფლიქტებამდე მშობლები

და ბებია–ბაბუები ბავშვების სოციალიზებასთან დაკავშირებით, რადგან აღზრდასთან მიმართებაში მათი აზრები სხვადასხვა იყო. ამჟამად ბევრი ადამიანი ორმოცი წლის და უფრო ნაკლებისაც ხდებიან ბებია–ბაბუები, რომლებიც ეწევიან აქტიურ ცხოვრებას. შედეგად, ბებიებისა და ბაბუების როლი უფრო არაფორმალური ხდება.

როგორ იქცევა ადამიანი ამა თუ იმ ვითარებაში, როგორ რეგირებს ის ამა თუ იმ სოციალურ მოვლენაზე? ქცევის კონ-ცეფციის თანახმად მთავარი როლი ეკუთვნის სტიმულთა სისტე-მას, თუ შევადარებთ პირდაპირი ანალოგიის სახით ადამიანისა და ცხოველის ქცევებს. პიროვნების ქცევის ცვლილებები გამო-ყავთ სწავლებისა და წვრთნის პროცესებიდან, ხოლო ცხოველისა ინსტიქტებიდან. მისაღები ქცევა სტიმულირებულია, ცუდი ქცე-ვა ისჯება და ცხოველებთან მიმართებაში მხოლოდ ღიმილიან გაბრაზებას იწვევს.

სტიმულად შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი სიკე-თე: ცოდნა, ძალაუფლება, კომფორტი, დიდება, ფული, ხელი-სუფლების კეთილი დამოკიდებულება. მაგრამ აუცილებლად ის რაც მიღებულია საზოგადოებაში, და რაც თავისი არსით სოცია-ლური წარმოშობისაა არის ის, რომ – საზოგადოებაში წარმატე-ბით ინტეგრირებულ ადამიანს, აუცილებლად სჭირდება წახალი-სება, რაც მასში აღძრავს დადებით ემოციებს. წახალისებაში კონ-კრეტულად იგულისხმება, ჯილდო, დაწინაურება, ფულადი დახ-მარება და ა.შ. რაც უფრო ღირებულია ჯილდო მით უფრო ერ-თგულია ადამიანი თავისი ქცევის მიმართ. მაგრამ რაც უფრო ხშირია ჯილდო, მით უფრო ნაკლებად ღირებულია ის. თუ ამ პრინციპს გადავიტანთ პიროვნებათშორისო ურთიერთობებზე დავასკვნით რომ პარტნიორებს შორის ნებაყოფილობითი ურთი-ერთობა გრძელდება მანამ, სანამ ორივეს მიაჩნია, რომ ის ამ ურ-თიერთობაში მოგებულია, ე.ი. რომ მისი „წვლილი“ სიტუაციაში ნაკლებია, ვიდრე მისი მოგება ან ჯილდო.

ქმედითი მიდგომა

ლ. ვიგოდსკის (1896-1934) კულტურულ–ისტორიული სკოლის ჩარჩოებში ჩამოყალიბდა ადამიანის, როგორც თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად მოქმედი არსების გაგება, ვისი ქცევაც შეუძლებელია გაგებულ იქნას მხოლოდ რაციონალიზმის თვალსაზრისით.

კლასობრივ პოზიციებს სოციალური ქმედებები განსაზღვრავს. საზღვარგარეთ სწავლა და საპატიო საზოგადოების წევრად ყოფნა სოციალური ქმედების მაგალითია. ამ უპირატესობის მიღება დამოკიდებულია კლასობრივ კუთვნილებაზე, თუმცა ეს ინდივიდუალური არჩევანის საკითხიცაა. მაგალითად პიროვნებამ თავად უნდა აირჩიოს თავისი ცხოვრების გზა, როგორი განათლება მიიღოს, საზღვარგარეთ გაემგზავროს თუ თავის ქვეყანაში დარჩეს, თუ საერთოდ არ სჭირდება განათლების მიღება და დაკმაყოფილდეს, რაიმე ხელოსნობის შესწავლით.

თეორეტიკოსთა უმრავლესობა ხაზს უსვამს სოციალური კლასიფიკაციის განსხვავებულ ასპექტებს სოციალურ ქმედებასთან მიმართებაში, მარქსმა გააკეთა ორი დასკვნა. პირველი – კლასობრივი უთანასწორობა ძირითადად ინდივიდუალური ქმედების შედეგია. ზოგი ახალი მეწარმე შეიძლება გახდეს ბიზნესმენი ან კიდევ პირიქით ზოგი ბიზნესმენი გაკოტრდეს და აღმოჩნდეს არაფრის მქონე. მაგრამ კონკრტულად ერთი ადმიანის გაკოტრება ან გამდიდრება არ ცვლის სოციალურ სისტემას რადგან ერთი მეორეზე არ ზემოქმედებს. უფრო–მეტიც–კაპიტალისტები ექსპლუატაციას იმიტომ კი არ უწევენ მუშებს, რომ ისინი ცუდები არიან, არამედ იმიტომ რომ ეს ერთადერთი გზაა მოგების მისაღებად და კაპიტალისტურ სამყაროში თავის გადასარჩენად. ის ფაქტი, რომ კაპიტალისტები დაბალ ხელფასს უხდიან თანამშრომლებს განპირობებულია საზოგადოებაში მათი კლასობრივი მდგომარეობით. ამ დროს მუშას ოცნებაც კი არ შეუძლია, გახდეს კაპიტალისტი, მხო-

ლოდ დიდი შრომისა და ფულის დაგროვების გზით, რომელიც იშვიათად ხდება. ესაა კაპიტალიზმის რეალობა და ამას ვერსად გაექცევი, ეს ის სოციალური სისტემაა, სადაც გარდაუალია მდიდრების ბატონობა ღარიბებზე და კონკურენცია მდიდრებს შორის.

მარქსის მიხედვით, კაპიტალიზმი მოითხოვს მუშათა დიდ და კაპიტალისტთა შეზღუდულ რაოდენობას. ამიტომ ძალიან ცოტა მუშა თუ შეძლებდა კაპიტალიზმის პირობებში სიღატაკისათვის თავის დაღწევას, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გამდიდრდებოდა. მარქსი ურჩევდა მათ, თავი დაენებებინათ ერთმანეთს შორის კონკურენციისათვის, გაერთიანებულიყვნენ და რევოლუციის გზით შებრძოლებოდნენ კაპიტალიზმს (მარქსი და ენგელსი 1848/1976) აი, ამას უწოდებდა მარქსი კლასობრივ ბრძოლას და მთელ მუშათა კლასს მოუწოდებდა, ინდივიდუალური წინააღმდეგობების ნაცვლად, ანუ ცალკეული კაპიტალისტის – მჩაგვრელის წინააღმდეგ არა სტიქიურ გამოსვლას არამედ თვით სოციალური სისტემის წინააღმდეგ შეიარაღებულ გაერთიანებულ ბრძოლას და კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლას.

მარქსი გატაცებული იყო კოლექტიური ქმედებების იდეით, ვებერი უფრო მეტად ინდივიდების ქმედებას უჭერდა მხარს, რათა მათ შეეცვალათ თავიანთი საკუთარი (ან მათი ჯგუფის) ყოფა. ეს თავისთავად გულისხმობდა ინდივიდებისა და ჯგუფებს შორის კონკურენციასა და შესაბამისად, ძალაუფლებასა და სტრატეგიას. ვებერს მაგალითად მოჰყავდა, თუ როგორ ქმნიან რელიგიური, ემიგრანტთა ჯგუფები ძლიერ საზოგადოებას და ერთმანეთს ეკონომიურად დაწინაურებაში ეხმარებიან. რადგან ემიგრანტებს ინდივიდუალურად არ გააჩნიათ დიდი ძალაუფლება. მათ ესაჭიროებათ ძალა, რომელიც მომდინარეობს კოორდინირებული სოციალური ქმედებისაგან (პერკინი, 1976) სოციოლოგებმა დაიწყეს იმ ქვეკულტურული ჯგუფების შესწავლა, რომლებიც აშშ–ში აზიელმა ემიგრანტებმა შექმნეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფები აფასებენ

თავისუფალი საწარმოს პრინციპებს, ისინი მაინც არ ცხოვრობენ სრულიად ინდივიდუალისტური მიდგომით, მათი ქმედება სოციალურად ორგანიზებულია და ორიენტირებულია ოჯახსა და თემზე. ასეთი ჯგუფების წევრები სესხად აძლევენ ერთმანეთს ფულს, რათა წამოიწყონ საკუთარი ბიზნესი, ქირაობენ საკუთარი ოჯახის წევრებს და დიდ რისკზე მიდიან, როდესაც შვილებს კარგ კოლეჯებში აგზავნიან (ლაიტი, 1993წ.).

ფუნქციონალური ინტეგრაციის პრობლემებზე მუშაობისას დევისი და მური აქცენტს აკეთებენ ინდივიდუალურ ქმედებებზე. მათი აზრით, საზოგადოების წევრების მოტივირება მუშაობისათვის მეტად მნიშვნელოვანია და აღარ ტოვებს ადგილს ინდივიდუალური კაპრიზებისათვის. აუცილებლად უნდა არსებობდეს სოციალურად ორგანიზებული გზები, რათა უზრუნველვყოთ ხალხის მიერ აუცილებელი განათლების მიღება, საჭიროა სამუშაოს შესრულება და ამით არათანასწორუფლებიანობის სტრუქტურა დააკმაყოფილებს საკუთარ დანიშნულებას. ამ თეორიის მიხედვით, კლასობრივი სტრუქტურა კარნახობს ინდივიდებს, იმოქმედონ ისე, რომ საზოგადოების სტრუქტურულ ინტეგრაციას შეუწყონ ხელი.

მაშასადამე, პიროვნების შესწავლა გაშუალებულია მისი მოქმედების შესწავლით და არსებითად დაიყვანება შემდეგზე: მოქმედების დომინანტური სახის განსაზღვრა (პროფესიონალური, შემეცნებითი, გართობითი და ა.შ.); ქმედების განხორციელების პრინციპის გამოვლენა (იძულებითი თუ თავისუფალი, განსხვავებული თუ არა და ა.შ.) ქმედების სხვადასხვა სახეებს შორის კავშირის შესწავლა (ჰარმონიული თუ დისჰარმონიული) და მათი იერარქიზებულობის დონე; ქმედების ყოველი სახის განხორციელების დონის კვლევა.

თანამედროვე სოციოლოგები ძირითადად ეყრდნობიან მარქსის ხედვას, ეკონომიკური სტრუქტურა განაპირობებს კლასობრივ განსხვავებულობას. თუმცა ამავდროულად ისინი ასევე ეყრდნობიან ვებერს, რომელიც ამტკიცებდა, რომ კლასობრივი განსხვავებულობა არ არის მხოლოდ დაფუძნებული

სიმდიდრეზე. კლასობრივი ძალაუფლება და კულტურული ღირებულებები ასევე მნიშვნელოვანია და არ შეიძლება შემცირდეს მათი როლი ეკონომიკური წყაროებით, მაშინ როდესაც მარქსი ხაზს უსვამდა, რომ სტრუქტურული, უთანასწორობა წარმოქმნის კონფლიქტს, მრავალი თანამედროვე სოციოლოგი თვლის, რომ იგივე უთანასწორობა შეიძლება იყოს მოტივაციის წყაროც.

სოციოლოგები სპენსრი (1974) და ემილ დურკჰაიმი (1893-1985), ამტკიცებდნენ, რომ უთანასწორობის ზოგიერთი დონე ხელს უწყობს ფუნქციონალურ ინტეგრაციას. შემდგომში ეს აზრი განავითარეს სწორედ ამერიკელმა სოციოლოგებმა კინგლი დევისმა და ვილბერტ მურმა. (1945) მარქსის მსგავსად, დევისი და მური ორიენტირებულნი იყვნენ საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურაზე, მაგრამ ნაცვლად კლასების ფორმირებისა და მემკვიდრეობით მიღებული აკუმულირებული მატერიალური კეთილდღეობისა, ისინი ხაზს უსვამდნენ იმას, თუ როგორ ცვლის ადამიანების მოტივაციას განსხვავებული დონის შემოსავლის შანსი.

დევისი და მური ამტკიცებდნენ, რომ ზოგი სამუშაო უფრო მნიშვნელოვანია, რთული საზოგადოებების ინტეგრაციის თვალსაზრისით. მხოლოდ ადამიანების მცირე ჯგუფს სურს თავისი ნიჭის კონცენტრირება და სწავლაში ინვესტირება ამ სამსახურის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ამიტომ აუცილებელია, მათი ანაზღაურება იყოს საშუალო ხელფასზე მაღალი (ან მიცეთ მათ დამატებითი ჯილდოს სახით პრესტიჟი, ძალაუფლება ან სასიამოვნო სამუშაო გარემო), რათა გაიზარდოს მათი მოტივაციის დონე. ამდენად სოციალური არათანასწორობა ფუნქციურად აუცილებელია. საზოგადოება, რომელმაც ვერ შეძლო ადამიანების მოტივირება მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულების მიზნით, დანგრევის საშიშროების წინაშე დგას.

ცხადია, ადამიანების მოტივირება შესაძლებელია ისეთი სამუშაოს არჩევით, რომელიც უფრო მაღალანაზღაურებადია

და ბევრ დამატებით სარგებელს გულისხმობს. მაგალითად 1980-იან წლებში, როდესაც კომპიუტერის სპეციალისტების დეფიციტი იყო, მათი ანაზღაურება და სამუშაო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდა, რადგანაც კომპანიები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მათ „ხელში ჩასაგდებად“. კრიტიკოსებმა დევისისა და მურის თეორიის სხვა ასპექტები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. მაგალითად, არის თუ არა ამერკაში ყველაზე მაღალანაზღაურებადი სამსახურები ფუნქციურად მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანი და მოითხოვს თუ არა განათლება ყველაზე დიდ ინვესტიციას? უნდა შევთანხმდეთ, რომ ექიმის პროფესია მართლაც მნივშენლოვანია საზოგადოებისათვის. ამ პროფესიის დაუფლებას ესაჭიროება სპეციალური განსაკუთრებული ნიჭი და გამოცდილება. ექიმთან შედარებით, დამლაგებელი არ არის მნიშვნელოვანი, არც განსაკუთრებული ნიჭი და გამოცდილება ესაჭიროება, ამიტომ ექიმებს უფრო მეტს უხდიან, ვიდრე დამლაგებლებს. მაგრამ თუ ამ უკიდურესობებს გავცდებით, თეორია ნაკლებ მდგრადი ხდება. გაცილებით მეტი განათლება და ნიჭი ესაჭიროება სკოლის მასწავლებელს, ვიდრე ფინანსურ მენეჯერს, მაგრამ მასწავლებლებს ბევრად უფრო დაბალი ანაზღაურება აქვთ. ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება.

მარქსმა დაამკვიდრა აზრი, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ძალაუფლების გამოყენება წარმოების საშუალებებზე არსებული საკუთრების უფლების პირდაპირი ანარეკლია. სოციოლოგიის მეორე ფუძემდებელმა მაქს ვებერმა დაასკვნა, რომ არსებობს ძალაუფლების სხვა წყაროები, რომლებიც აღქმულ უნდა იქნას, როგორც სხვადასხვა ფენების განზომილება, და არა როგორც ეკონომიკური დაშრევების მხარდამჭერი რგოლი.

ვებერმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმათ ძალაუფლებას, რომლებიც მართავენ ბიუროკრატიულ სტრუქტურას და გავლენა აქვთ თანამედროვე საზოგადოებაში ეს მოსაზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კომუნისტური საზოგადოე-

ბის ანალიზისას. მიუხედავად იმისა, რომ მარქსი კომუნიზმს უკლასო საზოგადოების საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევდა, კომუნიზმი სინამდვილეში უთანასწორობის ახლებური გამოხატვა აღმოჩნდა. ჩინეთსა და საბჭოთა კავშირში და საერთოდ ალბათ თითქმის ყველა სოციალისტურ ქვეყანაში ბიუროკრატიულმა მოხელეებმა მოიპოვეს ხელმისაწვდომობა ისეთ ფუფუნების საგნებზე, რაზედაც ოცნებაც კი არ შეეძლოთ ჩვეულებრივი მოქალაქეობის დროს. ბიუროკრატიულმა სისტემამ წარმოქმნა მექრთამეობის ინსტიტუტი რაც საბოლოო ჯამში ისევ ბიუროკრატთა ფენას აძლიერებდა, მათ შვილებს შეეძლოთ უმაღლესი განათლების მიღებაც საზღვარგარეთ, ან ძალიან პრესტიჟულ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში სწავლა. საბოლოოდ ეს ფენა დამოუკიდებელ კლასად ჩამოყალიბდა, თავისი კლასობრივი მდგომარეობით და რომ არა საბჭოთა კავშირის დაშლა და შემდგომ მთელი ევროპის სოციალური სისტემის შეცვლა თანდათანობით ეს პრივილეგიები იღებდა მემკვიდრეობით ხასიათს.

არა მარტო ევროპაში, არამედ ისეთ ცივილურ და დემოკრატიულ ქვეყანაში როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები ბიუროკრატიული ძალაუფლება, კლასების წარმოქმნის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა. აქაც უამრავი მაგალითია კორუფციისა, თუმცა მაღალი საჭირო ბიუროკრატიული აპარატები კორუფციის გარეშეც წარმოადგენენ გამდიდრების წყაროს. მათ უფლება აქვთ, შექმნან საკუთარი სახელფასო სისტემა, ამის გარდა ლობისტების მიერ მინიჭებული პრივილეგიებითაც სარგებლობენ. (უფასო მგზავრობები, დასვენებები მდიდრულ კურორტებზე და ა.შ.).

ვებერის მიზანი იყო არა მარტო განესაზღვრა, ძალაუფლება, როგორც შემოსავლებისა და სიმდიდრის წყარო, არამედ ის მიიჩნევდა რომ ბიუროკრატიაც წარმოადგენს სოციალური კლასიფიკაციის წყაროს. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში ბიზნესის უპირატესობას მართავენ არა რეალური მფლობელები, არამედ პროფესიონალი მენეჯერები. მილიონო-

ბით კერძო პირს, საპენსიო ფონდსა და სხვა კორპორაციებს აქვთ თავიანთი წილი IBM-ში, მაგრამ კომპანია თავისთავად წარმოადგენს ბიუროკრატიულ აპარატს, რომელსაც მართავს პრეზიდენტი, თავმჯდომარე და ა.შ. მათ კავშირი აქვთ უმაღლეს სახელისუფლო ბიუროკრატიასთან და ამგვარად, თავიანთი გავლენის წყალობით ქმნიან კლასობრივ ძალაუფლებას.

კლასობრივი ძალაუფლების მაგალითია არჩევნებიც, როგორც საბოლოო შედეგებიდან ჩანს ყველა ამერიკელიც არ არის თანასწორუფლებიანი და არა აქვს თანაბარი უფლება რეკლამისა და არც არჩევნებისათვის აუცილებელ სერვისებზე მიუწვდება ხელი. მარქსის ერთ–ერთი მიმდევარი ანტონიო გრამსკი ამტკიცებდა, რომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ კულტურულ ძალაუფლებაზე. როცა გვასწავლიან, რომ ძირითადი ყურადღება უნდა დავუთმოთ გამდიდრებასა და არა სოციალური სისტემის გადასინჯვას, და რომ ეს სისტემა აუცილებელია, ამით გვაიძულებენ, შევეგუოთ ამ სისტემას, და ძალაუფლებას გვართმევენ. „სახალხო კულტურა“ თითქოს ყველაზე უფრო პოპულარული სისტემაა, ელიტარული კულტურის საპირისპიროდ, მაგრამ არც ის ასახავს და ამკიდრებს კაპიტალისტური საზოგადოების უთანასწორობას, რომელშიც თითქოს ყველას აქვს დაწინაურების უფლება, მაგრამ სინამდილეში კი ძალიან ცოტა ვინმე თუ შესძლებს ამის რეალობაში განხორციელებას.

პიროვნებათაშორისო ურთიერთობანი

ჯგუფი და კოლექტივი. ადამიანთა აზროვნებისა და ურთიერთობის ისტორიულმა პირობებმა გამოიწვია ხალხთა გაერთიანება ერებად, სახელმწიფოებად, კლასებად, პარტიებად და სხვა ერთობებად. ადამიანთა ყველა ერთობა ხასიათდება განსხვავებული სოციალურ–ფსიქოლოგიური თავისებურებებით.

ჩვენ შევეცდებით, განვიხილოთ პიროვნებათაშორისო ურთიერთობანი, ჯერ ჯგუფებში. არსებობს ორი ტიპის ჯგუფი პირობითი და რეალური. პირობითი ჯგუფი–არის განსაზღვრული ნიშნის მიხედვით, ხელოვნურად ორგანიზებული, რომელიც მიზნად ისახავს კვლევას. ეს ნიშანი შეიძლება იყოს ასაკი, სქესი, ეროვნება, პროფესია და ა.შ. ასეთი ჯგუფის წევრებს ერთმანეთთან არა აქვთ მჭიდრო ურთიერთკავშირი. ისინი შეიძლება არც იცნობდნენ ერთმანეთს. რეალური ჯგუფი არის ადამიანთა გაერთიანება, რომელიც ფაქტიურად, რეალურად არსებობს და ჯგუფის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან რეალური დამოკიდებულების საფუძველზე, მათ აქვთ საერთო მიზანი და ამოცანა. მაგალითად უნივერსიტეტის სტუდენტობა, უნივერსიტეტის პროფესორ–მასწავლებელთა კოლექტივი, კათედრა, და ა.შ.

მცირე და პირველადი ჯგუფი: მცირე ჯგუფი ეწოდება შედარებით მცირერიცხოვან მყარ ერთობას, რომლის წევრები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულნი და აქვთ ერთი მიზნის საფუძველი. მცირე ჯგუფს აქვს საერთო მიზანი. რომლის მისაღწევადაც იღწვის თითოეული მისი წევრი. მცირე ჯგუფის ყველა წევრი იცნობს ერთმანეთს პირადად და ამყარებენ ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტებს. ჯგუფის წევრთა რაოდენობა 30-40 კაცს არ უნდა აჭარბებდეს და ორზე ნაკლები არ უნდა იყოს. ერთი ადამიანი შეიძლება იყოს რამდენიმე სხვადასხვა ჯგუფის წევრი ერთდროულად.

ფორმალური და არაფორმალური ჯგუფი. ფორმალური ანუ ოფიციალური ჯგუფები იქმნება ოფიციალური ხელმძღვანელის მიერ საშტატო განრიგით. სტუდენტური ჯგუფი, მასწავლებელთა კოლექტივი და ა.შ. ფორმალური ჯგუფებია. ასეთი ჯგუფის წევრებს შორის მყარდება საქმიანი კონტაქტები და ურთიერთობები. თუმცა, ასეთი ჯგუფის წევრებს შორის საქმიანი კონტაქტების გვერდით ადგილი აქვს ინსტრუქციით გაუთვალისწინებელ პირადულ კონტაქტებსაც (სიმპათია, პატივისცემა, მეგობრობა). ფორმალური ჯგუფის წევრებს შორის შეიძლება ჩამოყალიბდეს აგრეთვე უარყოფითი ემოციური დამოკიდებულებებიც (ანტიპათია, შური, მტრობა) და ა.შ.

არაფორმალური (არაოფიციალური) ჯგუფი აღმოცენდება ჯგუფის წევრთა სიმპათიის, შეხედულებათა საერთოობის, მრწამსის, მსოფლმხედველობის და ა.შ. მსგავსების საფუძველზე. ასეთი ჯგუფის არსებობა არაა გათვალისწინებული წესდებით ან ინსტრუქციის მიხედვით. ასე ყალიბდება მეთევზეთა და მონადირეთა კავშირი, პოკერის მოთამაშეთა გუნდი, ლუდის მოყვარულთა გაერთიანება. ასეთ ჯგუფებს აკავშირებენ და ამტკიცებენ ჯგუფის წევრთა ურთიერთსიმპათიები, რომელთა შესუსტების შემთხვევაში ჯგუფი იშლება.

ადამიანთა ურთიერთობა ჯგუფებში. ჯგუფებში პიროვნებები ერთმანეთთან ამყარებენ ორგვარ ურთიერთობას: ა) საქმიანს (ოფიციალურს) და ბ) პირადს (არაოფიციალურს), რაც წარმოადგენს პიროვნებათაშორისო ურთიერთობების სისტემას, არსებობს მცირე ჯგუფებში პიროვნებათაშორისო ურთიერთობების საკვლევი სპეციალური მეთოდიკა. ესაა არჩევნის მეთოდი ანუ სოციომეტრია, რომელსაც ფართოდ იყენებენ ჯგუფის წევრთა შორის სიმპათია – ანტიპათიის დონის დასადგენად. სოციომეტრული მეთოდის საშუალებით ისაზღვრება პიროვნების რეალური ადგილი საქმიან პირად ურთიერთობებში. დგინდება ჯგუფის წევრთა პოპულარობის ხარისხი. ლიდერები და გარიყულები. ეს მეთოდი ძალზე ოპერატიულია. მისი საშუალებით მოკლე დროში შეიძლება დადგინდეს

ერთმანეთის მიმართ ჯგუფის წევრთა ემოციები და დამოკიდებულების საერთო სახე.

ფორმალური და არაფორმალური ჯგუფების წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფსიქოლოგიური შეთავსებადობა ჯგუფის წევრებს შორის. ესაა ჯგუფის წევრთა თვისებების სასურველი შერწყმა, რომელიც უზრუნველყოფს საერთო საქმის წარმატებასა და პირად კმაყოფილებას. თუ ჯგუფის წევრებს შორის არსებობს ფსიქოლოგიური შეთავსებადობა, მაშინ ჯგუფის ერთი წევრის ქცევა იწვევს მეორეს დადებით რეაქციებს, ხოლო ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის შემთხვევაში ჯგუფის ერთი წევრის ქცევა მეორის უარყოფით რეაქციებს იწვევს. ასეთ დროს ჯგუფის რომელიმე წევრის საჭირო, აუცილებელი და სასარგებლო ქცევა აღიქმება როგორც არაკეთილსასურველი და მტრულიც კი. ფსიქოლოგიური შეთავსება – შეუთავსებლობის მიზეზია შეხედულებათა ერთიანობა ან განსხვავება. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ჯგუფის ცალკეულ წევრთა ხასიათის ნიშანთა თავისებურებანიც.

<u>კოლექტივი</u> – პიროვნებაზე ზემოქმედ, მისი განვითარების და ქცევის მარეგულირებელ სოციალურ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მის გარემომცველ კოლექტივს ენიჭება. კოლექტივში ყოფნით და მის საქმიანობაში მონაწილეობით პიროვნების მოქმედება ერთიანი მთლიანის ნაწილად იქცევა, რის გამოც მისი პიროვნული თვისებები, მათი გამოვლენა და კორექცია, პოზიციები, რომელიც ადამიანებს უკავიათ ამა თუ იმ საკითხის ან ვითარების მიმართ, გარკვეულწილად მათი უშუალო საზოგადოებრივი გარემოს –კოლექტივის ცხოვრებით, საქმიანობით და შესაძლებლობებით არის ზღვარდადებული.

პიროვნებას, როგორც კოლექტივის წევრს, მისთვის მიჩენილი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება უხდება კოლექტივის სხვა წევრთა სოციალურ მოქმედებასთან. კოლექტივში შესული ყოველი პიროვნება, რასაკვირველია, პირადი ინტერე-

სების, მიზნების და მოთხოვნილებების რეალიზაციისათვის იღწვის, რაც მისი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მდგომარეობით აიხსნება. მაგრამ ამასთან, პიროვნება ერწყმის მთლიან კოლექტივს, ცხოვრობს კოლექტივის ცხოვრებით, მის საქმეს, აზრს და გრძნობას ინაწილებს, პასუხისმგებელია იმ ფუნქციის შესრულებაზე, რასაც მას კოლექტივი აკისრებს.

კოლექტივთან ურთიერთობაში ვლინდება ადამიანთა სოციალური არსებობისა და განვითარების ზოგადი კანონზომიერება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებას, სოციალურ გარემოს განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის პიროვნების განვითარებაში. მაგრამ აუცილებელია დადგინდეს პიროვნებისა და კოლექტივების მიმართების მეორე მხარეც: თუ პიროვნება საზოგადოების განმსაზღვრელ ზეგავლენას განიცდის, სამაგიეროდ, თავის მხრივ, თვითონაც აქტიურად ზემოქმედებს კოლექტივზე, ხელს უწყობს კოლექტივის საქმის წარმატებას, შესაძლოა აფერხებდეს კიდეც მას. ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს ხელმძღვანელი მუშაკების საქმიანობაში, რომელიც მეტად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ კოლექტივის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. მაგალითად, საწარმოს, დაწესებულების, ნებისმიერი შრომითი კოლექტივის სამეურნეო, ადმინისტრაციული, პერსონალი, მენეჯერები, პროფკავშირული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, იერარქიული თანამდებობის მმართველი პირები კოლექტივების გაძღოლის, მისი ინტერესების დაცვისა და გატარების რთულ და საპატიო საქმეს განაგებენ. მათ მოქმედებას იმთავითვე უშუალო და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი მოსდევს. ხელმძღვანელ პირთა საქმიან, პოლიტიკურ, მორალურ თვისებებზე დიდად არის დამოკიდებული კოლექტივის მიღწევები ან წარუმატებლობა. მათს მისაბაძ მოქალაქეობრივ შემართებას, ორგანიზატორულ ნიჭს, დაკვირვების, ანალიზის, განზოგადოების უნარს, ახლის წვდომის შესაძლებლობებს, სწორ გადაწყვეტილებებს შეუძლია დააჩქაროს კოლექტივის წინსვლა, განუსაზღვროს მას არსებული სიძნელეებიდან გა-

მოსვლის ეფექტური საშუალებანი. ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად კარგ მაგალითს იძლევიან, აგრეთვე კოლეტივის რიგითი წევრებიც. განსაკუთრებით მოწინავენი, ნოვატორები, რომლებიც სანიმუშო ხდებიან რა სხვებისათვის, მათთან გაიგივების მისწრაფებებს აღვივებენ.

უმართებულოდ მიგვაჩნია მოსაზრება, თითქოს პიროვნება, იკარგება კოლექტივში და იგი ვერ ავლენს ბოლომდე თავის თვისებებს ანუ შეზღუდულია კოლექტივით, რადგან იძულებულია ანგარიში გაუწიოს სოციალურ ჯგუფს. სინამდვილეში საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობა არამც თუ არ გამორიცხავს პიროვნულ ურთიერთობებს, არამედ მოიცავს და ემყარება მას, როგორც იმანენტურ აუცილებლობას. ყოველ პიროვნებას, რომელიც ურთიერთობაში იმყოფება კოლექტივთან და მისი საშუალებით საზოგადოებასთან, თავისი გარკვეული, ზოგჯერ კი უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მის ცხოვრებაში.

ხალხი – ტერმინს „ხალხს“ სხვადასხვა მნიშვნელობით ვიყენებთ. ხალხი არის ადამიანთა ისტორიული ერთობის ერთ–ერთი ფორმა, აღმოცენებული ეთნიკური ნიშნების – ენის, კულტურის და ა.შ. ბაზაზე. მაგრამ ადამიანთა ერთობა, მაინც სრულყოფილად არ გამოხატავს ხალხის ცნებას.

ხალხის ცნება, თავისი მოცულობით, საზოგადოების ცნებასთანაც ასოცირდება: სწორედ ხალხი, ხალხის მასების ერთობლიობა და ურთიერთობა გვაძლევს საზოგადოებას. სხვა რა უნდა იყოს საზოგადოება, თუ არა ხალხი – ერთობლიობა ადამიანებისა, რომელთა ურთიერთობაში ყალიბდება იგი, როგორც სოციალური რეალობა. მაგრამ არც საზოგადოების და ხალხის ცნებების შინაარსია იდენტური. საზოგადოების ცნებით უპირატესად ადამიანთა ერთობლიობის თვისობრივ მხარეს მოვიაზრებთ, მაგრამ სწორი არ იქნებოდა ხალხის ცნების რედუქცია მის თვისობრივ მხარეზე აგვეყვანა. სინამდვილეში ხალხის, ხალხთა მასების ცნება როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ მხარეებს მოიცავს. რიცხობრივ კრებადობასთან

ერთად იგი ადამიანთა სოციალურ ჯგუფებად, მათს ასაკობრივ, სქესობრივ, ეროვნულ, პროფესიულ, ტერიტორიულ და სხვა ნიშნით გაერთიანებასაც გულისხმობს.

ხალხი – საზოგადოების რეალური, კონკრეტული გამოვლინება და მატარებელია – ისტორიის სუბიექტია მისი შემადგენელი ადამიანებისა და მათი ჯგუფების მრავალფეროვნებით, საერთო და განსხვავებელი ინტერესებით, მოთხოვნილებებით, მისწრაფებებით, იდეალებით, ქცევებით და ა.შ.

საზოგადოება - რა არის საზოგადოება? თუმცა ამ სიტყვას ადვილად ვიყენებთ ყოველდღიურ სიტყვახმარებაში (ჩვენ ვახსენებთ ,,ამერიკულ" საზოგადოებას, ,,ფრანგულს," ,,იაპონურს", მაგრამ არც კი ვცდილობთ ავხსნათ თუ რას ვგულისხმობთ ამ ცნებებში), მეცნიერებიც ძლივს განსაზღვრავენ ამ ცნების არსს. მას მრავალი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ,,პროფესიონალურ საზოგადოებაზე" მხედველობაში გვაქვს მსგავსი პროფესიის მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც საერთო ინტერესების საფუძველზე ქმნიან სწორედ ამ ორგანიზაციას. როდესაც ვეხებით ,,მაღალ საზოგადოებს" ან ,,ყავისმოყვარულთა საზოგადოებას", ჩვენ ვგულისხმობთ საერთო ინტერესების მქონე, გარკვეული სოციალური ფენის ადამიანების სტიქიურად შექმნილ ჯგუფს. მაგრამ ეს ცნება სრულებით სხვა ელფერს იძენს, როდესაც ვახსენებთ ,,ამერიკულ საზოგადოებას", რომელსაც გააჩნია გარკვეული გეოგრაფიული საზღვრები, საერთო საკანონმდებლო სისტემა და რაიმე ნაციონალური ერთობა.

შემდგომ, ყურადღებას მივაქცევთ სწორედ ცნების ამ ბოლო მნიშვნელობას. მისი ანალიზისას მარში (1967) ცდილობდა განესაზღვრა პირობები, რომლის შემდეგ შეიძლება სოციალური ერთობა ჩაითვალოს საზოგადოებად:

1) მუდმივი ტერიტორია – მაგალითად საფრანგეთი თავის სახელმწიფო საზღვრებში;

2) მოსახლეობის შევსება ძირითადად შობადობის ხარჯზე, თუმცა ემიგრაცია ასევე ასრულებს რაღაც როლს;

3) განვითარებული კულტურა – კულტურის მოდელები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, რათა დააკმაყოფილოს მოსახლეობის ყველა მოთხოვნილებები.

4) პოლიტიკური დამოუკიდებლობა – საზოგადოება არ არის სუბსისტემა (ქვესისტემა) რაღაც სხვა სისტემისა, ეს დასაშვებია მხოლოდ მცირე ზომით. (ამ კრიტერიუმის შესაბამისად, ისეთი კოლონიური საზოგადოება, როგორიც იყო ბელგიური კონგო, მის მიერ დამოუკიდებლობის მიღებამდე, ასეთად ვერ ჩაითვლება).

როგორც მარში აღნიშნავს, საზოგადოების ასეთი სერიოზული განსზღვრებაც შეიძლება სადაო გახდეს. რას ნიშნავს კრიტერიუმი ,,განვითარებული კულტურა"? შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქვეყნები სადაც ცხოვრობს განსხვავებული რელიგიური რწმენისა და ეთნიკურად მრავალფეროვანი მოსახლეობა, მაგალითად აშშ, ინდოეთი, იუგოსლავია, სინამდვილეში არ გააჩნიათ მთელი მოსახლეობის მიერ აღიარებული ღირებულებები და იდეალები, არამედ წარმოადგენენ სუბკულტურათა, უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალისხმევის შედეგად წარმოქმნილ, მხოლოდ გაერთიანებებს. ,,პოლიტიკური დამოუკიდებლობის" ცნება ასევე აჩენს რიგ კითხვებს. მაგალითად, კანადა და მექსიკა პოლიტიკურად დამოუკიდებლად ითვლებიან აშშ-საგან, მაგრამ მათი ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რომლებიც ძირითადად აშშ-დან მოდის, სინამდვილეში ისინი ვერ არიან დამოუკიდებელნი. უფრო მეტად ეხება ეს ცენტრალური ამერიკის ქვეყნებს, ისეთებს, როგორებიცაა პანამა და სალვადორი.

სხვა სოციოლოგები (აბერლე, კოენი, დევისი, ლევი და სატონი 1950; პარსონსი, 1966) მიიჩნევენ, რომ საზოგადოების ძი-

რითადი განმსაზღვრელი თვისებაა ,,თვითუზრუნველყოფა". ეს კრიტერიუმი ახლოსაა ,,პოლიტიკური დამოუკიდებლობის" კრიტერიუმთან, რომელიც მარშმა ახსენა. მაგრამ განმარტება მასაც სჭირდება. აუცილებელი არაა, რომ თვითუზრუნველ-მყოფმა საზოგადოებამ თავად აწარმოოს ყველა საქონელი და მომსახურება. ბევრი საზოგადოება, იაპონიის, ინგლისის, ნორ-ვეგიის ჩათვლით დიდად არიან დამოკიდებულნი საგარეო ვაჭ-რობაზე. მაგრამ ყოველი საზოგადოება (ე.ი. მისი მთავრობა) უნდა ფლობდეს ვალუტას, რაც იმპორტს უზრუნველყოფს. ამ-გვარად, როდესაც ვსაუბრობთ ,,თვითუზრუნველყოფილ" სა-ზოგადოებაზე, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი გადახდისუნა-რიანობა, ვალების გადახდის შესაძლებლობა.

სიძნელეების მიუხედავად, სხვადასხვა კრიტერიუმები მართლაც გვეხმარებიან ჩვენ, თუნდაც მიახლოებით განვსაზ-ღვროთ ,,საზოგადოების" ცნების არსი. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ის ხშირად ემთხვევა ,,კულტურის" ცნებას, რომელსაც იყენებენ სოციალური ანთროპოლოგები და ,,ეროვნული სა-ხელმწიფოს" ცნებას, რომელსაც იყენებენ მეცნიერი პოლიტო-ლოგები. მაგრამ არაა აუცილებელი კულტურა განისაზღვროს ტერიტორიული საზღვრებით ან პოლიტიკური დამოუკიდებ-ლობით. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ,,ებრაულ კულტურაზე", თუმცა ებრაელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს ისრაელში; ამ შემთხვევაში საუბარი ეხება რელიგი-ურ – მსოფლმხედველობრივ ერთობასა და ცხოვრების განსა-კუთრებულ სახეს. ანთროპოლოგები ლაპარაკობენ, მაგალი-თად მელანეზიურ კულტურაზე, თუმცა მელანეზიელები გა-ფანტული არიან წყნარი ოკეანის კუნძულებზე და არ არიან გა-ერთიანებული რაიმე პოლიტიკურად დამოუკიდებელ საზოგა-დოებაში.

მეორე მხრივ, ,,საზოგადოების" ცნების მონათესავე ტერ-მინი ,,ეროვნული სახელმწიფო", აუცილებლად გულისხმობს

ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ფორმალური სამთავრობო აპარატი და რამენაირი ეროვნული ერთობა. მაგრამ ამავე დროს შეიძლება დავასახელოთ ისეთი საზოგადოება, რომელიც არ არის სახელმწიფო, მომთაბარე ტომები ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე.

საზოგადოების ტიპები. ,,საზოგადოების" ცნების განსაზღვრების სიძნელე მიუთითებს მის ზოგადსა და მოქნილ არსზე. საზოგადოებად შეიძლება მოიხსენიო შორეულ ტროპიკებში ჩაკარგული 50-კაციანი დასახლებული პუნქტის მოსახლეობა და თანამედროვე ჩინეთი, მისი უზარმაზარი ქალაქებითა და საეჭვოდ დაზუსტებული მილიარდნახევრიანი მოსახლეობით.

ამას გარდა, არსებობს საზოგადოების კლასიფიკაციის მრავალი ვარიანტი. მარქსისტული ტრადიციების თანახმად, საზოგადოების ტიპი განისაზღვრება წარმოების ტიპის მიხედვით, ანუ იმის მიხედვით თუ როგორ იყენებენ და აკონტროლებენ საზოგადოების კუთვნილ ეკონომიკურ რესურსებს. (ამის შესაბამისად ანსხვავებენ, მაგალითად, ფეოდალურ, კაპიტალისტურ, სოციალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებებს).

საზოგადოების კლსიფიცირებას შეიძლება საფუძვლად დაედოს აქ გაბატონებული რელიგია (მაგალითად, მუსულმანური საზოგადოება), ან ენა (ფრანგული საზოგადოება). გ.ლენსკი და ჯ.ლენსკი (1970) საზოგადოების კლასიფიკაციას აკეთებენ საარსებო საშუალებების მოპოვების წესის მიხედვით, ამავე დროს ავლენდნენ საზოგადოების სხვა მნიშვნელოვან თვისებებსაც.

1. საზოგადოება, რომელიც ცხოვრობს ნადირობისა და შეგროვების ხარჯზე. ასეთი საზოგადოებების უმრავლესობა, მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის ბუშმენები და ცენტრალური ავსტრალიის აბორიგენები, ჩვეულებრივ ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას თავს ირჩენენ ნადირობით, სხვადასხვა ნაყოფებისა და საკვებად ვარგისი ფესვების შეგროვებით. მათი შრომის იარაღი ძალზე პრიმიტიულია: ქვის ნაჯახები, ისრები,

დანები; მათი ბარგი-ბარხანა მხოლოდ უკიდურესად საჭირო ნივთებია, რასაც მუდმივად თან ატარებენ. სოციალური ცხოვრება ეფუძნება ნათესაურ კავშირებს, ყველამ იცის ვინ ვისი და როგორი ნათესავია. პოლიტიკური სტრუქტურა აქ თითქმის არ არსებობს, სათავეში უხუცესი ან ბელადია, სხვა ძალაუფლებრივი სტრუქტურები აქ არ ჩამოყალიბდა.

2. მებაღეობა-მებოსტნეობის საზოგადოება ჩაისახა ახლო აღმოსავლეთში, დაახლოებით ოთხი ათასი წლით ადრე ჩვენს ერამდე; შემდეგ გავრცელდა ჩინეთსა და ევროპაში; დღეისათვის ის შემორჩენილია აფრიკაში, საჰარის სამხრეთით. მებაღეობის ყველაზე პრიმიტიულ საზოგადოებებში რკინის იარაღი და კავი არ გამოიყენება, შედარებით განვითარებულში რკინის იარაღი აქვთ, კავი კი არც აქ არ გამოიყენება. ისევე როგორც მონადირეთა საზოგადოებაში, აქაც არ იქმნება ზედმეტი პროდუქტი; პრიმიტიული იარაღი არ იძლევა ზედმეტი სიმდიდრის შექმნის შესაძლებლობას. მებაღეობის საზოგადოების პოლიტიკური სტრუქტურა ორ ფენას ითვლის, შედარებით განვითარებულ საზოგადოებაში მათი რიცხვი ოთხ ან ხუთს აღწევს. ამ სოციუმების სოციალური სტრუქტურის საფუძველი კვლავ ნათესაური კავშირებია, მაგრამ აქ შედარებით გართულებულია; ზოგჯერ ეს საზოგადოება მრავალ კლანს ითვლის, ურთიერთობები გართულებულია, აქვთ წესები, რომლებიც არეგულირებენ სხვადასხვა კლანების წარმომადგენელთა შორის ქორწინების საკითხებს.

3. აგრარული საზოგადოება პირვლად ჩაისახა ძველ ეგვიპტეში, რასაც ხელს უწყობდა, პირველ რიგში სრულყოფილი სახნავი იარაღი და ცხოველების გამოყენება სამუშაო ძალად. სოფლის მეურნეობის გაზრდილი პროდუქტულობის წყალობით ეს საზოგადოებები უფრო მეტ პროდუქტს აწარმოებდნენ ვიდრე სჭირდებოდათ. მოჭარბებული პროდუქტის გაჩენამ ხელი შეუწყო ქალაქების აღმოცენებას, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას. აგრარული საზოგადოების საფუძველზე ჩნდება სახელმწიფო (რომელმაც ჩამოაყალიბა შეზღუდული

სიდიდის ბიუროკრატიული აპარატი და არმია), შექმნეს დამწერლობა, გაჩნდნენ პირველი ფულადი სისტემები და გაიშალა ვაჭრობა. თანდათანობით რთულდება პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმები, ამიტომ ნათესაური კავშირები აღარ არიან სოციალური სტრუქტურის განმსაზღვრელნი. თუმცა პოლიტიკურ ცხოვრებაში ნათესაური კავშირები დიდ როლს ასრულებენ; მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობები მამიდან შვილზე გადადის, კომერციული დაწესებულებების უმრავლესობა ოჯახურია. მიწათმოქმედ საზოგადოებაში ოჯახი კვლავ რჩება ძირითად მწარმოებელ ერთეულად.

4. სამრეწველო საზოგადოება აღმოცენდა მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში, XVIII საუკუნის დასასრულს, ბრიტანეთის ინდუსტრიალიზაციის გავლენით. ყველაზე მოწინავე სამრეწველო საზოგადოებები ჩამოყალიბდნენ ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში (აღმოსავლეთ ევროპის ჩათვლით), აღმოსავლეთ აზიაში (იაპონია, ტაივანი, ჰონგ კონგი, სამხრეთ კორეა); სხვა ბევრ ქვეყნებში, მაგალითად ინდოეთში, მექსიკაში, ბრაზილიაში და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში, ასევე ქონდა ადგილი მნიშვნელოვან ინდუსტრიალიზაციას. ისევე, როგორც მებაღეობის საზოგადოებიდან აგრარულზე გადასვლის პროცესში ახალი ტექნოლოგიებისა და ენერგიის წყაროებმა შეასრულა გადამწყვეტი როლი, იგივე მოხდა სამრეწველო საზოგადოებების ჩასახვის პროცესშიც. სამრეწველო პროცესი დაკავშირებულია მეცნიერული ცოდნის გამოყენებასთან; ადამიანებისა და ცხოველების ძალა შეცვალა სითბური ენერგიის (ქვანახშირის), ასევე ელექტრო და შემდეგ ბირთვული ენერგიის გამოყენებამ.

ზედმეტი სიმდიდრე, რომელიც იქმნება მრეწველობის მიერ, ბევრად აღემატება იმ სიმდიდრეს, რომელსაც ქმნიდა სხვა ტიპის საზოგადოებები. ეს საშუალებას იძლევა უზრუნელყოფილ იქნას დიდ ქალაქებში კონცენტრირებული ადამიანთა უზარმაზარი მასები. სამრეწველო ქვეყნების უმრავლესობაში ჩამოყალიბდა მაღალგანვითარებული სახელმწიფოებრივი

ხელმძღვანელობის სისტემები, ძლიერი ბიუროკრატიული აპარატი და მძლავრი შეიარაღებული ძალები. ინდუატრიალიზაცია განაპირობებს ოჯახის შემდგომ შესუსტებას. ინდუსტრიალიზაციის პროცესში ოჯახი კარგავს მისთვის დამახასიათებელ ბევრ ფუნქციას, რომლებსაც ახალ პირობებში ანხორციელებენ სხვა ინსტიტუტები, მაგალითად, სოციალიზაციის პროცესის რეგულირება ძირითადად ხდება სასწავლო ინსტიტუტებით.

,,გემაინშაფტი" და ,,გეზელშაფტი". საზოგადოების ოთხი ტიპის ეკონომიკური, პოლიტიკური და ნათესაობრივი თავისებურებების აღწერა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ განსხვავებული სოციალური ინსტიტუტები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, ანუ ისინი განსაკუთრებულ თანხმობაში იმყოფებიან ერთმანეთთან. ბევრი სოციალ-თეორეტიკოსი იზიარებს ამ თვალსაზრისს, კერძოდ, ამ პოზიციიდან ცდილობენ ისინი განსაზღვრონ ძირითადი განსხვავება მრეწველობითსა და წინა საზოგადოებებს შორის. ეს არცაა გასაკვირი, ისინი ხომ თავიანთ შრომებს წერდნენ სამრეწველო რევოლუციების დროს, რომელმაც სახე შეუცვალა დასავლეთის საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტებს.

მრეწველობის წინა პერიოდისა და თანამედროვე საზოგადოების დაპირისპირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოკვლევა ჩაატარა გერმანელმა სოციოლოგმა ფერდინანდ ტენისმა (1855-1936). მან შემოიღო ცნებები ,,გემაინშაფტი" (Gemeinschaft) და ,,გეზელშაფტი" (Gesellschaft), (ითარგმნებიან როგორც – ,,თემურობა" და ,,საზოგადოება"), გამოხატავენ განსხვავებას ტრადიციულსა და თანამედროვე საზოგადოებას შორის. უფრო ზუსტად, ტერმინი ,,გემაიშაფტი" სოფლის თემს, ხოლო ,,გეზელშაფტი" ქალაქურ სამრეწველო საზოგადოებას. რა განასხვავებს ძირითადად ,,გემაიშაფტსა" და ,,გეზელშაფტს"?

1.) თუ ვისაუბრებთ ინდივიდუალურ მოტივაციაზე, ,,გემაინშაფტი" სტიმულირებს ადამიანების სწრაფვას იცხოვრონ თემური პრინციპების შესაბამისად, მაგალითად, მოსავლის აღებისას გლეხები ოჯახებით ეხმარებიან ერთმანეთს უფასოდ. ,,გეზელშაფტის" ტიპის საზოგადოება ეფუძნება პიროვნული ინტერესების რაციონალურ განხორციელებას, ინდივიდები ურთიერთობენ საქმიან, უსახურ ვითარებაში და გარკვეულ საქონელსა და მომსახურებაზე ანგარიშს ფულით ასწორებენ.

2.) სოციალური კონტროლის სფეროში ,,გემაინშაფტი" გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ტრადიციულ ადათ-წესებს, რწმენასა და დაუწერელ კანონებს, მაშინ, როდესაც ,,გეზელშაფტი" — ეს არის ფორმალურ სამართალზე დაფუძნებული საზოგადოება.

3.) შრომის დანაწილების სფეროში ,,გემაინშაფტის" ტიპის საზოგადოება გამოირჩევა შეზღუდული სპეციალიზაციით, რაც ძირითადად ეფუძნება ნათესაურ კავშირებს, ჩვეულებრივ, მეურნეობაში ქმარს, ცოლსა და შვილებს აქვთ თავიანთი მოვალეობები. ,,გეზელშაფტის" ტიპის საზოგადოებისათვის დამახასიათებელია პროფესიონალური როლების სპეციალიზაცია და ეს არ ემთხვევა საოჯახო როლებს.

4.) ,,გემაინშაფტის" საზოგადოებაში კულტურა ეფუძნება რელიგიურ ღირებულებებს, ,,გეზელშაფტში" კი საერო ღირებულებებს.

5.) ,,გემაინშაფტის" საზოგადოებაში ძირითადი სოციალური ინსტიტუტებია ოჯახი, მეზობლები და თემი; ,,გეზელშაფტში" ფორმდება დიდი გაერთიანებები და ასოციაციები (მთავრობა, საქმიანი წრე, პოლიტიკური პარტიები, ნებაყოფილობითი ასოციაციები).

ტენისის დიხოტომია (და სხვა მსგავსი გამოკვლევები) გაკრიტიკებულ იქნენ ორი კუთხით. ჯერ-ერთი, ეს არის დიდი გამარტივება. ,,გემაინშაფტის" ტიპის საზოგადოებები ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; იაპონური ფეოდალიზმი

განსხვავდება გერმანულისაგან, და ორივე მათგანი განსხვავდებიან მრეწველობის წინა ეპოქის საზოგადოებებისაგან. გარდა ამისა, ყოველ თანამედროვე საზოგადოებაში ადგილი აქვს ორივე მათგანის, ,,გემაინშაფტისა" და ,,გეზელშაფტის"ელემენტებს, პირველი არსად არ ქრება.

მეორე, ასეთი დიხოტომიები საზოგადოებას განიხილავენ, როგორც მდგრად მთლიანობას, არ ითვალისწინებენ დაპირისპირების, დეზორგანიზაციისა და კონფლიქტების ალბათობას, რაც გარკვეული დოზით ყველა საზოგადოებას ახასიათებს. ფაქტობრივად, საზოგადოების მზარდი ინტერნაციონალიზაციისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ფონზე ეს დიხოტომია საეჭვო ხდება. ამგვარად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ეროვნებათშორისო ასპექტის შესაწავლა, ე.ი. შედარებითი ანალიზი.

ერი – არის მხოლოდ ის ეთნოსი, რომელსაც აქვს (ან წარსულში ჰქონდა) საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, სადაც ამ ეთნოსის მშობლიური ენა ქვეყნის ოფიციალური სახელმწიფო და ლიტერატურული ენაა. ამასთანავე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება (ან მისი აღდგენა) ეთნოსის უმთავრესი მიზანია და მას ამის უნარი შესწევს. ამ მოცემულ განმარტებას გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თანამეროვე მსოფლიო პოლიტიკის ისეთი უმნივშნელოვანესი პრობლემის უკეთ გარკვევის საკითხში, როგორიცაა ხალხთა თვითგამორკვევა. კითხვაზე რომელ ხალხს აქვს უფლება მოითხოვოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა და საკუთარი სახელმწიფოებრიობა, ცალსახა პასუხი უნდა გაეცეს – მხოლოდ და მხოლოდ იმ ერებს (როგორც რეალურს, ისე პოტენციურს), რომლებსაც ამის ისტორიული გამოცდილება აქვთ ან გააჩნიათ ყველა პირობა დამოუკიდებლად იარსებონ.

<u>სახელმწიფო</u> – ეს არის პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებული, ორგანიზებული ინსტიტუტი, რომელსაც, აქვს მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი და წარმო-

ადგენს რა საზოგადოებას, ახრციელებს ხელმძღვანელობას ამ საზოგადოებაზე და უზრუნველყოფს მის ინტეგრაციას. სახელმწიფოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შემდეგი ძირითადი მახასიათებლები: მუდმივი მოსახლეობა, ზუსტად განსაზღვრული ტერიტორია, ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს კონტროლს ტერიტორიაზე და მოსახლეობაზე, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციას და მართავს მას კანონების საფუძველზე. სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი პირობაა სუვერენულობა და სხვა სახელმწიფოების მხრიდან მისი სახელმწიფოებრიობის ცნობა და აღიარება.

აქამდე ჩვენ ინტერაქციის პერსონალური მოდელებიდან მივემართებოდით როლებით განსაზღვრული ქცევის უფრო ფორმალური მოდელების ანალიზისაკენ. ფორმალური როლების უფრო დიდი გაერთიანების შესწავლისას ჩვენ მივადგებით ისეთ ცნებას, როგორიცაა სოციალური ინსტიტუტი.

<u>ინსტიტუტი</u> ეწოდება გარკვეული სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შექმნილ როლებისა და სტატუსების ერთობლიობას. ჩვენ ვცხოვრობთ უკიდურესად ინსტიტუციონალიზირებულ საზოგადოებაში.. მაგალითად, ინსტიტუტს წარმოადგენს ჩვენი განათლების სისტემა. აქ იგულისხმება ერთი თაობიდან მეორეზე ცოდნისა და კულტურის ღირებულებების გადაცემის რესურსები და როლები. ეკონომიკური ინსტიტუტები აწარმოებენ და ანაწილებენ საქონელსა და მომსახურებას. ოჯახი ასევე წარმოადგენს ინსტიტუტს _ ის ქმნის საზოგადოების ახალ წევრებს. ურთიერთქმედების უმარტივესი სახეებიდან იქმნება რთული ინსტიტუტები.

<u>სოციალური მოთხოვნილებები და სოციალური ინსტიტუტები.</u> სოციალური ინსტიტუტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია ,,სოციალურ მოთხოვნილებებთან" მისი შესაბამისობა. როგორც ჩანს, ადამიანებს არ შეუძლიათ არსებობა კოლექტიური გაერთიანებების — ერთობებისა და საზოგადოებების გარეშე და ინარჩუნებენ მათ დიდი ხნის განმავლობაში. ეს

ტენდენცია ალბათ გაპირობებულია ადამიანების ერთმანეთთან ბიოლოგიური დამოკიდებულებით, გადარჩენის მიზნით თანამშრომლობასა და შრომის დანაწილებაზე, ასევე ადამიანების განსაკუთრებულ უნარზე დაამყარონ ერთმანეთთან ურთიერთობა სიმბოლური კომუნიკაციებით. მაგრამ, მიუხედავად ინდივიდუალურთან შედარებით, კოლექტიური ცხოვრების დიდი უპირატესობისა, საზოგადოების შენარჩუნება არ არის ავტომატური პროცესი. საზოგადოების ენერგიის ნაწილი მოდის თვითშენახვასა და კვლავწარმოებაზე. ამასთან დაკავშირებით მკვლევარებმა შემოიღეს ,,სოციალური მოთხოვნილების" ან ,,სოციალური ფუნქციის" ცნება.

საზოგადოებრივი მეცნიერებების პრაქტიკულად ყველა თეორეტიკოსი მიისწრაფოდა განესაზღვრა თუ რა არის აუცილებელი საზოგადოების ცხოველმყოფელობისათვის. კარლ მარქსს მიაჩნდა, რომ საზოგადოების საფუძველია გადარჩენის მატერიალური უზრუნველყოფის მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ ერთობლივი მოღვაწეობით; ამის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს. სხვა სიტყვებით, საზოგადოების ტიპს განსაზღვრავს მატერიალური გადარჩენის მიზნით ადამიანთა მოღვაწეობის ორგანიზების წესი.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სხვა თეორეტიკოსი განსხვავებულად უდგება სოციალურ მოთხოვნილებებს. ჰერბერტ სპენსერი (1897), რომელიც საზოგადოებას ადარებდა ბიოლოგიურ ორგანიზმს, გამოყოფს ,,აქტიური დაცვის" მოთხოვნებს (საუბარი ეხება სამხედრო საქმეს) ,,გარემომცველ მტრებსა და მძარცველებთან" საომრად, საქმიანობის მოთხოვნას ,,საარსებო საშუალებების საფუძვლად" (სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა), გაცვლის მოთხოვნას (ანუ ბაზრებს) და ამ განსხვავებული საქმიანობის კოორდინაციის მოთხოვნას (ე.ი. სახელმწიფოს).

ბოლოს, თანამედროვე მკვლევარებმა, გ. და ჯ. ლენსკებმა, შეადგინეს საზოგადოების მთლიანობისათვის აუცილებელი ელემენტების შემდეგი სია.

1. კომუნიკაცია საზოგადოების წევრებს შორის, ყველა საზოგადოებაში არსებობს საერთო სალაპარაკო ენა.

2. საქონლისა და მომსახურების წარმოება, საზოგადოების წევრთა გადარჩენისთვის.

3. ამ საქონლისა და მომსახურების განაწილება.

4. საზოგადოების წევრთა დაცვა ფიზიკური საშიშროებებისაგან (შტორმი, წყალდიდობა და სიცივე), სხვა ბიოლოგიური ორგანიზმებისა (მაგალითად, მავნე მწერებისაგან) და მტრებისაგან.

5. ამოვარდნილ წევრთა შეცვლა ბიოლოგიური გამრავლებისა და ინდივიდების მიერ სოციალიზაციის პროცესში კულტურის ათვისების გზით.

6. კონტროლი საზოგადოების წევრთა ქცევაზე კონფლიქტების დარეგულირებისა და შემოქმედებითი საქმიანობის პირობების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული სოციალური მოთხოვნილებები ავტომატურად არ დაკმაყოფილდება. ამისათვის საჭიროა საზოგადოების წევრთა ერთობლივი ძალისხმევა, რასაც ანხორციელებენ ინსტიტუტები. ეკონომიკური ინსტიტუტები ბაზრებისა და სამრეწველო გაერთიანებების, ფაბრიკებისა და ქარხნების ჩათვლით აკმაყოფილებენ 2 და 3 მოთხოვნებს, თანახმად გ. და ჯ. ლენსკების კლასიფიკაციისა. ოჯახი და სასწავლო ინსტიტუტები საჭიროა მეხუთე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სამედიცინო ინსტიტუტები იცავენ საზოგადოების წევრებს და მათ ბიოლოგიურ კვლავწარმოებას (მეანობისა და პედიატრიის დახმარებით). ბოლოს, სამართლებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები (სასამართლო, პოლიცია, ციხეები) აკონტროლებენ საზოგადოების წევრების ქცევებს.

<u>რესურსები და ინსტიტუტები.</u> სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ინსტიტუტები, არა მხოლოდ აწესრიგე-

ბენ ადამიანთა ერთობლივ საქმიანობას, არამედ ასევე არეგულირებენ იმ რესურსების გამოყენებას, რაც საზოგადოებას გააჩნია. განვიხილოთ, მაგალითად, ეკონომიკური ინსტიტუტები, რომლებიც დაკავშირებული არიან კომერციული ფირმების, სამრეწველო ორგანიზაციების საქმიანობასთან, ოჯახურ ფერმებთან და სხვა ორგანიზაციებთან. ეკონომისტების აზრით მათ, საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის აუცილებლად სჭირდებათ ოთხი სახის რესურსები:

1) მიწა ან ბუნებრივი რესურსებისა და ტექნიკური ცოდნის ერთობლიობა;

2) შრომა ან ადამიანთა მოტივაცია და ჩვევები;

3) კაპიტალი ან სიმდიდრე, რომელსაც დააბანდებენ წარმოებაში;

4) ორგანიზაცია ან პირველი სამი ტიპის რესურსების კოორდინირება.

რესურსები აუცილებელია ყველა ინსტიტუტის ფუნქციონირებისათვის. მაგალითად, ოჯახი ვერ იარსებებს ზოგიერთი აუცილებელი პირობების გარეშე: ხელფასი, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მშობლებსა და შვილებს შორის სიყვარულსა და მოვალეობის გრძნობა, ასევე, შიდასაოჯახო კონფლიქტის დასარეგულირებლად უფლების აზრიანი გამოყენება (ყოველი მშობლის მიერ). საგანმანათლებლო ინსტიტუტებს ესაჭიროებათ შესაბამისი ცოდნისა და ერუდიციის მასწავლებლები, აუდიტორიები, სპორტის დარბაზები და მოსწავლეთა თუნდაც მინიმალური სურვილი მიიღონ განათლება და სპეციალობა.

მაშასადამე, ინსტიტუტები არიან სოციალური წარმონაქმნები, შექმნილი ინტერაქციის ფორმებით საზოგადოების რესურსების გამოსაყენებლად, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ესა თუ ის სოციალური მოთხოვნები. ინსტიტუტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა სოციალური როლების მეტნაკლებად პროგნოზირებად სახეებზე დაყვანის გზით ადამიანთა საქმიანობის სტაბილიზირება. მაგალითად ოჯახში არის ქმრის,

ცოლის, დედის, მამის, ქალიშვილის, დის, ბიძაშვილის, ბიძისა და ბიცოლის როლები. ყველა მათგანი დაკავშირებულია ერთმანეთთან უამრავი უფლებებითა და ვალდებულებებით, რაც განსაზღვრევს იმ ადამიანთა ინტერაქციის (ურთიერთობის) ხასიათს, რომლებიც ჩართული არიან გარკვეულ ინსტიტუტებში, ესაა: დედისა და შვილის, ბიძაშვილობის, ბიძა—დიშვილი და სხვა ინსტიტუტები. საგანმანათლებლო ინსტიტუტში მრავალი როლი ასევე ზუსტადაა განსაზღვრული, ესაა: მასწავლებლის, მოწაფის, ადმინისტრატორის, მდივნის, დარაჯის და სხვა; მათი ათვისებისათვის აუცილებელია სწორედ ამ როლის შემსრულებელი ადამიანების გარკვეული სახის ურთიერთობები.

მაგრამ, ინსტიტუტების მოყვანილ დახასიათებას გარკვეული აზრით შეცდომაში შევყავართ. ინსტიტუტები წარმოდგენილია, როგორც სავსებით მდგრადი და უცვლელი წარმონაქმნები. საჭიროა ავღნიშნოთ ინსტიტუტების ნაირგვარობა და ცვალებადობა. პრიმიტიულ და მიწათმოქმედების საზოგადოებებში ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ძირითადად ხორციელდებოდა ოჯახის ინსტიტუტითა და ნათესაური კავშირების სისტემით, რომელთა ჩარჩოებშიც ხორციელდებოდა ძირითადი საწარმოო საქმიანობა. მაგალითად, გლეხთა ოჯახებში მშობლები, შვილები და სხვა ნათესავები ერთად მუშაობდნენ თავიანთ ფერმებზე; მათ აზრადაც კი არ მოსდიოდათ ,,დაქირავებული შრომის" გამოყენება, ე.ი. იმ ადამიანისა, რომელიც მათი ნათესავი არ არის. კომერციულ და სამრეწველო საზოგადოებებში ოჯახის, როგორც მრეწველის როლი კლებულობს, ის შემოიფარგლება საოჯახო მეურნეობით და ბავშვების აღზრდით; საქონლისა და მომსახურების წარმოებას ანხორციელებს ძირითადად ის ორგანიზაციები, როგორებიცაა ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც ოჯახებისგან განცალკევებულია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტები ხანგრძლივი დროის მანძილზე ინარჩუნებენ მდგრადობას. მათზე გავლენის

მქონე პირობები მუდმივად იცვლება. რაც შეეხება მედიცინის ინსტიტუტებს, აქ ახალი ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად, მაგალითად, სკანირებისა და თირკმელების დიალიზის ხელსაწყოებისა, გაჩნდნენ არა მხოლოდ ახალი როლები (ვთქვათ, სამედიცინო ტექნიკის სპეციალისტები), არამედ შეიცვალა ტრადიციული მიმართება ექიმსა და პაციენტს შორის: ის ჩაანაცვლა პაციენტისა და საავადმყოფოს მრავალრიცხოვანი პერსონალის ურთიერთობამ. რეანიმაციულმა ტექნოლოგიამ არა მხოლოდ კარდინალურად შეცვალა ექიმების მიერ პაციენტის გადარჩენის საშუალებები, არამედ გააჩინა ადამიანის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობის საქმეში ახალი ეთიკური პრობლემები. მაგალითად, ვინ მიიღებს გადაწყვეტილებას გამორთოს რენიმაციული აპარატი, თუ პაციენტი უიმედო მდგომარეობაშია, დაკარგა რა ცოცხალი ორგანიზმის ყველა თვისება, — ოჯახის წევრმა, ექიმმა თუ თანამდებობის პირმა, რომელიც შუამავლად გვევლინება, ვთქვათ მოსამართლემ.

ავიღოთ სხვა მაგალითი: შობადობის შემცირებასა და მოსახლეობის საშუალო ასაკის სავარაუდო კლებასთან დაკავშირებით, თანამედროვე ოჯახი 2-3 შვილით, რომლებიც აუცილებლად მიაღწევენ ხანდაზმულობას, მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა 8-9 შვილიანი ოჯახებისაგან, რომელთაგან უმრავლესობა დაბადებისას ან ბავშვობაში იღუპებოდა.

<u>სოციალური ფენები და კლასები თანამედროვე საზოგადოებაში</u> – სოციალური ფენები, დიდი საზოგადოებრივი ჯგუფების, მსგავსად, ყალიბდება ადამიანთა უთანასწორო მდგომარეობის საფუძველზე. ისინი, ვინც დიდ საზოგადოებრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ქონებრივი მდგომარეობით, შემოსავლებით, უფლება–მოვალეობებით, კულტურის დონით, ცხოვრების წესით და სხვა ნიშნების მიხედვით, რაც მათ სხვადასხვა ფენაში აერთიანებს. სოციალური ფენები დიდი საზოგადოებრივი ჯგუფების, ე.ი. კლასების შიდა წარმონაქმნების სახით ყალიბდება.

თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებების სოციალურ–ფენობრივი სტრუქტურა ბევრის მხრივ ერთგვაროვანია, თუმცა ქვეყანათა უთანაბრო ეკონომიკურ, ტექნიკურ, პოლიტიკურ განვითარებას, მათს ისტორიულ ტრადიციებს გარკვეული თავისებურებებიც შეაქვს მასში – მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში მაღალი კლასის ზედა ფენას მიეკუთვნებიან ძალზე მდიდრები, არისტოკრატული შთამომავლობის ადამიანები, ხოლო მაღალი კლასის ქვედა ფენას არისტოკრატული წარმოშობის, მაგრამ საკუთარი ძალისხმევით მოპოვებული დიდი ქონების მფლობელები.

ამავე ქვეყნის საშუალო კლასის ე.წ. „თეთრსაყელოიანებს“ (ეს ხატოვანი გამოთქმა ეკუთვნის ვინც გონებრივად შრომობს) ზედა ფენაში მაღალი განათლების ინტელექტუალური შრომისა და დიდი შემოსავლების მქონე საქმიანი ადამიანები – ექიმები, იურისტები, კაპიტალის მფლობელები შედიან.

<u>საშუალო კლასის დაბალი ფენა</u> კი საკანცელარიო, საბანკო და სხვა დარგებში მომუშავე გონებრივი შრომის მუშაკებისაგან შედგება. დაბალი კლასის ზედაფენას – „ცისფერ საყელოიანებს“ (ასე ეწოდათ მათ იმის გამო, რომ ფიზიკურ შრომას ეწევიან) მიეკუთვნებიან სამრეწველო და სხვა სფეროებში დასაქმებული ფიზიკური შრომის ადამიანები.

ფენობრივი დაყოფის სულ ბოლო საფეხურზე საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული, ეკონომიურად და სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი წევრები დგანან.

ტრადიციულად <u>პარტია</u>, პოლიტიკასთან ასოცირდება, რადგან პარტიები ყოველთვის ასრულებენ პოლიტიკური მოქმედების კონსტრუქტორისა და არჩევნებში – მონაწილეთა მობილიზატორის როლს. პოლიტიკური პარტია არის ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია კანონიერი პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და მისი შენარჩუნების მიზნით. ფართომასშტაბიან და რთულ პოლიტიკურ სისტემაში პოლიტიკურ პარტიებს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. იდეალურ შემთხვევაში ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ მოქალა-

ქეებსა და მათ მთავრობას, პოლიტიკოსების ყურამდე მიაქვთ საზოგადოებრივი აზრი და მობილიზაციას უწევენ უბრალო ადამიანების მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მხარდაჭერას. გარდა ამისა, ისინი მთავრობის სხვადასხვა დონესა და განშტოებას შორის (მაგალითად, აღმასრულებელი და საკანონმდებლო, ფედერაციული და შტატების მთავრობა), ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სტრუქტურებს შორის მეკავშირის ფუნქციასაც ასრულებენ პარტიები წამყვან როლს თამაშობენ, არჩევით თანამდებობებზე კანდიდატების წარდგენაში. ისინი ეხმარებიან ადამიანებს, რათა მათ უკეთ გაიგონ, რა კავშირი არსებობს სხვადასხვა საკითხებს შორის. პარტიები მონაწილეობენ საერთო პოლიტიკური პროგრამის ან პლატფორმის შემუშავებაშიც, რომელსაც შემდგომ უნდა დაეფუძნოს პოლიტიკა.

ჩვენ, შევეცადეთ მოკლედ, მაგრამ ლაკონურად და თანმიმდევრობით გადმოგვეცა პიროვნებათშორისო ურთიერთობების თითქმის ყველა შესაძლო დონე, ჯგუფში, კოლექტივში, ასევე სხვა ერთობებში რასაც მოიცავს ხალხი, ერი, სახელმწიფო, კლასი და პარტია. ეს განსხვავებული ერთობებია, სადაც ადამიანები სხვადასხვანაირად ურთიერთობენ. არა მხოლოდ ინტელექტის, კულტურის, ადათ–წესების გამო, არამედ ყველა–ზემოთჩამოთვლილ ერთობებში ქცევის და მოქმედების სხვადასხვანაირი მოდული არსებობს რომლის გაუთვალისწინებლად ადამიანი ვერ იურთერთობებს, ყველა ჩვენს მიერ ზემოთჩამოთვლილ ერთობებში.

ოჯახის ფუნქცია და როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში

ოჯახს, ხანგრძლივი და მრავლისმომცველი ისტორია აქვს XIX საუკუნის დიდი მკვლევარი ლუის მორგანი აღნიშნავდა, რომ „არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ ჰქონია ისეთი მდიდარი და შინაარსიანი ისტორია, არც ერთ მათგანს არ გაუხორციელებია უფრო ხანგრძლივი და მრავალმხრივი ცდის შედეგები, როგორც ოჯახს, რომელმაც თანამედროვე სახის მიღებამდე განვითარების დიდი გზა განვლო, რომ ოჯახი აქტიური ელემენტია, იგი არასოდეს არაა ერთ ადგილზე გაქვავებული, არამედ დაბალი ფორმიდან უმაღლესში გადადის, იმ ზომით, რა ზომითაც საზოგადოება დაბალი საფეხურიდან უმაღლესი საფეხურისკენ ვითარდება. (შ. ჩიკვაშვილი საოჯახო სამართალი თბ. 1998წ. გვ.16)

ოჯახი ერთ–ერთი უდიდესი ღირებულებაა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათაგან, რომლებიც კაცობრიობამ შექმნა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული განვითარების მანძილზე. ვერც ერთი ერი, ვერც ერთი კულტურის მატარებელი საზოგადოება ვერ ასცდა ოჯახს, როგორც სოციალურ ფენომენს. მის პოზიციურ განვითარებაში, შენარჩუნებაში, განმტკიცებაში დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, სახელმწიფო, მისი ურყეობა სჭირდება ყველა ადამიანს, განურჩევლად ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა, პოლიტიკური შეხედულებებისა, რელიგიური მრწამსისა, კანის ფერისა, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმოშობისა.

თანამედროვე მეცნიერებაში არ არსებობს ოჯახის როგორც ფენომენის საყოველთაოდ აღიარებული სრულყოფილი განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინათ ცდილობდნენ მის შემუშავებას გამოჩენილი მოაზროვნეები (პლატონი, არისტოტელე, კანტი, ჰეგელი) გამოვ-

ლენილია დადგენლია ოჯახის დამახასიათებელი თვისებები. უფრო მეტად საუბარია ოჯახზე როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედზე, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების ბიოლოგიურ და სოციალურ აღწარმოებაში, მას უწოდებენ აგრეთვე მცირე სპეციფიკურ სოციალურ ფსიქოლოგიურ ჯგუფს, ხაზგასმით აღნიშნავენ იმასაც, რომ ეს არის ადამიანთა ერთობლიობა განსაკუთრებული პიროვნებათაშორისი ურთიერთობებით, რომლებსაც მართავს კანონი, ზნეობრივი ნორმები, ტრადიციები. ოჯახისათვის დამახასიათებელია ისეთი ნიშან–თვისებები, როგორიცაა მისი წევრების ერთად ცხოვრება, საერთო საოჯახო მეურნეობა, ნათესაობითი კავშირები.

ამგვარად, ოჯახის ცნება შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ოჯახი არის მცირე მოცულობის სოციალურ–ფსიქოლოგიური ჯგუფი, რომლის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს საქორწინო ან ნათესაური კავშირი, ერთიანი ყოფიერება და ურთიერთმორალური პასუხისმგებლობა. იგი სოციალური აუცილებლობაა, რომელიც განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნილებით. ამ განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ოჯახისათვის დამახასიათებელია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ურთიერთოდამოკიდებულებანი: საქორწინო (ცოლსა და ქმარს შორის) და ნათესაური (მშობლებსა და შვილებს შორის, ნათესავებს შორის). (Л. Морган Древние Общество М. 1936 ст.200).

ოჯახური ურთიერთობებიც თავისი ემოციური დატვირთვით სხვადასხვაა, რამდენადაც პიროვნული ურთიერთობები ოჯახის წევრთა შორის შეიძლება იყოს ღია ან დაფარული, ოჯახის წევრებს შეიძლება სძულდეთ ან უყვარდეთ, ან ქონდეთ ურთიერთგაგება და თანაგრძნობა, ან დაპირისპირება და გაუტანლობა. ბედნიერია ოჯახი, სადაც თავს ყველა კარგად გრძნობს.

კაცობრიობის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ოჯახმა არსებითი ცვლილებები განიცადა. მეტწილად ეს ცვლილებები შეეხო ქორწინების, შეუღლების დანიშნულებას, რიტუალებს, წეს–ჩვეულებას, დაქორწინებულთა უფლებებს და მოვალეობებს.

ოჯახი და ქორწინება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში ჩამოყალიბდა. თავიანთი სამართლებრივი და ზნეობრივი პრინციპებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საეკლესიო და სამოქალაქო ქორწინებები. ქორწინება აერთიანებს ქალსა და მამაკაცს, ერთ ოჯახად წარმოადგენს მათ შვილებთან და ხშირ შემთხვევაში, აგრეთვე ახლო თუ შორეულ ნათესავებთან ერთად, ოჯახი დახურული და ხელშეუხებელია უცხო პირთათვის, ერთგვარი აუღებელი ციხე–სიმაგრეა.

რამდენადაც ოჯახი გარკვეული სოციალური მოვლენაა და საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესს და ცვლილებას ასახავს ბუნებრივია, რომ იგი მეცნიერების სხვადასხვა დარგის კვლევის საგანი ხდება და მათი ინტერესი ოჯახისადმი გამოწვეულია თვით ოჯახისა და პიროვნების იმ ფუნქციონალური მნიშვნელობით, რასაც ისინი ასრულებენ საზოგადოებისა და ერთმანეთთან მიმართებაში.

საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებულმა მოვლენებმა წარმოშვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ურთულესი პრობლემები. მრავალი სოციალური ურთიერთობა დაიმსხვრა, დაიწყო ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, რომელმაც წარმოაჩინა ისეთი ცხოვრებისეული წინააღმდეგობის ფაქტორები, რომლებიც წარსულში საზოგადოებაში რეალურად არ არსებობდა. სოციალური წინააღმდეგობები ყველაზე უფრო რთულად ოჯახზე აისახა. მატერიალურმა სიდუხჭირემ, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ცხოვრების პერსპექტივის

დაკარგვამ ძალზე უარყოფითად იმოქმედა ოჯახზე, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედზე, ზოგიერთ ოჯახში ურთიერთობა ფაქტობრივად შეწყდა. აშკარად შეიმჩნევა ოჯახის წევრებს შორის აგრესიულობის გამოვლენა, საბოლოოდ კი წარმოიშვა ისეთი სოციალურად საშიში მოვლენა, როგორიცაა საოჯახო ურთიერთობებში ძალადობა, რამაც თანამედროვე საზოგადოებაში ობიექტურად წარმოშვა ოჯახური ძალადობის თავიდან აცილების პრობლემა: პოსტსაბჭოურ ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების მოშლამ თითქმის ნულამდე დაიყვანა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი. წარმოების შეჩერებამ მწვავე ფინანსური კრიზისი გამოიწვია, მკვეთრად დაეცა საქართველოს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონე, მძაფრად იჩინა თავი უმუშევრობის პრობლემამ და სხვა. ძალადობითი დანაშაულობის მიზეზების კვლევისას ასევე გასათვალისწინებელია სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მძიმე ეკონომიური მდგომარეობა.

სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენები: მასობრივი უმუშევრობა და სიღარიბე, საზოგადოების ძირითად უჯრედზე ოჯახზე უკიდურესად უარყოფითად აირეკლება და ამწვავებს ურთიერთობას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შორის, რაც ბუნებრივია, ბადებს მათ ურთიერთობაში გაუცხოების პროცესებს და სხვადასხვა მოტივებით დანაშაულის ჩადენის ერთ–ერთ მიზეზად გვევლინება.

უძველესი დროიდან მეცნიერებათა დავის საგანია ის, თუ რა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის გავითარებაზე, ოჯახი, სკოლა, თანდაყოლილი თვისებები, სოციალური გარემო, ყველა ერთად, თუ აღზრდა.

ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც იყვნენ (სოკრატე, პლატონი, ლაიბნიცი) იმ აზრისანი იყვნენ, რომ ადამიანის განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს თანდაყოლილი, ბუ-

ნებრივი თვისებები, რომლებიც მას მემკვიდრეობით გადაეცემა; რომ არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეუძლია რაიმე ცვლილება შეიტანოს ადამიანის განვითარების პროცესში, რომ მოზარდს მემკვიდრეობით გადაეცემა, როგორც ფიზიოლოგიური თვისებები, ასევე ხასიათი, მიდრეკილებები, ტემპერამენტი და ა.შ.

დემოკრიტე და არისტოტელე, ახალშობილ ბავშვს ადარებდნენ „სუფთა დაფას“ მათი მტკიცებით, ადამიანი დაბადებიდან ისეთია, როგორც სუფთა დაფა და მისი ჩამოყალიბება სრულფასოვან პიროვნებად მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მასზე მისი გარემომცველი სოციალური გარემო, აღზრდა, საზოგადოებრივი ცხოვრება. (ვ. რამიშვილი „ფილოსოფია” თბ. 2010წ. გვ. 147).

საბოლოოდ, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღზრდის პროცესზე, დიდ ზეგავლენას ახდენს მემკვიდრეობა და სოციალური გარემო, მაგრამ გადამწყვეტი როლი „ოჯახსა და მიზანმიმართულ აღზრდას“ ენიჭება. აღზრდა არის პიროვნებაზე, მის ქცევაზე ორიენტირებული და მიზანმიმართული პროცესი. აღზრდა პიროვნების სწავლების, მისი სოციალიზაციის ერთ–ერთი ასპექტია. სწავლება აღზრდა და განვითარება განიხილება როგორც საზოგადოების სოციალური დაკვეთა, რამდენადაც მისი ძირითადი შედეგია პიროვნების ადაპტირება საზოგადოებაში ყოფიერებისა და ცხოვრების წესებისადმი.

იმ მაღალი ჰუმანური ღირებულებებიდან გამომდინარე, რომლებიც კაცობრიობამ შექმნა თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე და ცდილობს იგი ჩაუნერგოს ახალ, მომავალ თაობას, აღზრდის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადამიანის ჩამოყალიბება სრულფასოვან პიროვნებად, რომელსაც ახასიათებს მაღალი სულიერება, მაღალი ზნეობრივი იდეალები. ამასთან, საკუთარი ქცევისა და მოქმდების გააზრება და მათზე პასუხისმგებლობის გრძნობა.

გარდა ამისა, აღზრდა ითვალისწინებს მოზარდებში ისეთი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: თვითრეგულაცია, თვითშეგნება, პასუხისმგებლობა, აქტიურობა და ინიციატივა, წარმატებისაკენ სწრაფვა და სხვა. ამგვარად მოზარდის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის, ადამიანის განვითარება მრავალი კონკრეტული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული. მათგან უმნიშვნელოვანესია სოციალური ფაქტორი–მოზარდის გარშემო მყოფი წრე, ოჯახი, რომელიც ზრდის და ამზადებს მას. რომ აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებივ საქმიანობაში. სოციალური ნორმატივებისა და წესების ათვისებით და დაცვით. მოზარდის ინდივიდუალურობას განსაზღვრავს ის პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა: მისი გონებრივი, ფსიქიკური, ფიზიოლოგიური განვითარების დონე და თვითშეგნების სტრუქტურა, რაც მას მემკვიდრეობით და აღზრდით ეძლევა.

ინდივიდუალური ბუნებრივი თვისებები – ტემპერამენტი, ხასიათი, ნიჭიერება – განსხვავებულ როლს ასრულებს ყოველი ბავშვის აღზრდა–ჩამოყალიბებაში პიროვნებად და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს ანიჭებენ. ერთნი წინ უსწრებენ ასაკობრივ განვითარებას, მეორენი კი რამდენიმედ ჩამორჩებიან. მაგ. ზოგიერთი მოზარდი ვერ იმეორებს მარტივ მუსიკალურ მელოდიას, სხვას კი შეუძლია მეტად რთული მუსიკალური ნაწარმოების შექმნა, შესრულება. ასეთ და სხვა მსგავს შემთხვევებში – განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს, როგორც თავის ტვინმა, ასევე გარემომ, რომელშიც ბავშვი იზრდება და სრულყოფილი ხდება. აქ მხედველობაში გვაქვს ოჯახის ინტელექტუალური, კულტურული, ზნეობრივი და ეთიკური მახასიათებლები, სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა, ეროვნული კულტურა და ტრადიციები. ოჯახის ტიპი დამოკიდებულება თვით ბავშვის – მოზარდის მიმართ,

მშობელთა შორის ურთიერთობა და ყველა ის გარეგანი პირობა, რომლებიც განსაზღვრავენ ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას, მის შემდგომ პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

ფსიქოლოგები, მეცნიერები, მშობლებს ურჩევენ რომ შვილებს ჩაუნერგონ რწმენა, რომ თითოეულ მათგანს შეუძლია მიაღწიოს დასახულ მიზანს საკუთარი ძალისხმევით და ბუნების კანონებიდან გამომდინარე. მშობლები თავდაუზოგავად უნდა ცდილობდნენ, რომ მათი შვილი ჩამოყალიბდეს პიროვნებად, რომელშიც იგულისხმება: – ხასიათი როგორც მისი მოტივაციურ–ნებელობითი სტაბილური სისტემა:

- ტემპერამენტი – ქცევის მოქმედების მყარი სისტემა,
- ინტელექტი – გონებრივი მოქმედების სტაბილური სისტემა
- კონსტრუქცია – მისი გარეგნული აღნაგობა (თ. გოგიჩაიშვილი ზოგადი ფსიქოლოგია თბ. 2003წ. გვ. 139).

ბავშვის აღზრდაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, უმთავრეს როლს საზოგადოება ასრულებს, რომლის შემადგენელ ნაწილს ოჯახი წარმოადგენს. ოჯახია, რომელშიც იწყება ბავშვის აქტიური ურთიერთობა, მისი ძირითადი თვისებების აღმოცენება. აქ ეყრება საფუძველი მის ზნეობასა და მორალს, ესთეტიკურ და ეთიკურ შეხედულებებს, პიროვნულ თვისებებს და რამდენადაც ყველაფერი ეს პირველადია თავისი წარმოშობით და განვითარებით, ისინი დიდხანს და მკვიდრად მყარდებიან ბავშვის არსებაში როგორც პიროვნული თვისებები.

ბავშვისათვის მშობელთა დამოკიდებულება შრომისადმი, ადამიანებისადმი, საზოგადოებისადმი, ზნეობრივ ღირებულებათა მიმართ, უპირველესი წაბაძვის საგანია. მოზარდები ცდილობენ გადმოიღონ მათგან როგორც კარგი, ასევე ცუდი ჩვევები.

ოჯახი – პირველადი კოლექტივია. მის წევრებს აქვთ ერთანაირი ინტერესი და პასუხისმგებლობა ოჯახისადმი. თითოეულ მათგანს შეაქვს თავისი წვლილი მისი თითოეული წევრის მიმართ მზრუნველობაში, ყველა შრომობს, ერთად ისვენებს. ბავშვების, სიხარულს თუ ტკივილს ოჯახის ყველა წევრი ერთნაირად განიცდის. მშობლები ყოველ წუთს მზად არიან უთანაგრძნონ, დახმარება გაუწიონ მათ. მშობლები ესაუბრებიან შვილებს თავიანთ მიღწევებსა თუ წარუმატებლობაზე. ოჯახის კოლექტივს შეადგენს, როგორც დედ–მამა, ასევე შვილები. როდესაც ერთ–ერთი მშობელი მიატოვებს ოჯახს, მაშინვე მცირდება, კნინდება ოჯახის აღმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა. ოჯახის დაშლა უდიდეს ტრამვას წარმოადგენს თითოეული წევრისათვის, შვილები მტკივნეულად განიცდიან დედის ან მამის მოშორებას. მოზარდები, იცვლიან ხასიათს, ხდებიან ჯიუტები, ფეთქებადები, დაუნდობლები, უხეშები, კონფლიქტურები თანატოლებისა და უფროსების მიმართ, ხდებიან უპასუხისმგებლონი თავიანთ მოვალეობათა მიმართ, ხშირად კი ქუჩის არც თუ ისე სასურველი ზემოქმედების მსხვერპლადაც გვევლინებიან. (ლ. ბიბილეიშვილი მ. ტუღუში ზოგადი ფსიქოლოგია თბ. 2003წ. გვ. 139)

შვილების, ოჯახში აღზრდა ყველთვის არ არის წარმატებული. აქ დაშვებული შეცდომები და გადახრები საზიანოა არა მარტო ოჯახისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც. ამ შეცდომებთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია მშობელთა ავტორიტარიზმი, რომელიც ავიწროებს შვილების თავისუფალ დამოუკიდებელ ქცევას, ზღუდავს მათ შესაძლებლობებს, უკარგავს მათ რწმენას საკუთარ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობათა მიმართ.

ოჯახურ აღზრდაში ამის საპირისპირო შეცდომაა შვილების უსაზღვროდ განებივრება, მათი ყოველგვარი მოთხოვნე-

ბის დაკმაყოფილება და უკონტროლობა, ოჯახური საქმეებით დატვირთვისაგან მათი განთავისუფლება, რაც აქვეითებს მათ პასუხისმგებლობას, მათი ნებელობის გავითარებას, სასიცოცხლო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მოზარდის აღზრდაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ასევე ისეთი ვითარება, როდესაც განსხვავებულ მიდგომებს იჩენენ დედა, მამა, ბებია, ბაბუა. ასეთ შემთხვევაში ბავშვს უნვითარდება პირფერობა, იგი ლაქუცობს, ცრუობს და არ ერიდება სხვა უზნეო ქცევებსაც.

საზოგადოების ისტორიული განვითარების მანძილზე ოჯახის ფუნქციები თითქმის უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ იცვლება მისი დანიშნულება და მიზნები. ოჯახური ურთიერთობა უძველესი დროიდან სხვადასხვა ფორმაში ვლინდება, სახელდობრ: ავტორიტარული, დემოკრატიული და ანარქიული ფორმით. ავტორიტარული ტიპის მმართველობა დამახასიათებელია პატრიარქალური ოჯახისათვის, სადაც მის ხელმძღვანელობას თავის თავზე იღებს ისეთი უფროსი მამაკაცი, რომელსაც ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისათვის. დროთა განმავლობაში მისი ფუნქციებიც იცვლებოდა. ოჯახის უფროსობა დღეისათვის ვლინდება არა ოჯახის წევრთა გამორჩეული უმაღლესი ხელისუფლებით, როგორც ადრე იყო, არამედ საოჯახო საქმეების ორგანიზაციაში, მისი ყოფის კეთილმოწყობაში. საქმე ეხება ოჯახის უფროსის არა გადამწყვეტ სიტყვას, არამედ მის ავტორიტეტს, ერუდიციას, რაც ოჯახს დემოკრატიულ საწყისებზე მართავს. არცთუ ისე იშვიათად ოჯახში თავს იჩენს „ორხელისუფლებიანობა“, რომელთაგან თითოეულს თავისი ძირითადი წვლილი შეაქვს საოჯახო ცხოვრებაში. ერთი მათგანი ხელმძღვანელობს საოჯახო მეურნეობას (საკვების მომზადება, სახლის დალაგება და ა.შ.) ხოლო მეორე წარმართავს ოჯახის

უფრო რთულ საქმეებს (სახლის სარემონტო სამუშაოები, მიწის ნაკვეთის დამუშავება, ტექნიკის შეძენა და მოვლა და ა.შ.). (აკ. ნარგიზიშვილი.საოჯახო პედაგოგიკა თბ. 2008წ.).

ოჯახის დემოკრატიული ფორმით ხელმძღვანელობისას, საკითხის გადაწყვეტა ევალება ყველაზე უფრო კომპეტენტურ წევრს. ისეც ხდება, რომ მამაკაცი ოჯახში არის მთავარი კულინარი, ხოლო მისი მეუღლე ინტელექტუალური შესაძლებლობიდან გამომდინარე ცენტრია, შვილების სწავლა–განათლებაზე ზრუნავს.

ოჯახის სამეურნეო ფუნქციების წარმატებით წარმართვისათვის ყველაზე უფრო პროდუქტიულია მართვის დემოკრატიული სტილი. ხოლო მართვა ნიშნავს საოჯახო ეკონომიკის დაგეგმვას, ანგარიშს, მომჭირნეობას, კონტროლს, თანაც არა მარტო ოჯახის უფროსი წევრების, არამედ ბავშვების, მოზარდების ინტერესების გათვალისწინებით. ოჯახის საბიუჯეტო საქმეების სწორი ორგანიზაცია დიდმნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ოჯახის ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნაზე, პიროვნულ ურთიერთობათა მოწესრიგებაზე.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ოჯახის დასვენებისა და გართობის ფუნქციების ოპტიმალურ ორგანიზაციას, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობაზე მათ სხვადასხვა სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ზრუნვას. ოჯახის დასვენება და გართობა ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესია მისი წევრების შრომისუნარიანობის ინტელექტუალური ძალების, ესთეტიკური მოთხოვნილებების რეგულირებისა და გაძლიერებისათვის.

ყველა შემთხვევაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქცია. ამ მიმართულებით გამოიკვეთება ორი ძირითადი ასპექტი.

1. ბავშვის აღზრდა, მისი პიროვნების ჩამოყალიბება, მის ინტელექტუალურ შესაძლებლობათა სრულყოფა, ფიზიკური განვითარება, სულიერი ამაღლება. ოჯახი გვევლინება რო-

გორც შუამავალი ბავშვსა და საზოგადოებას შორის, როგორც სოციალური გამოცდილების გადაცემის ფაქტორი, რომლის საშუალებითაც ბავშვი ითვისებს და ითვალისწინებს საზოგადოებრივი ქცევის, მოქმედების ფორმებს, ზნეობრივ ღირებულებებს.

2. ოჯახის სისტემატური აღმზრდელობითი ზემოქმედება ბავშვზე მისი განვითარების ყველა ეტაპზე რომლის საფუძველს წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი ღირებულებები. ოჯახი გვევლინება როგორც თავისებური სკოლა, რომლის საფეხურებს იგი დაბადებიდან სრულწლოვანებამდე და მის შემდეგაც გადის, იცვლება მხოლოდ აღზრდის ფორმები და მეთოდები.

ბავშვის აღზრდას, მის ქცევას ძირითადად ორი ფაქტორი განსაზღვრავს. ამათგან პირველია, მისი მოთხოვნილება და ძალები, ხოლო მეორეა ის გარემო, რომელშიც ეს მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს. ეს ფაქტორები განსხვავებული ძალით მოქმედებენ ბავშვის განვითარებაზე.

საზოგადოების დემოკრატიზაციამ მეცნიერების სხვადასვა დარგებშიც შემოაღწია და ჩამოყალიბდა კრიტიკული დამოკიდებულება აღზრდის ავტორიტარული პრინციპის მიმართ, რომელიც ცალსახად ითვალისწინებს მოზარდთა უსიტყვო მორჩილებას, მშობლების სურვილის ასრულებას. ამასთან დაკავშირებით თვით ცნება „ავტორიტეტი“ და „ავტორიტარული აღზრდა“ დაუპირისპირდა ჰუმანური აღზრდის თანამედროვე პრინციპებს. ავტორიტეტი (ლათინური სიტყვაა (აუტორიტას–ძალაუფლება, პიროვნების ძალაუფლება) დაფუძნებული პიროვნების, ზნეობაზე, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ზოგჯერ ავტორიტეტს განსაზღვრავენ როგორც ისეთ ურთიერთობას, როდესაც ერთი პიროვნება მეორეზე ახდენს გავლენას, ზემოქმედებას მისი დაცვის მიზნიდან გამომდინარე. ავტორიტეტული მშობელი – ნიშნავს მიიზიდო შვილი მისი დაცვის, მისთვის დახმარების, ხელმძღვანელობის გაწევის მიზნით,

ხოლო ბავშვებისათვის მშობლის ავტორიტეტი ნიშნავს არა იმ-დენად მორჩილებას, რამდენადაც მისადმი ნდობას, დაცულ-ობის გარანტიას. მოზარდისათვის მშობლის ავტორიტეტი მიი-ღება როგორც ღირსება და ძალა, რომელსაც შეიძლება მოზარ-დი დაეყრდნოს. (Дейл Карнеги как приобретать друзей и оказывать влияние на людей М.1989г. ст. 176).

მშობლები ამას კარგად გრძნობენ, თუმცა ზოგი მშობელი ფიქრობს რომ ეს ბუნებრივი მოვლენაა და არ ფიქრობს იმაზე რომ ავტორიტეტს შენარჩუნება სჭირდება, განსაკუთრებით ისეთ ოჯახებში, სადაც ურთიერთობა დიქტაქტებზე, ურთიერ-თმორჩილებაზეა აგებული. ამ შემთხვევაში სკოლამდელი ასა-კის მოზარდი უკვე კარგად ხვდება, რომ ასეთი ავტორიტეტი დაკავშირებულია ასაკთან, ფიზიკურ ძალასთან და არა ინტე-ლექტთან, მაღალ ზნეობასთან, დადებით პიროვნულ თვისე-ბებთან. მოზარდისადმი მშობლის სიყვარული, მზრუნველობი-თი დამოკიდებულება, მშობლის მაღალი კულტურა, დახვეწილი უნარ–ჩვევები, სიმპათია იქცევა საფუძვლად მშობლის ავტო-რიტეტის ამაღლებისათვის მოზარდის თვალში. დიდი პასუხის-მგებლობის გრძნობით გამსჭვალული მშობლები ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ, განამტკიცონ მათდამი შვილების კე-თილგანწყობილი დამოკიდებულება, არ დაარღვიონ იგი საზო-გადოებისათვის მიუღებელი ქცევით.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის უფროსი წევრები გა-უფრთხილდნენ ურთიერთ ავტორიტეტს, გაითვალისწინონ, რომ ძნელია მისი შენარჩუნება და ძალიან ადვილია მისი დაკარგვა, განსაკუთრებით კამათისას სხვადასხვა საოჯახო საკითხების, პრობლემების მოსაგვარებლად, არ დაუშვან ურთიერთშეურაც-ხყოფა უხეში სიტყვებით და მითუმეტეს – ფიზიკური შეხება, რაც დაღევანდელ ჩვენს სოციუმში, არც ისე უცხო მოვლენა გახდა. აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს მშობლების ავტორი-

ტეტზე ოჯახის წევრების უხეში დამოკიდებულება საზოგადოების სხვა წევრებისადმი (მეზობელი, ნათესავი, თანამშრომელი) მშობლების მიუღებელი ქცევა საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე (საქალაქო ტრანსპორტი, ქუჩა, ბაზარი).

სოციოლოგიური გამოკვლევებით დადგენილია, რომ ოჯახში მამის პრესტიჟის დაცემას განსაკუთრებუბით განიცდიან ბიჭები, რადგან ოჯახში ბატონდება „მატრიარქატი“. ვაჟები კი შინაგანი პროტესტის ნიშნად თავად ითვისებენ მამის, როგორც ოჯახის უმნიშვნელო წევრის ფუნქციებს და ცდილობენ თვითონ შეასრულონ მისი როლი როგორც დაჩაგრული პიროვნებისა, ან ეძებონ სხვა მამაკაცური იდეალები. მათი წარმოდგენით შექმნილი „მომავლის ხატი“, რომელსაც შემდგომ სავალალო შედეგებამდე მივყავართ. რაც შეეხება შვილს „გოგონას“ ისინი უფრო ლოიალურები არიან ასეთი მოვლენისადმი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მამა მათ მიმართ ლოიალური, მოსიყვარულე და მზრუნველი რჩება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ოჯახი წარმოადგენს უნიკალურ, დიფერენცირებულ სოციალურ მიკროჯგუფს, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მოზარდის აღზრდა – განვითარებასა და მის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში. მასში წარმოდგენილია ისეთი ქვესისტემები, რომლებიც განსხვავებულია ასაკით (უფროსი და უმცროსი ასაკის ოჯახის წევრები), სქესით (მამაკაცები და ქალები), პროფესიით (დედა–ექიმი მამა იურისტი, ბებია მასწავლებელი – ბაბუა ეკონომისტი), რაც ქმნის საუკუთესო პირობებს ოჯახის, როგორც აღმზრდელობითი ინსტიტუტის ფუნქციების წარმატებით შესრულებისათვის.

ყველა ოჯახს აქვს განსხვავებული შესაძლებლობები, პოტენციები, საკუთარი ძირითადი მოვალეობის შესრულებისათვის. გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

დასახლების ადგილი, ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი, ტრადიციები, წეს–ჩვეულებები და ა.შ.

ამ ფაქტორებიდან, ერთ–ერთ ძირითად ფაქტორად, შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ–კულტურული ფაქტორი, რომლის ზეგავლენით არც თუ ისე მცირეა უდედ-მამო ბავშვები, რომლებსაც არ სურთ სწავლა და ძირითადად ქუჩაში ატარებენ დროს, აგრეთვე სამართალდამრღვევი ბავშვები, მცირეწლოვანი დედები, ბავშვები, რომლებიც იზრდებიან საბავშვო კოლონიებში ან ბავშვთა სახლებში, რომლის მიზანია მათი ხელახალი აღზრდა, მკურნალობა, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია.

ოჯახური მიკროკლიმატი და ოჯახის კულტურა უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება, სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების საქმეში. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, როგორიც ოჯახის ქონებრივი მდგომარეობა და მისი წევრების დასაქმების სფერო, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სოციალურ–ეკონომიკურ ფაქტორს. თანამედროვე პირობებში სწავლა–განათლება მოითხოვს გარკვეულ ხარჯებს. ასევე აღსანიშნავია ქვეყნის სოციალურ–პოლიტიკური მდგომარეობა, რაც განუხრელ კავშირშია ოჯახთან, რადგან სახელმწიფო და ოჯახის ცნება ერთ–ჭრილშია გააზრებული.

საბოლოო ფორმირება მოზარდის გარდატეხის ასაკს უკავშირდება, რასაც ეხლა ჩვენ „თინეიჯერებს“ ვეძახით. ეს არის ის რთული პერიოდი როცა ადამიანი იწყებს ძიების გზებს, თავის საზოგადოებაში თვითდამკვიდრების, რასაც ბუნებრივია ემატება, შინაგანი ბიოლოგიური ცვლილებები, რომლებსაც მოზარდები განიცდიან, ქალი ან ვაჟი მათში იზრდება საკუთარი პოზიციის მკვეთრად გამოხატვის მოთხოვნილება. (Г. Н. Филонов социальная педагогика М. 1995)

სოციოლოგები, სხვადასხვა კვლევის შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დღეს მოზარდთა დანაშაულობის მკვეთრი ზრდის ერთ–ერთი მიზეზია საზოგადოებაში საკუთარი თავის

დამკვიდრების არასწორი სტანდარტები – სახელმწიფოს მიერ ოჯახში თუ საზოგადოებაში მშობლების ავტორიტეტის შელახვის ტენდენციები, რომელიც ძალიან მტკივნეულია მოზარდისათვის. ასეთ ვითარებაში მშობლებმა უნდა განუმარტონ ბავშვს, მოზარდს, რომ მიმდინარეობს კონკურენცია საზოგადოებაში, საკუთარი ადგილის დასაკავებლად და რომ მან კარგად უნდა ისწავლოს, იყოს დისციპლინირებული, შრომისმოყვარე, კარგი განათლება მიიღოს, რომ კარგი სამსახური იშოვოს. მშობელი თვითონ უნდა იყოს ამ მხრივ სამაგალითო, რომ შვილმა მას მიბაძოს და მხოლოდ მაშინ შეძლებს ჩაუნერგოს შვილს, რომ მთავარია მოემზადოს ამ კრიზისისათვის, რომ ყველაფერი არ არის აგებული მარტო მატერიალურ ფაქტორებზე. თუ გამოვლინდა, რომ მოზარდი ნარკოტიკს მოიხმარს, მშობელი მას გულახდილად უნდა დაელაპარაკოს, ჰქონდეს შვილთან მეგობრული დამოკიდებულება, გაუგოს მას, არ დასცინოს და არ გამოხატოს აგრესია მის მიმართ და აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის მიმართოს ფსიქოლოგს, ფსიქოთერაპევტს, ნარკოლოგს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ნარკოტიკებისადმი მისწრაფება გარდამავალ, გარდატეხის ასაკში, ხდება, რომელიც ურთულესი პერიოდია და ბევრი დამატებითი მიზეზის გამო კიდევ უფრო რთულდება ხოლმე. ამიტომ ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდის თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ბალანსირება, რადგან ეს ის პერიოდია, როდესაც მოზარდს აქვს თავისუფლებისა და მძაფრი განცდების მიღების მოთხოვნილება და ამიტომ ოჯახი მის აღზრდასთან ერთად საჭიროა თავგამოდებით ცდილობდეს მისთვის დადებითი სოციალური გარემოს შექმნას.

უკანასკნელ ბოლო ათწლეულში მსოფლიომ და მასთან ერთად საქართველომაც ბევრი ცვლილებები განიცადა. ეს

ცვლილებები, ბუნებრივია, შეეხო ადამიანთა შეხედულებებს, ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივ ღირებულებებს. ჩვენი ინტერესის საგანი გახდა ის სფერო, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის უფლებების დაცვას, ოჯახშიც და სკოლაშიც. სკოლის დიქტატორული მეთოდები ჩაანაცვლა დემოკრატიულმა სკოლაში გატარებულმა რეფორმებმა, რომლის საწინდრად გვესახება სკოლებში შემოღებული „მანდატურის“ ინსტიტუტი რომელიც ცივილური მეთოდებით ცდილობს ყოველგვარი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას. უმაღლეს სასწავლებლებში მონიტორინგის სამსახურის შემოღება ხელს უწყობს ლექცია–სემინარებზე სტუდენტების და პედაგოგ–მასწავლებლების მოწესრიგებულ საქმიანობას. ესეც იმ რეფორმების შედეგია რომელსაც საგანმანათლებლო სივრცეში ბოლონიის პროცესად მოიხსენიებენ და ჩვენი ქვეყანა საქართველო, ძალიან აქტიურად არის ჩაბმული ამ პროცესში.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო დგას დემოკრატიის გზაზე, ჩვენი ხელისუფლება მოწოდებულია და ყველაფერს აკეთებს მომავალი ჯანსაღი თაობის არსებობისათვის. თითოეული ოჯახი საზოგადოების ყველა წევრი, ყოველი ადამიანი უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ჩვენი მომავალი თაობა, რომლებმაც უნდა შეგვცვალონ აღიზარდონ პიროვნებებად, რომლებსაც ეყვარებათ, სამშობლო და იქნებიან საქართველოს ღირსეული მოქალაქეები. „ანტიკური ხანის დიდი ბერძენი ორატორი და ფილოსოფოსი დემოსთენე თავის გამოსვლებში ათენელებს ასე მიმართავდა: „მოქალაქენო“ „ვაჟკაცებო“, „დარბაისელნო“. ქვეყნის, სახელმწიფოს სიმდიდრედ იგი მიიჩნევდა მოკავშირეებს, მოქალაქეთა ნდობას, მათ კეთილ ნებას, ხოლო ყველაზე საშიშ თვისებად – საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებისადმი გულგრილობას. მოქალაქეა ყველა, ვინც ერთი სახელმწიფოს საზღვრებს შიგ-

ნით ცხოვრობს და მასთან არის დაკავშირებული მთელი თავისი უფლებებითა და მოვალეობებით. მოქალაქე ვალდებულია განუხრელად იცავდეს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას– ზნეობრივსა თუ სამართლებრივს, ერთგულად ემსახურებოდეს თავის ხალხს, ქვეყანას, საზოგადოებას. მოქალაქეობრივი ზნეობა ვლინდება არა მარტო სამშობლოს სიყვარულში მისთვის თავდადებაში, არამედ პირად ურთიერთობებშიც: „გიყვარდეს მოყასი შენი“ ეს ნიშნავს ცხოვრებასა და თანამშრომლობას იმ ადამიანებთანაც ვისაც შენგან განსხვავებული შეხედულება და მოსაზრებები აქვს პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ სოციალურ ჭრილში. განსხვავებული შეხედულებები არ ნიშნავს იმას, რომ მათთან არ შეიძლება გამოინახოს საერთო შეხების წერტილი. ქართველი ხალხის ისტორიული ტრადიცია, წარსული გვაძლევს იმის შესაძლებლობას, ვიფიქრობთ რომ ის სიძნელეები, რომელიც თან ახლავს გარდაქმნის რთულ პროცესს, მოგვარდება, ყოველი ოჯახი, სახელმწიფოსთან ერთად იზრუნებს ჯანსაღ, მომავალ თაობაზე და აღზრდის ისეთ პიროვნებებს, რაც ჩვენი ქვეყნის მომავალი აღზევების შედეგი იქნება.

საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთმიმართების საკითხები

საზოგადოება არის ადამიანთა სპეციფიკური ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების ფორმებით. მისი მიზანია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საზოგადოება ხასიათდება მდგრადობით, მთლიანობით, თვითგანვითარებით და სოციალური ღირებულებების, ფორმების მოცულობით, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ქცევას საზოგადოებაში. ასევე საზოგადოებას ახესიათებს სოციალურ ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი და სხვა ურთიერთობების რეგულირებას.

ადამიანისათვის საზოგადოების ფენომენი ყოველთვის დიდი ინტერესის საგანი იყო, რადგან ადამიანი თავისი ცხოვრების წესით, ისტორიული გამოცდილებით არის საზოგადოებრივი არსება. ადამიანი ქმნის საზოგადოებას და საზოგადოება ხდის ადამიანს ადამიანად. საზოგადოების გარეთ დაბადებული ბავშვი ვერ იქცევა ადამიანად. (მაუგლი) საზოგადოება არ არის ადამიანთა უბრალო ფიზიკური თავმოყრა გარკვეულ სივრცეში, არამედ საზოგადოება ადამიანთა სპეციფიკური ერთობაა. საზოგადოებაში ადამიანებს შორის ყალიბდება სპეციფიკურ–ადამიანური ურთიერთობები. ეს ურთიერთობები განსხვავდება ადამიანებს შორის სისხლით ნათესაური კავშირისაგან. ბავშვი იზრდება ოჯახში და მას ოჯახის წევრებთან აქვს სისხლით ნათესაური კავშირი. ბავშვი გაიზარდა, გადის საზოგადოებაში და ურთიერთობაში შედის სხვა ადამიანებთან აქ ყალიბდება სოციალური ურთიერთობები. (ვებერი). შემდეგ ადამიანი იწყებს საქმიანობას და შედის ეკონომიკურ ურთიერთობებში. ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრებით ჩართულია უამრავ ურთიერთობაში სხვა ადამიანებთან.

პიროვნების ცნების განსაზღვრისას აუცილებელი წინაპირობაა განისაზღვროს ადამიანის სოციალური არსება, ვინაიდან პიროვნება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს. ადამიანის არსება არ არის ცალკეული ინდივიდისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტი. თავის სინამდვილეში იგი ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა. საზოგადოებრივი ურთიერობანი ქმნიან იმ ახალ სამყაროს, რომელშიც ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი ცხოვრობს. საზოგადოებრივი ცხოვრება მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის ბიოფიზიკურ და უფრო მეტად კი ფსიქოლოგიურ და სხვა თავისებურებებს, რაც მას ცხოველისაგან ასხვავებს.

„ადამიანის“ ცნება გვაროვნული ცნებაა და გამოხატავს ადამიანთა მოდგმისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს. ადამიანურ სამყაროში ინდივიდს ჩვეულებრივ უწოდებენ ცალკეულ ადამიანს. საერთო თვისებებთან ერთად მას ახასიათებს ინდივიდუალური ნიშნებიც.ცალკეული ადამიანი არის ზოგიერთი განსაკუთრებული ინდივიდი და სწორედ ეს განსაკუთრებულობა აქცევს მას ინდივიდად და ნამდვილ ინდივიდუალურ საზოგადოებრივ არსებად. ინდივიდი საზოგადოების წინაშე წარსდგება, როგორც „ფიზიკურ და „სულიერ“ ძალთა ერთობლიობა, რაც ადამიანის სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს. ადამიანი ბიოსოციალური არსებაა: სოციალური იმიტომ, რომ მას აქვს სოციალური არსება, ბიოლოგიური იმიტომ, რომ ამ არსობის მატარებელი ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია. პიროვნების ცნება განუყრელად დაკავშირებულია „ადამიანის“ ცნებასთან, მაგრამ „პიროვნების“ ცნება დაკავშირებულია „ინდივიდუალობის“ ცნებასთანაც.

ინდივიდუალობა გამოხატულებას პოულობს ადამიანის ბუნებრივ მონაცემებსა და ფსიქიკურ თვისებებში – მეხსიერების, წარმოსახვის, ტემპერამენტის, ხასიათის თავისებურებებში და ადამიანის სახის მთელ მრავალფეროვნებასა და ცხოველმოქმედებაში ინდივიდუალური ელფერი დაჰკრავს ცნობიერების მთელ შინაარსს.: შეხედულებებს, მსჯელობებს, თვალ-

საზრისს, რომლებიც მაშინაც კი, როცა ისინი ერთნაირი აქვს სხვადასხვა ადამიანს, ყოველთვის შეიცავენ რაღაც თავისებურს. ინდივიდუალიზებულია ყოველი ცალკეული ადამიანის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, და ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, თავის ინდივიდუალურ შტრიხს სვამს. პიროვნება, არის ადამიანი არა მარტო ზოგადი თვისებებისა და ნიშნების თვალსაზრისით, არამედ მისი სოციალური, სულიერი და ფიზიკური თვისებების თავისებურებათა მიხედვითაც.

პიროვნების საყოველთაო ნიშანია სოციალური საქმიანობა, რამაც ადამიანი გამოყო დანარჩენი სამყაროსაგან. პიროვნების პრობლემის განხილვისას უნდა გამოვიდეთ ეპოქის პირობებიდან, მოცემული საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის სოციალური სტრუქტურიდან. პიროვნება ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებების მქონე კონკრეტული ადამიანია, ისტორიულად განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია.

საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების გამომწვევ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ „ისტორიული პიროვნების“ მოღვაწეობა. იგი თავისი მოღვაწეობით, ზნეობრივი მაგალითით ცვლის საზოგადოების კულტურულ ნორმებს, იწვევს სოციალურ რეფორმებს. კლასობრივი ბრძოლები, რევოლუციები და კონტრევოლუციები, განმათავისუფლებელი და დაპყრობითი ომები, ძლიერი სახელმწიფოების შექმნა და დამხობა, აყვავება და დაცემა, ხოლო ხშირად დაღუპვაც კი. კაცობრიობამ დღემდე შემოინახა იმ პიროვნებათა სახეები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ, რელიგიურ, მეცნიერულ, თუ კულტურულ აღმავლობაში. ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი თ. კარლიეილი თავის წიგნში „გმირები და გმირობა ისტორიაში“ წერდა „... მსოფლიო ისტორია, იმის ისტორიაა, თუ რა მოიმოქმედა ადამიანმა ამ ქვეყანაზე, ჩემი გაგებით, არსებითად არის ისტორია დიდი ადამიანებისა, რომლებიც აქ დედამიწაზე იღწვოდნენ,... მათ საქმეებს კარლეილი განიხილავდა როგორც

„მსოფლიო ისტორიის სულსა და გულს“. გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე წერდა: ხალხი „უფორმო მასალაა, რომლისაგანაც უბრალო ქვას ქმნიან და რომელსაც მეჩუქურთმე ესაჭიროება“. ნიცშე ხატავდა ზეადამიანს გმირს, რომელიც „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ იდგა და ფეხქვეშ თელავდა უმრავლესობის მორალს. ასეთი პიროვნების მოღვაწეობის მთავარი პრინციპი და მამოძრავებელი მოტივია ძალაუფლებისადმი სწრაფვა. ამისათვის ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი დაშვებულია, საშუალება კარგი და გამართლებულია. ჰეგელის მიხედვით, ისტორიული აუცილებლობის მატარებელია მსოფლიო გონი, ანუ მსოფლიო გონება, რომელიც მსოფლიოს მართავს; ისტორიული მოძრაობის წარმართველი მსოფლიო გონის ეშმაკობა არის ის, რომ იგი იყენებს ადამიანების მათ შორის დიდი ადამიანების ინტერესებს, ვნებებს, მისწრაფებებს, როგორც თავისი მიზნის – თავისუფლების შემეცნებაში, პროგრესის განხორციელების – მიღწევის საშუალებას. ჰეგელის მიხედვით, მხოლოდ ისინი არიან დიდი მსოფლიო– ისტორიული პიროვნებანი, რომელთა მიზნები და მოქმედება შეიცავს საყოველთაოსა და აუცილებელს. „მათ გმირები უნდა ვუწოდოთ, რამდენადაც მათ მიზნებსა და მოწოდებას ასაზრდოებს არა მოვლენათა მყარი, მოწესრიგებული არსებული სისტემა, კურთხეული მსვლელობა საგნებისა, არამედ ისეთი წყარო, რომლის შინაარსიც დაფარულია და ვერ განვითარდება მოვლენათა ყოფიერებამდე; შინაგანი სული, რომელიც ჯერ კიდევ მიწის ქვეშ ბორგავს და გარესამყაროში ლამობს გამოსვლას, ნაჭუჭს ამტვრევს“... თუ რა არის საჭირო და დროული, რა იყო მათი დროის სიმართლე. დროის სიმართლე კი ისტორიის გადმოსახედიდან ჩანს, ამასთან ერთად, ჰეგელის მიხედვით, როგორც მთელი ხალხი, ისე ისტორიული მოღვაწენი, მხოლოდ იარაღია მსოფლიო გონის ხელში, რომელიც მათ ფარულად მართავს და მათი საშუალებით ახორციელებს თავის მიზნებს.

ამერიკელი სოციოლოგი რ. სტრაუს–ხიეპე წიგნში „გულგრილობის ზონა“ წერს, რომ მასა არ აზროვნებს, ის უნდა დაე-

მორჩილოს ძალაუფლებას და ძალაუფლების ხელმძღვანელობას. მეორე ამერიკელი სოციოლოგი ე. ჩინიო ამტკიცებს, რომ „ყოველ საზოგადოებაში ხალხის ერთი ნაწილი უმაღლესი რანგისაა, მეორე–უმდაბლესისა“... ერთნი ყველგან მართავენ, მეორენი მორჩილობენ, თუმცა უკანასკნელებს შეიძლება ერთგვარი შესაძლებლობაც კი ჰქონდეთ, რომ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე და კონტროლი გაუწიონ მის საქმიანობას. ეს კონტრასტები წარჩინებულებს და უჩინოებს, მდიდრებსა და ღარიბებს, ყოვლისშემძლეებსა და სუსტებს შორის შეადგენს სოციალური ულტრაციფიკაციის არსებას. საზოგადოების ასეთი დაყოფა დაბალ და მაღალ რანგებად, მმართველებად და მართულებად, ჩინოის მიაჩნდა სოციალური ყოფიერების მარადიულ კანონად.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ გამოჩენილი ადამიანი განსაზღვრულ გავლენას ახდენს იმ მოვლენებზე, რომლებსაც ის უდგას სათავეში. დიდი ადამიანები გამოხატავენ თავიანთი ეპოქის მოთხოვნილებებსა და ამოცანებს, ზოგჯერ–კი თავიანთი გონებრივი მონაცემებითა და ღვთისგან ბოძებული ნიჭით რამდენიმე საუკუნითაც კი უსწრებენ თავიანთ ეპოქას. ეს იქნება, პოლიტიკაში, (საქართველოს მაგალითზე დავით აღმაშენებელი) თუ ხელოვნებაში. საკმარისია გავიხსენოთ მიქელანჯელო, ლეონარდო დავინჩი, მოცარტი, ბეთხოვენი. მეცნიერებაში: ნიკოლაი კოპერნიკი, ჩარლზ დარვინი, ზიგმუდ ფროიდი, ისააკ ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი. კულტურაში, ფრედერიკო ფელინი, სტივენ სპილბერგი, ლიტერატურაში შექსპირი, დანტე, სერვანტესი, რუსთაველი. რელიგიაში მარტინ ლუთერი, საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ადამიანის პრობლემის მნიშვნელოვანი ასპექტია პიროვნებად ყოფნის საკითხი. პიროვნებად ყოფნა ნიშნავს თავისუფლებას, გონიერებას, არჩევანს, გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლობას. ადამიანის თვითგამოვლენისათვის, სამყაროში მისი დამკვიდრება – განხორციელებისათვის, ანუ ადამიანის არ-

სებითი ძალების სრული ობიექტივიზაციისათვის აუცილებელია მოქმედება – აქტივობა, მაგრამ არა ყოველი სახის მოქმედება, არამედ მხოლოდ თავისუფალი. ამ საქმის შესრულება მოითხოვს შემდეგ პირობას: უნდა არსებობდეს მოაზროვნე არსება, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა უნარები, მან უნდა დაისახოს მიზანი და ამასთანავე უნდა ჰქონდეს მიზნის განხორციელებისთვის საჭირო ასპარეზი. ამ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არსებობის გარეშე შეუძლებელია ადამიანის ადამიანური თვითრეალიზაცია, მისი ნამდვილი სახის სრული წარმოდგენა. ბუნებისა და საზოგადოების კანონების სწორი ცოდნით შეიარაღებული ადამიანი, თავისუფლების ჭეშმარიტი რაობის მცოდნე არსება ცვლის თავის მდგომარეობას, ცდილობს სამყაროს გარდაქმნას, მისეულად მოწყობას, მიისწრაფვის ისეთი მდგომარეობის შექმნისათვის, რაც ემპირიული არსებობით ეზიარება თავის არსს.

კაცობრიობის მთელი ისტორია ზესვლით ხასიათდება, ხოლო ადამიანთა პროგრესი განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა თავისუფლების ზრდით განისაზღვრება. თავისუფლებისაკენ მისწრაფება იმთავითვეა მოცემული ადამიანის ბუნებაში. თავისუფლება ის ძალაა, რაც არ „ასვენებს“ ადამიანს, რაც აქრობს მის სტატიკურობას და შეგუებლობას, რაც აწარმოებს მის ადამიანურ ქმნადობას. ყოველ მოაზროვნე ადამიანს აუცილებლად აქვს ყოველგვარი შეზღუდვებისაგან განთავისუფლების სულისკვეთება, იგი ზრუნავს ადამიანური პირობების განხორციელებისათვის. ადამიანისათვის ყველაზე სანუკვარი ოცნებაა თავისუფლება, რომელიც მას აქვს მაგრამ ამასთანავე იგი მას მოსაპოვებელიც აქვს. ადამიანის შინაგან თავისუფლებას უნდა ჰქონდეს გარეგამოვლინება. ეს იქნება თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთშერწყმა, შინაგანისა და გარეგანის თანხვედრა, ესაა ის იდეალური მდგომარეობა, რაც ასევე აუცილებელია ადამიანისათვის.

ადამიანი არასოდეს არ არის „კმაყოფილი“, ის მუდამ შეგნებისა და ცოდნის გაფართოებისაკენ მიისწრაფვის. სწავლის

პროცესი ცოდნის გაღრმავება ადამიანისაგან, მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რომელშიც ფსიქოფიზიკური ფუნქციები იღებენ მონაწილეობას. პიროვნებაა ის, ვინც განსაზღვრავს და სტიმულს აძლევს ამა თუ იმ აქტს. ცოდნის დაუფლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიდრეკილებებსა და ინტერესებს, ასევე იმ სფეროს სიყვარულს, მასზე კონცენტრაციას, რასაც ემსახურება ადამიანი.

ადამიანი თავის პიროვნებას სხვებთან ურთიერთობაში გამოავლენს. თუ ადამიანი ისაა, რასაც ის ქმნის ამ კეთებას და შექმნილს სხვებთან ურთიერთობაში ენიჭება აზრი და მნიშვნელობა. ერთია „მხოლოდ ჩემთვის“ და მეორეა – „კაცობრიობისათვის“, ამ უკანასკნელში კი „შენ“–ს გარდა „მე“–ც არსებობს. საკუთარი თავიდან გამოსვლა და სხვების მიზნად დასახვა „მე“–ობას კი არ აუქმებს, არამედ ადასტურებს.

ადამიანის შინაგანი სამყარო ღრმა და ბევრისმომცველია, ადამიანური მისწრაფებები და საერთოდ მისი კუთვნილი ყოველი ფენომენი განსაზღვრული ღირებულებების მატარებელია, მაგრამ ჩვენ მაინც ის გვაინტერესებს, რაც ღირებულებათა იერარქიის მაღალ საფეხურზე დგას, რაც „მსოფლიო განცდის“ გამოხატულებაა, რაც „ზოგადი გონის“ შედეგია. საინტერესო მაინც ზოგადადამიანური ნიშნების მოძიებაა.

ადამიანი არის შეგნებული, მიზანდასახული, რომელიც პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე. ცნობიერება არის ადამიანის სპეციფიკური აქტივობის საფუძველი. ასევე ცნობიერება არის სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების სპეციფიკის გამომხატველი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა იცის სინამდვილე და არა უბრალოდ მიმართებაშია მასთან. სპეციფიკურია ადამიანის ყოველდღიურობაში ცნობიერების გამოვლენის ფორმაც, ადამიანმა როგორც მიზნის დამსახველმა არსებამ, იცის მიზანი და დაგეგმილი აქვს მისკენ მისასვლელი, მაგრამ როგორც კი მიზნისაკენ გზაზე წარმოიშვება დაბრკოლება მაშინვე ვლინდება ცნობიერება. რაც შეეხება თვითცნობირებას ეს არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის,

საკუთარი არსებობისა და თავისებურებების ცოდნა. ადამიანი ახდენს საკუთარი თავის გაიგივებას ვინმესთან. ჩვენ საკუთარ თავს მივაკუთვნებთ გარკვეულ ჯგუფს, საზოგადოებას, ერს ან კულტურას. შემდეგ კი ადამიანი ადგენს საკუთარ განუმეორებლობას. ეს არის ადამიანის პიროვნულობის ბირთვი.

ადამიანის თვითცნობიერება აღმოჩნდა საკუთარი თავის ცოდნის, თვითკონტროლის, თვითილუზიის და თვითშეფასების პროცესების ერთობლიობაში. ადამიანის თვითცნობიერება სტიქიურად ყალიბდება, ზოგჯერ კი შენგებული რეფლექსის შედეგია, როდესაც ადამიანი იყურება საკუთარი სულის სიღრმეში და ეძებს თავისი პიროვნების ბირთვს. ადამიანი თავის თავს ავლენს მოქმედებაში, ამიტომ იგი საკუთარ თავზე შეიმუშავებს გარკვეულ წარმოდგენებს, რომელიც შემდგომ გადაქცევს, ქმედებაზე და ქცევაზე. რასაკვირველია, ყოველივე ამაზე ახდენს გავლენას საზოგადოებაც, მეორე ადამიანიც, რადგან ჩვენი პიროვნების შეფასება ობიექტური იქნება იგი თუ სუბიექტური ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ამ კუთხით ვახდენთ თვითშეფასებას.

ადამიანი თავის ცხოვრებისეული გამოცდილების ზრდასთან ერთად განახორციელებს თვითდაკვირვებას, საზოგადოებასთან მიმართებაში და იგი იცვლება მასთან მიმართებაში. ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობის მქონეა თვითშეფასება, მისმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების გაორება, სულიერი კრიზისი. თვითშეფასება ყოველთვის ძალზედ მტკივნეული და სახიფათო პროცესია, რადგან ის იწვევს ცხოვრების წარმართველ ღირებულებათა სისტემისა და მსოფლმხედველობის რღვევას, მათ ხელახალ დაფუძნებას.

ადამიანის არსება დანახული იყო თვითცნობიერებაში. ეს ნიშნავდა, რომ ადამიანი იყო ის არსება, რომელმაც იცოდა თავისი თავი, იცოდა თავისი მოქმედების მოტივები პასუხისმგებლობა ეს იყო მისი თავისუფლების საფუძველი. თვითცნობიერება შინაგანი სამყაროს სრულ კონტროლს გულისხმობდა.

ადამიანმა იცოდა თავისი მიზნები, მოქმედების მოტივები, რაც მეორე ადამიანისათვის გაუგებარი იყო ცნობიერება იყო ბატონი საკუთარ თავში, მაგრამ აღმოჩნდა რომ, ცნობიერებას არ შეძლია მოიცვას მთელი შინაგანი სამყარო. ზ. ფროიდი იყო ის, ვინც დაარღვია თვითცნობიერების დებულება. ადამიანის შინაგან სამყაროში არის რაღაც, რაც არ არის თვით ცნობიერების შინაარსი. დარღვეულ იქნა ახალი ეპოქის ერთ–ერთი ძირითადი დებულება – ადამიანი არის თვითცნობიერება. ცნობიერება არ ამოიწურება საგნის ცნობიერებით და თვითცნობიერებით, არამედ ადამიანის შინაგანი სამყარო შეიცავს არაცნობიერის სფეროსაც.

ზ. ფროიდმა შეიმუშავა არაცნობიერის ფსიქოლოგია. იგი აღიარებდა მხოლოდ ინდივიდუალურ, პიროვნულ არაცნობიერს, რაც იყო პირადი ცხოვრების მანძილზე გაძევებული განცდებისა და ლტოლვების ერთობლიობა. ზ. ფროიდის მოწაფემ კ.გ. იუნგმა შექმნა სიღრმის ფსიქოლოგია. მისი აზრით, არსებობს არა მარტო ინდივიდუალური არაცნობიერი, არამედ კოლექტიური არაცნობიერიც, რომელიც პიროვნულ ცნობიერებაზე უფრო ღრმად არსებობს.

ჩვენი აზრით, რა ასპექტითაც არ უნდა შევაფასოთ პიროვნება, ადამიანის შინაგანი ბუნება, ხასიათი, ტემპერამეტი, მიზანმიმართულობა, სიმამაცე, შეუპოვრობა, მაინც იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგი არ არსებობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე, მისი უნარების გამოვლინებას აუცილებლად ესაჭიროება საზოგადოება, სოციალური გარემო, სადაც იგი მოახდენს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. მთლიანად იმიტომ არა რომ ადამიანი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ვერ ახდენს საკუთარი თავის ბოლომდე რეალიზაციას. მეორე მხრივ კი მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო აძლევს პიროვნებას იმის თავისუფლებას, რომ იყოს თავისი ცხოვრების აქტიური შემოქმედი, შეუფერხებლად გამოიყენოს ნიჭი და უნარი საზოგადოების ინ-

ტერესებისათვის. ადამიანები არ იბადებიან ერთნაირები, მათ გააჩნიათ სხვადასხვა ნიჭთა ნასახი. იმისთვის, რომ ნასახიდან ნიჭი განვითარდეს, აუცილებელია მისი გავარჯიშება, სათანადო მიმართულებით მოქმედება, სწავლა და ვარჯიში. ნასახის მოცულობა არ ნიშნავს ნიჭის მოცულობას. ნასახის სახით ადამიანს მოცემული აქვს ნიჭის ჩამოყალიბების მხოლოდ შესაძლებლობა, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია ამ ნასახის განვითარება და სათანადო მუშაობა ამ მიმართულებით. ანუ განასხვავებენ ზოგად ნიჭს, რომელსაც ახასიათებს გონებრივი აქტივობა, კრიტიკულობა, სისტემატურობა, გონებრივი ოპერაციების სისწრაფე, ანალიზურ–სინთეზური მოქმედების მაღალი დონე და არსებობს სპეციალური ნიჭი, როცა ადამიანი გარკვეულ დარგში, ახალ ორიგინალურ, ეპოქალური მნიშვნელობის ღირებულებას ქმნის.

საზოგადოების განვითარების ისტორიაში მრავლად არიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ზოგადსაკაცობრიო შედევრები, მუსიკაში, მხატვრობაში, ლიტერატურაში, კულტურაში, პოლიტიკაში. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნისა და ერის შვილები არიან, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით თავიანთი ერის გონითი სამყაროს ფორმირებაში. მუსიკაში მოცარტი, ბეთხოვენი, ვივალდი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან მაგრამ მათი შემოქმედება მხოლოდ მათ სამშობლოს კი არა, მთელს მსოფლიოს ეკუთვნის, ანუ გლობალურია. ასევე მხატვრობაში: ვან–გოგი, რაფაელო სანტი, სალვადორ–დალი, ლიტერატურაში: უილიამ შექსპირი, დანტე ალიგიერი, იოჰან ვოლფგანგ გოეთე – კულტურაში: ფედერიკო ფელინი, ვუდი ალენი, სტივენ სპილბერგი. პოლიტიკაში ნიკოლო მაკიაველი, უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ დელანო რუზველტი ეს იმ გამოჩენილ ადამიანთა მცირედი ჩამონათვალია, რომლებმაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

თანამედროვე მსოფლიოს ხალხებს განუზომლად ფართო შესაძლებლობანი გააჩნიათ მატერიალურ და სულიერ კულტურულ ღირებულებათა როგორც შექმნის, ისე ურთიერთგაცნობის, ათვისების, გათავისების ე.ი. საბოლოოდ კი–გასაყოველთავებისთვის. ამას ხელს უწყობს პრაქტიკულად ყველა სფეროში არსებული და პერსპექტივაში რეალიზებადი კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებს შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების უაღრესად მაღალი დონე და სხვა.

თანამედროვე პირობებში ცივილიზებული ქვეყნების განუყოფელი ნიშან–თვისებაა საზოგადოებრივი ცხოვრების შენება და წარმართვა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, აღიარებულ საერთო–საკაცობრიო ღირებულებათა შესაბამისად.

საკაცობრიო ცივილიზაცია, გარკვეული აზრით, მსოფლიო საზოგადოების რეალობაცაა და მისი მომავალიც. მასში თავს იყრის საუკუნეებით გამომუშავებული და ახლად შექმნილი კულტურული ღირებულებანი, რომლებიც თავისი არსითა და მნიშვნელობით პასუხობენ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს, მათი ეროვნების, რასის, რწმენისა და ტერიტორიული მდებარეობის მიუხედავად.

კულტურისა და რელიგიის ზოგადი ასპექტები პიროვნებასთან მიმართებაში

თანამედროვე კულტურული გლობალიზაცია, როგორც რთული და მრავალმხრივი პროცესი თავს იჩენს სხვადასხვა ფორმით მისი დამახასიათებელი ნიშნებია: უპრეცედენტო მასშტაბის ახალი გლობალური ინფრასტრუქტურები, კულტურული გაცვლა–გამოცვლის გაზრდა და დაჩქარება, დასავლური მასობრივი კულტურის როლის ზრდა გლობალურ კულტურულ ურთიერთობებში, კულტურული პროდუქციის წარმოებაში, მულტინაციონალური კომპანიების როლის ზრდა, გლობალური კულტურული ურთიერთმოქმედებების გეოგრაფიის ცვლილება, მეორე მსოფლიო ომამდელ სურათთან შედარებით და სხვა. ეს ის ზოგადი ნიშნებია, რომლითაც გამოიხატება გლობალიზაცია, როგორც მთლიანად კულტურასთან მიმართებაში ისევე კულტურის ცალკეული სფერობების მიმართაც.

გლობალიზაცია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიმსხვრა მსოფლიოს ხალხთა მეტ–ნაკლებად იზოლირებული, კარჩაკეტილი საკუთარი საზღვრებიდან გაუსვლელი ცხოვრების წესი. ამის სანაცვლოდ მკვიდრდება დედამიწის ყველა, მათ შორის ტერიტორიულად უკიდურესად დაშორებული ქვეყნების ასევე ხალხებისა და საზოგადოებების, განსხვავებული ცივილიზაციების, ურთიერთკავშირი, ურთიერთზეგავლენა და ურთიერთდამოკიდებულება, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგებით.

გლობალიზაცია, შეუქცევადი პროცესია. დღეს მატერიალური და სულიერი ღირებულების შექმნა საწარმოო და არასაწარმოო პროცესების მართვა, ბუნებისა და საზოგადოების სიღრმისეული შემეცნებისთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება დამუშავება და გადაცემა ადამიანთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურეობა წარმოუდგენელია უახლესი მოდერნიზებული ტექნიკისა და ტექნოლოგიის გარეშე.

გლობალური ურთიერთობისთვის აუცილებელია შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური პირობების იმ საშუალებათა ერთობლიობა რომელთა მეშვეობით მყარდება საყოველთაო კავშირები ქვეყნებსა და ხალხებს შორის. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის უახლესი საშუალებანი.

გლობალიზაციის თანამედროვე დონე და ხარისხი ისევე, როგორც ერთიან მსოფლიოში ცხოვრების ჩვენება და შესაბამისი სოციალური ტრანსფორმაციები მჭიდროდ არის დაკავშირებული, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საერთაშორისო საქმიანობაზე.

თანამედროვე ადამიანები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევენ ინფორმაციის გაცვლა–გამოცვლას ელექტრონული და რადიოკომუნიკაციის, კომპიუტერული და კოსმოსური ტექნიკის საფუძველზე. განსაკუთრებით იზრდება ტელესაკომუნიკაციო ტექნიკისა და ტექნოლოგიის როლი მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ხალხის არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების, არამედ მთელი კულტურულ–საგანმანათლებლო, მეცნიერულ–ტექნიკური ურთიერთობების გაფართოება და დაახლოება.

ინფორმაციული გლობალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია ინტერნეტი, რომელმაც სრულიად ახალ ეპოქას დაუდო სათავე და ფაქტობრივად ნებისმიერი ინფორმაციის მომენტალური მიღება შესაძლებელი გახადა დედამიწის ნებისმიერი რეგიონიდან. ფაქტობრივად ინტერნეტმა მოხსნა დროისა და მანძილის პრობლემა.

ინტერნეტი საშუალებას იძლევა: სწრაფად დამყარდეს კონტაქტი ინტერნეტის ნებისმიერ მომხმარებლებს შორის,იგი დასვენებისა და გართობის საშუალებაა. მისი გამოყენება ასევე საშუალებას იძლევა საბანკო ოპერაციების წარმართვისათვის, ბიზნესისათვის, განათლებისათვის და ა.შ. სწორედ ინტერნეტის მომხმარებელთა 40% აშშ–ზე მოდის.ინტერნეტის გამოყენების ტემპი დღითი–დღე იზრდება, რაც ბუნებრივი პროცესი გახდა.

საზოგადოების შინაგანი მოთხოვნებილებებისა და განვითარების პირობები სწორედ ამის საწინდარია.იქმნება ბევრი ახალი პროგრამა, სადაც საქართველოს მოსახლეობაც ინტენსიურად ებმება წინსვლის ფერხულში.

თანამედროვე ეპოქა ტრანსნაციონალური კორპორაციების რაოდენებისა და როლის უპრეცედენტო ზრდის ეპოქაა და სწორედ ეს ფაქტი მიუთითებს გლობალიზაციის ერთ–ერთ ნიშანზე. ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო და ბუნებრივია კომუნიკაციებსაც შეეხო იგი.

დღეს უმსხვილესი ტელესაკომუნიკაციო და მედიაინდუსტრიის კორპორაციებიდან უმრავლესობა ამერიკულია. კერძოდ 81 უმსხვილესი კორპორაციიდან 39 ამერიკულია. ამერიკული კორპორაციიდან პირველ რიგში აღსანიშნავია: თაიმ–უორნერი, უოლთ–დისნეი, ABC. საერთაშორისო–სატელევიზიო ახალ ამბებში CNN და BBC ლიდერობენ.სატელევიზიო პროგრამებისა და ფილმების ბაზარში აშშ–ის კორპორაციების უპირატესობა აშკარაა.

ტელევიზიაც ელექტრო–კომუნიკაციების ერთ–ერთი მთვარი სფეროა. თანამგზავრული სატელევიზიო არხებისა და საკაბელო ტელევიზიის საშუალებით თანაც მომენტალურად შეგვიძლია მივიღოთ ჩვენთვის საინტერესო ინფორმაცია და გავიგოთ რა ხდება მსოფლიოში. სატელევიზიო ინდუსტრიაში, ისევე როგორც კულტურის ინდუსტრიის სხვა სფეროებში წამყვანი როლი მსხვილ კომპანიებს ეკისრებათ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი კომპანიები როგორიცაა CNN ABC BBC და სხვები. ბუნებრივია რომ სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა დოზითაა წარმოდგენილი სატელევიზიო პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე. ამ თვალსაზრისით მთავარი ექსპორტიორი აშშ, მაშინ როცა საკუთრივ ამერიკულ–ეროვნულ ბაზარზე სხვა ქვეყნების სატელევიზიო პროდუქციის იმპორტის წილი 2%–ს არ აღემატება.

კინოინდუსტრიას განსაკუთრებული ადგილი უკავია თანამედროვე მსოფლიოში. კინომ, როგორც კულტურის ინდუსტრიის ერთ–ერთმა დარგმა დიდი ხანია შეიძინა საერთაშორისო ფუნქციები და კარგა ხნის წინ მოგვევლინა გლობალიზაციის ერთ–ერთ ნიშნად.კინოს სფეროში გლობალიზაციად ფილმების წარმოებისა და მათი ექსპორტის მოცულობას მივიჩნევთ მაშინ აშკარად აქაც აშშ–ს უპირატესობა იკვეთება, რადგან გლობალური კინობაზარი ამერიკული ფილმებით არის „გაჯერებული“

გლობალიზებულ მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთერთობებისათვის საჭირო გახდა ერთი საერთო ენის ამოქმედება, რომელიც გასაგები იქნებოდა ყველასთვის და სწორედ ამ ენაზე განხორციელდებოდა კომუნიკაცია. სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ენა ასრულებდა ამ ფუნქციას,ზოგჯერ ესპანური, ფრანგული, გერმანული და ა.შ. მაგრამ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში პრიორიტეტი ინგლისურ ენას მიენიჭა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი წანამძღვრები: 1) ეს არის იმ ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე რომლის მოსახლეობაც ინგლისურად საუბრობს. აქ მხედველობაში გვყავს აშშ, რომელიც სუპერსახელმწიფოა და მსოფლიო პოლიტიკის წარმართვაში გადამწყვეტი როლი აკისრია. 2) სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია და სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე. მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურა ძირითადად ინგლისურენოვანია, სამეცნიერო სერიოზული ჟურნალებიდან 40% აშშ–ში გამოდის. 3) რეკლამების გავრცელება, რომელიც ძალიან დიდი პოპულარულობით სარგებლობს ყველა ტელე თუ რადიო გადაცემებში, ჟურნალებში, გაზეთებში თუ ინტერნეტის საიტებზე. ესეც ინგლისურენოვანია და 30 უმსხვილესი სარეკლამო სააგენტოდან 27 ამერიკულია. 4) ინგლისური ენის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ დიდმა ფაქტორებმა, როგორიც იყო პოპ–მუსიკის განვითარება. პოპ–ჯგუფების 99% ინგლისურენოვანია. 5) არ შეიძლება იმ ფაქტის უყურადღებოდ დატოვება რასაც კინოინდუსტრია ჰქვია, რადგან მსოფლიოს 44 უმსხვილესი კინოუნდისტრიიდან 32 ამერიკული ან ინგლისური

იყო. ამჟამად კი ა.შ.შ. აკონტროლებს მსოფლიო კინობაზრის 85%–ს 6. ბოლოს ინგლისური ენის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო თვით ადამიანურმა ფაქტორებმა, ახალმა კომუნიკაციურმა საშუალებებმა რომელიც ინგლისურენოვანია, გაუჩინა ადამიანებს ამ ენის ცოდნის სურვილი. წარმატებულ ადამიანებს უკვე აღარ აკმაყოფილებთ ურთიერთობები თარჯიმნების დახმარებით. სურთ რომ ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მიღწევებს გაეცნონ ორიგინალში. სწორედ ეს პროერიტეტები გამოიკვეთა ინგლისური ენის უპირატესობისთვის მთელ მსოფლიოში.

საქართველოს სამართლიანად უწინასწარმეტყველებენ, რომ თანდათანობით იგი ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის „საინფორმაციო დერეფნის“ ფუნქციას შეასრულებს.აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქართველმა ხალხმა მცირერიცხოვნობის მიუხედავად ღირსშესანიშნავი ქმნილებებით გაამდიდრა საერთო–საკაცობრიო კულტურა.ჯერ კიდევ V საუკუნიდან მოყოლებული: იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება,“ იოვანე საბანისძის „წამება აბო ტფილელისა,“ გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა,“ რომელებიც საქართველოს სულიერ საგანძურს წარმოადგენენ. ქართველი ხალხის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე დიდი ნიმუშია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი,“ რომელიც ქადაგებს ხალხთა, ადამიანთა, თანასწორობას, მეგობრობასა და ჰუმანიზმს, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულს, თავდადებას, სხვა ერებისადმი პატივისცემასა და კეთილ დამოკიდებულებას. ქართველი ხალხის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება ქართველი ერის სულიერი საყრდენი.

ქართველი ხალხის სახელს უკავშირდება მკაფიო ეროვნული ხასიათის გამომხატველი უძველესი ფოლკლორული სიმდიდრეები, უნიკალური ხალხური შემოქმედება ქორეოგრაფია, ხუროთმოძღვრება თუ სახვითი ხელოვნება. ქართული ხელოვნების ყველა დარგი – იქნება ეს თეატრალური, საოპერო, კინომატოგრაფიული, საესტრადო თუ სხვა გამოირჩევა ორიგინალური ხედვითა და შესაბამისი თვითმყოფადობით, რომელიც წარ-

მოადგენს უპირველეს ყოვლისა ქართულ კულტურულ საგანძურს, მაგრამ ამავე დროს განუმეორებელ შემოქმედებით მონაპოვარს მატებს მსოფლიო კულტურას. აქ საკმარისია ლეგენდარული სუხიშვილების გვარის ხსენებაც კი, ბევრ ქვეყანას სწორედ მათ გააცნეს საქართველო, როგორც განუმეორებელი ნიჭისა და გენის მატარებელი ერი. არ შეიძლება გამოგვრჩეს ქართული ხალხური სიმღერა, რომელსაც დღეს ბევრი სხვა ერის შვილი სიამაყით და სიამოვნებით ასრულებს. საამაყოა, რომ ჩამოყალიბდა ქართული ხალხური თუ საესტრადო სიმღერების ანსამბლები, რომლებიც ფუნქციონირებს აშშ–ში და მღერიან არა მარტო ქართულ არამედ მეგრულ და სვანურ კუთხურ – ენებზეც კი.

ამერიკაში უამრავი ქართველი ხელოვანია წასული, რომლებიც ახერხებენ საკუთარი პროფესიით წარმოჩინდნენ. ნათია თათეიშვილი აშშ–ში 1999 წელს გამეგზავრა და დღემდე იქ ცხოვრობს. პირველი გამოფენა ნიუ–იორკში 2001 წელს მოაწყო, 2003 წელს ახალგაზრდა მხატვარი როდრიგესის უნივერსიტეტში მიიწვიეს (ნიუ–ჯერსის შტატი)სადაც ის საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში მოწყობილ გამოფენაში იღებდა მონაწილეობას. ასევე წარმატებით მოღვაწეობენ ჩვენი სხვა თანამემამულეები მაგ: ნინო წერეთელი აშშ–ში 6 წლის წინ გაემგზავრა და მას შემდეგ ნიუ–იორკში ცხოვრობს. მისი ნამუშევრები სან–ფრანცისკოსა და არიზონის მუზეუმებში არსებულ გალერეებში იყიდება. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს მისი თექისა და ტიხრული მინანქრის ნაკეთობანი რომლებიც მანჰეტენზე ბუტიკებში წარმატებით იყიდება. კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე მხატვარ–რესტავრატორი მოქანდაკე, ეთნოგრაფი, მსახიობი, პროდიუსერი, ხელჩართული ბრძოლების ოსტატი ნიკო აბაზაძე ნიუ–იორკში 2000 წლიდან მუშაობს. იგი ძალიან წარმატებული ადამიანია ერთ–ერთი პრესტიჟული კომპანიის „Evergreen“-ის თანამშრომელია რომელიც სარესტავრაციო პროექტებს ახორციელებს. შორს წაგვიყვანს იმ წარმტებული ქართველი ადამიანების

ჩამოთვლა რომლებმაც ამერიკულ კულტურაში ახალი შტრიხი შეიტანეს და უფრო გაამდიდრეს იგი.

ამერიკაში მცხოვრებ ბევრ ჩვენ თანამემამულეთაგან ზოგი ექიმი, მასწავლებელი, მუსიკოსი, იურისტი და ინჟინერია, რომელთაც დაკარგეს თავიანთი პროფესია და სულ სხვა შრომით იკაფავენ გზას. ამერიკში გამგზავრება რიგი ქართველი ადამიანებისათვის სამწუხაროდ ზოგჯერ ასოცირდება, როგორც ნორმალური ცხოვრების საშუალება. ჩემს ირგვლივ ვიცი ბევრი ოჯახი, რომლის წევრი ან ახლობელი იმყოფება აშშ–ში და იქიდან ინახავს ოჯახს.

მოხარული ვიქნებოდი შექმნილიყო ქართულ–ამერიკული კულტურული ცენტრი, უფრო ინტენსიური ყოფილიყო სტუდენტებისა და პროფესორ–მასწავლებლების გაცვლითი პროგრამები, რაც საშუალებას მისცემდა ადამიანებს უფრო დაახლოებოდნენ და გაცნობოდნენ ერთმანეთის კულტურას.

ჩვენი ხელისუფლება მოწოდებულია და ყველაფერს აკეთებს ამ ორი ქვეყნის მეგობრობისთვის მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამერიკის ერთ–ერთი შტატის ოდენა შეიძლება იყოს, მაგრამ მას გააჩნია შინაგანი პოტენციალი. სწორედ ამიტომ ჩვენი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს ამ მიმართულებით. მისასალმებელია ინგლისური ენის შესწავლის მიზნით აშშ–დან მასწავლებლების ჩამოყვანა მათი ოჯახებში განსახლება, რაც ხელს უწყობს თავისთავად ადათ–წესების გაცვლა–გამოცვლას, ისტორიული წარსულის გაცნობას და ზნე–ჩვეულებებისა და ტრადიციების ურთიერთგაცვლას. ინგლისური ენის პოპულარიზაციას ემსახურება აგრეთვე მერიის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უფასო ინგლისური ენის შესწავლას. ასევე მისასალმებელია ის ფაქტიც რომ შეიქმნა უფასო კომპიუტერის კურსები, სადაც ათასობით ადამიანი ეუფლება კომპიუტერს. ასევე, მომღერლებისა და როკ–ჯგუფების ჩამოყვანა საქართველოში.ჰოლივუდის ვარსკვლავის შერონ სტოუნის სტუმრობა და სხვა მრავალი პროექტი და ინიციატივა რომლის სულიჩამდგმელი ჩვენი ხელისუფ-

ლებაა, მაგრამ ეს მაინც ალბათ ცოტაა იმასთვის, რომ ჩვენ მეტი ვიცოდეთ აშშ–ზე და ხოლო მათ მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ჩვენზე.საქართველო ტრადიციული ქვეყანაა მას ვერავინ გააკ-ვირვებს ისტორიული წარსულით და კულტურით, მაგრამ ჩვენი აზრით ის რაც დადებითია ამერიკულ კულტურაში და არის ჯან-საღი ჩვენთვისაც მისაღებია. მსმენია და ტელევიზიით მინახავს თუ როგორ აღნიშნავენ „მადლიერების დღეს“ ამერიკელები, რომელიც ერთგვარი შეხამებაა ამერიკულ კულტურასთან.ეს ის დღეა როცა ოჯახის წევრები სადაც არ უნდა იყვნენ იკრიბებიან ერთად და მადლიერებას გამოხატავენ უფლის მიმართ. ქარ-თველ ადამიანში ისედაც დიდია უფლის სიყვარული, მაგრამ ამას თუ ექნება ოფიციალური სახე ამაში მე მხოლოდ პოზიტი-ურ მომენტს ვხედავ.

ქართველი ხალხის ტარადიციების ისტორიისა და კულტუ-რის საზღვრებს გარეთ გატანის ერთ–ერთი საშუალებაა ტუ-რიზმი. ხელისუფლების ერთ–ერთო პრიორიტეტია ტურიზმის განვითარება ამ მიზნით სვანეთის საკურორტო ზონა გალამაზ-და, კეთილმოეწყო გუდაური, შეიქმნა სამთო–სათხილამურო გზა, შენდება და მშვენიერდება ბათუმი, ქობულეთი, ასევე სა-ფუძველი ჩაეყარა და აშენდება ლაზიკა. ვიმედოვნებთ, რო-გორც გასულ წლებში საქართველოს არ დალევია სტუმრები რომლებსაც მისი მონახულებისა და უშუალო გაცნობის შემდეგ თან მიჰყვებოდათ მდიდარი შთაბეჭდილებები მებრძოლ ქარ-თველ ხალხზე. ასევე სასურველი იქნებოდა თავისუფლად აშშ–ში მოგზაურობა, რომელიც ახალ შთაბეჭდილებებსა და ემოცი-ებს გამოიწვევდა ადამიანებში.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესი ჩვენი ცხოვრების ნაწილად იქცა. არსებობს აზრი თითქოს იგი ემუქ-რება ჩვენს ტრადიციას, წარსულს, რომ თუ არ იქნა მიღებული რაღაც გარკვეული ზომები ჩვენ იგი წაგვლეკავს, საშიშროება ემუქრება ჩვენს ენას, ზნე–ჩვეულებას და გვჭირდება რაღაც დამატებებითი მექანიზმების ამუშავება ისეთის მაგალითად როგორიცაა ქართული ენის დაცვა ან კიდევ ისტორიული ღირე-

ბულებების განსაკუთრებული შენახვა. ჩვენ ვფიქრობთ რომ ჩვენი მომავალი თაობა რომელთანაც გვაქვს ყოველდღიური შეხება და უდავოდ ნიჭიერი და კარგი ახალგაზრდობა გვეზრდება და თუ ჩვენ მათი პროფესორ–მასწავლებლები არ დავიშურებთ ძალისხმევას და მათ არ მოვაქცევთ მარწუხებში ისინი თავად გააკეთებენ დასკვნებს რა არის მათთვის მისაღები და რა არა.ვინაიდან გლობალიზაციის მანიველირებელი ძალებისგან თავდაცვისა და თვითმყოფადობის საფუძველთა განმტკიცებისთვის შეიძლება ითქვას რომ უდიდესი მნიშვნელობა ეროვნულ კულტურას, ხალხის მიერ ისტორიულად შექმნილ და სადღეისოდ განვითარებად სპეციფიკურ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს ენიჭებათ.

ჭეშმარიტად დაუფასებელია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურისა და ხელოვნების როლი ქართული სულის გამოვლენის, მისი ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და დაცვის საქმეში.იმ ისტორიულ ეპოქაში, როდესაც მსოფლიოს ხალხები მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამდა ცივილიზაციის გზაზე, საქართველოში იქმნებოდა ლიტერატურული შედევრები, შენდებოდა ტაძრები და ეკლესიები, ვითარდებოდა ხელოვნების სხვადასხვა დარგები.უმძიმესი განსაცდელის წლებშიაც კი, ძნელბედობის ბნელი ფარდის მიღმა ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ჩქეფდა მაღალი ქართული სულიერება, საერთო–საკაცობრიო ღირებულებათა დონემდე ასული ეროვნული კულტურა და ყოველივე აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ საქართველო მუდამ იდგა მოწოდების სიმაღლეზე და მუდამ იქნება მსოფლიო თანამედროვე განვითარების მოწინავე იდეების მხარდამხარ.

ადამიანი ყოველთვის ფიქრობდა და ფიქრობს საკუთარ თავზე, თავის ადგილზე სინამდვილეში, საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებზე, იმაზე თავად განაგებს საკუთარ ბედს თუ უძლურია ამ საქმეში. რელიგიის არსებობა ფაქტია. რელიგია ადამიანური ყოფიერების აუცილებელი ელემენტია, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრება-

ში. ადამიანის ცხოვრებაში არსებობს მომენტები, მოვლენებიც მიანიშნებენ იდუმალი, ზებუნებრივი ძალის არსებობას, რომელიც ვლინდება ბედის, განგების, საკვირველის, სიწმინდის სახით. ადამიანი ცდილობს მიმართება დაამყაროს ამ ძალასთან. ამ მიმართების სპეციფიკური სახეა რელიგია. რელიგია არ არის უბრალოდ ზებუნებრივი ძალის რწმენა, ზებუნებრივი წესის აღიარება მხოლოდ, არამედ რელიგიაში უმთავრესია რწმენა, რომ ეს ზებუნებრივი ძალა წარმართავს მის ცხოვრებას აქ და ეხლა. მის მიმართ ადამიანს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება, ვალდებულება და პასუხისმგებლობა.

რწმენა არის რელიგიური მსოფლმხედველობის არსებობის ფორმა. რწმენა ემყარება გამოცხადების ავტორიტეტსა და ჭეშმარიტებას და არა გონების თეორიულ არგუმენტაციას. რწმენა არის განსაკუთრებული ფენომენი, როგორც ზებუნებრივთან უშუალო, პირდაპირი ურთიერთობის წესი. რწმენა არის საკუთარი მსოფლგაგების, ჭეშმარიტებისა და ზებუნებრივი ძალების არსებობის უტყუარობის განცდა. იგი ადამიანის ცნობიერების შინაგანი მდგომარეობაა.

რელიგიური მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია ინსტიტუციონალური ობიექტივაცია, სოციალურად ორგანიზებული სახით, რომლის დადასტურებაა ეკლესია. იგი ხელმძღვანელობს და წარმართავს ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობას. რელიგიური მსოფლმხედველობა აყალიბებს ერთიან ნორმებს, რომლებიც წარმართავენ ადამიანურ მოქმედებებს, გრძნობებს, აზროვნებას და ყოველდღიურ ცხოვრებას. რელიგია არის სოციალური რეგლამენტაციისა და რეგულარიზაციის მძლავრი საშუალება. იგი აყალიბებს და ინახავს ტრადიციებს, ღირებულებათა სისტემას.

მარქსიზმი მიიჩნევდა, რომ რელიგიის წარმოშობას ჰქონდა სოციალურ–ეკონომიკური მიზეზები და რელიგიის ძირითადი ფუნქცია– სოციალურია. ე. დიურკჰეიმის აზრით, რელიგია არის უპირველესად სოციალური რეალობა. რელიგია არის თვითონ საზოგადოება სიმბოლური ფორმით გამოხატული. ე.

დიურკჰეიმის აზრით რელიგიურ კულტში ადამიანი და საზოგადოება ეთაყვანება საკუთარ თავს როგორც უმაღლეს რეალობას. სოციალური ერთობის სოლიდარობა რელიგიური ფორმით გამოიხატება. რელიგიას სოციალური ფესვები აქვს და ასახავს საზოგადეობის მოთხოვნებს. წიგნში „რელიგიური ცხოვრების ელემენტალური ფორმები“ მან გამოიკვლია მარტივი და პრიმიტიული რელიგიური სისტემა,რათა აღმოეჩინა ნებისმიერი რელიგიის უნივერსალური სტრუქტურები.რელიგიურ მსოფლმხედველობას ახასიათებს სამყაროს დაყოფა ორად– წმინდა (საკრალური) და პროფანულ სფეროდ. სიწმინდე რელიგიის ძირითადი ფენომენია. საკრალურის შინაარსს თვითონ საზოგადოება ქმნის, რადგან რელიგიაში საზოგადოება ახდენს საკუთარი თავის გაღმერთებას. ღმერთები სოციალური არსებებია. რელიგია არის რწმენისა და ზნე–ჩვეულებების ერთობლიობა,რომელიც შეეხება საკრალურ სფეროს.იგი გამოყოფილია პროფანული სფეროდან და დაცულია აკრძალვებით, მაგრამ ღიაა მომხრეებისათვის, რომლებიც ქმნიან „მორალურ თემს“– ეკლესიას. ყოველ ადამიანში მოცემულია ინდივიდუალური და სოციალური მხარე. რელიგიის საფუძველია ადამიანისათვის დამახასიათებელი კოლექტიური წარმოდგენები, რაც ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების ფენომენს. იგი არ არის ინდივიდუალურ ცნობიერებათა ჯამი, არამედ ფსიქიკური ცხოვრების უმაღლესი ფორმაა. რელიგია კოლექტიური წარმოდგენაა, რომელიც შემდეგ ინდივიდუალურ ცნობიერებაში მკვიდრდდება. საზოგადოება არის იძულებისა და აკრძალვების მოწიწებისა და ავტორიტეტის წყარო. რელიგიის წარმოშობა სოციალურად განპირობებულია და ამიტომ არის სოციალური ფუნქციის მატარებელი, რაც განაპირობებს მისი არსებობის მდგრადობას. მისი სოციალური ფუნქციაა, არა სამყაროს ახსნა, არამედ რელიგია არის იდეათა სისტემა, რომელთა მეშვეობით ადამიანი ცდილობს გაიაზროს საზოგადოება, რაც უფრო მეტია ვიდრე ინდივიდი. იგი არ არის მათი არსებობის გარანტი.რელიგია არის საზოგადოებრივი რეალობის სიმბო-

ლური ასახვა. რელიგიური აზროვნება ანტროპოცენტრულია. იგი გამოხატავს და აძლიერებს სოლიდარობას ადამიანთა შორის. ეს არის მორწმუნეთა მრევლი. რწმენა ადამიანს აძლევს ძალას გადაიტანოს ცხოვრებისეული სიძნელეები. რელიგია ასრულებდა შემეცნებით ფუნქციასაც, რომელიც შემდგომ შეითავსა მეცნიერებამ. რელიგია იყო აზროვნების ის პარადიგმა რომლისგანაც წარმოიშვა ცნობიერების ყველა ფორმა და ადამიანური ყოფიერებისა და აქტივობის სხვა ფორმები: მორალი, სამართალი, ხელოვნება და პოლიტიკა. რელიგია არის სოციალურად განპირობებული და არის ამ საზოგადოების გაგების სპეციფიკური სახე. საზოგადოება, როგორც ადამიანთა ერთობა არის განსაკუთრებული სახის რეალობა, რომელიც არ დაიყვანება ინდივიდთა ჯამზე.

ფროიდი რელიგიის არსებასა და წარმოშობას განიხილავს რელიგიური რიტუალის შესრულების დროს წარმოშობილ ნევროზებთან კავშირში. მან გამოთქვა აზრი, რომ რელიგიური რიტუალებსა და ნევროზებს, მიუხედავად მათი განსხვავებისა, აქვთ მსგავსი ფუნქცია– ადამიანის არაცნობიერი ლტოლვების დათრგუნვის ფუნქცია. ამ მოვლენას საფუძვლად უდევს ბუნებრივი ლტოლვების უშუალო დაკმაყოფილებისაგან თავის შეკავება. ამაშია მათი მსგავსება. მან ნევროზი განსაზღვრა, როგორც ინდივიდუალური რელიგიურობა და რელიგია როგორც საყოველთაო ნევროზი. ამგვარად რელიგია არის ადამიანის საკუთარი არაცნობიერი ლტოლვებისაგან დაცვის საშუალება. რელიგიის რიტუალები არიან სიმბოლოები ადამიანის უარისთქმისა გრძნობად სიამოვნებაზე. ამ გზით ადამიანი მოიპოვებს ნეტარებას.რელიგიაში ხდება ადამიანის ფსიქიკის ფუნქციონალური მოღვაწეობის გადართვა „სიამოვნების პრინციპიდან“ „რეალობის პრინციპზე“.

რელიგიის ფენომენის ახსნას შეეცადა კ. გ. იუნგი. მან შემოიტანა კოლექტიური არაცნობიერის ცნება. იგი არის სუბსტრატი კოლექტიური სულიერი ცხოვრებისა. ფროიდისათვის არაცნობიერი არის პიროვნების ნაწილი, რომელიც განდევნი-

ლია ინდივიდუალური ცნობიერებიდან. იუნგი კი მიიჩნევდა, რომ ადამიანის სულიერ განვითარებაში არსებით როლს თამაშობს კოლექტიური არაცნობიერი. პიროვნების გარეთ არსებობს, როგორც საზოგადოება, ასევე კოლექტიური არაცნობიერი. კოლექტიური არაცნობიერი არის ფსიქოლოგიურად გაფორმებული საერთო საკაცობრიო გამოცდილება, რომელიც ინტეგრირებულია პიროვნების ინდივიდუალურ არაცნობიერთან. კოლექტიური არაცნობიერი არის ტიპიური საწყისი, რომელიც წარმოშობს ელემენტარულ იდეებს–არქეტიპებს. არქეტიპების საფუძველზე ყალიბდება ადამიანური ცნობიერების რელიგიური და მითოლოგიური ხასიათის შინაარსობრივი ხატები. ისინი წარმოადგენენ დამცავ მექანიზმებს არაცნობიერის ხიფათის წინააღმდეგ, რომელიც პიროვნებასა და საზოგადოებას დანგრევით ემუქრება. არქეტიპები არის უძველესი, უნივერსალური და ზოგად ადამიანური იდეები და წარმოდგენები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიულ გამოცდილებას გადმოსცემენ სიმბოლური ფორმით. ეს არქეტიპები არის საფუძველი მითის, ხელოვნებისა და რელიგიური შემოქმედებისა. იუნგმა რელიგიის შესწავლაში, სიმძიმის ცენტრი გადაიტანა რელიგიის, როგორც სოციალური ფენომენის განხილვაზე. არქეტიპების არსებობით აიხსნება განმეორებადი მითოლოგიური მოტივები, რომლებიც წარმოიშობოდა სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილას. მითოსური შემოქმედება არ არის წარსულის კუთვნილება, არამედ არის თანამედროვე სოციალური ცნობიერების აუცილებელი ელემენტი. მისი აზრით რელიგიის ისტორია არის კოლექტიური არაცნობიერის არქეტიპების წარმოშობისა და ინტერპრეტაციისა და რეინტერპრეტაციის ისტორია. ეს არის რელიგიის არსებობის პირობა. იუნგისათვის მიუღებელია ფროიდისეული ბიოლოგიზმი და სოციალური ცხოვრების დაყვანა ელემენტარულ სექსუალურობაზე. იუნგმა განასხვავა არქეტიპი და არქეტიპული ხატები. არქეტიპი ექვემდებარება ცნობიერ გადამუშავებას მითში, რომლებიც იმყოფებიან თითოეული ადამიანის სულის სიღრმეში.პირველყო-

ფილი ადამიანი არ გაიაზრებს მითს, არამედ იგი ცხოვრობს მითში. იუნგის აზრით რელიგიის საწყისია არქეტიპი, რომელიც თავის მხრივ ადამიანური სულის სიღრმეშია დალექილი და არის კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების ასახვა. მათი რელიგიურ–მითოლოგიური ინტერპრეტაცია არის რელიგიის განვითარების პროცესი. რელიგია კი არის ადამიანური გონების ყველაზე ადრეული და ყველაზე უნივერსალური აქტივობის ფორმა. მისი აზრით რელიგიის ფსიქიკური საფუძველია ნუმინეზური გრძნობა, რაც საკრალურის, ღვთაებრივის განცდას ნიშნავს. საბოლოოდ იუნგი მიიჩნევს რომ რელიგია ახდენს პიროვნებისა და საზოგადოების ფსიქიკური ცხოვრების დაპირისპირებული ტენდენციების შერიგებას.

ვ. ვუნდტის მიხედვით, ადამიანის ფსიქიკის საფუძველია არა გონებრივი, არამედ ემოციონალურ-ნებელობითი აქტივობა, რომელსაც ეფუძნება რელიგია. მითოლოგიური აზროვნების (ვუნდტის ტერმინია) მთავარი წყაროა არა ინტელექტუალური აქტივობა არამედ აფექტი, ემოცია. ეს უპირველესად არის შიშის და იმედის გრძნობები და მათგან გამომდინარე ნებელობითი პროცესებისა და გრძნობების პროეცირება ობიექტზე, რომელიც შემდეგ მისი თვისებები ხდება ანუ სულის რწმენა. სხეულებრივი და სული ფსიქეს სახით არის სულის კულტის ყველაზე ადრინდელი საფეხური. ეს არის პირველყოფილი ანიმიზმი. მას მოსდევს ცხოველებისა და წინაპრების კულტი. ეს არის ტოტემიზმის საფეხური. ტოტემიზმი მჭიდრო კავშირშია სოციალურ ორგანიზმებთან. მესამე საფეხურია – დემონების, ზებუნებრივი არსებების კულტი, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ ანდა ზიანი მიაყენონ ადამიანს. შემდეგ ეს კულტი გადადის ღმერთების კულტზე, რაც პირველყოფილი საზოგადოების განვითარების მაღალ საფეხურს ახასიათებს. კულტებს შორის მთავარი ადგილი უკავია ნაყოფიერების კულტს. ვუნდტის აზრით, ამ კულტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს რელიგიის შექმნის პროცესში.

გლობალიზიციის ეპოქა და თანამედროვე პიროვნება

ტერმინი "გლობალიზაცია" თავიდანვე გამოყენებული იყო ზოგიერთი არსებითი მომენტის გამოსახატად მსოფლიო პროცესების განვითარებაში:ჯერ ერთი, იგი მიუთითებდა მრავალეროვნული კორპორაციულების მიერ წარმოებული პროდუქციის შერწყმაზე.ამ მნიშვნელობას გულისხმობდა ტერმინის "გლობალიზაციის" შემომტანი ტ.ლევიტი 1983 წელს გამოქვეყნებულ თავის ერთ–ერთ სტატიაში და მეორეც,აღნიშნული ტერმინი გვიჩვენებდა მსოფლიოში მოქმედ გამათანაბრებელ ტენდენციებს.ეს მნიშვნელობა "გლობალიზაციის" ტერმინს მიაკუთვნა იაპონელმა კ.ომაემ წიგნში "მსოფლიო საზღვრების გარეშე" (1990).ორივე ამ მომენტს აერთიანებს მ.უოტერსის მიერ ჩამოყალიბებული გლობალიზაციის განსაზღვრება:გლობალიზაცია არის პროცესი,რომლის მსვლელობაში იხსნება სოციალური და კულტურული სისტემების გეოგრაფიული საზღვრები და მოსახლეობა სულ უფრო და უფრო აცნობიერებს ამ საზღვრების ქრობას. (С.А Удовик Глобализация. М. 2002г. ст.9.)

გლობალიზაციის ცნება ასახავს მსოფლიო რეგიონებისა და ზონების, ქვეყნების, ხალხებისა და თვით ცალკეული ადამიანების ურთიერთკავშირს, ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთზეგავლენას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გლობალიზაცია ეს იმ ფაქტების კონსტატაციაა, რომელთა მიხედვითაც ნებისმიერი ქვეყნის მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება იმით,რაც მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო სივრცეში ხდება. (ბ.ლუტიძე 2004. გვ70)

გლობალიზაცია ჩვენი ცხოვრების რეალობაა.თანამედროვე თაობათა თვალწინ მსოფლიოში მიმდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩქარებული გლობალიზაციის პროცესი.

გლობალიზაცია, როგორც მოვლენა არსებობს და სწრაფი ტემპით ვითარდება, განსაკუთრებული გამოვლენა ამ პროცესისა პირველ რიგში შეინიშნება ეკონომიკაში. ეკონომიკური ტრანსფორმაციის საშუალება იმდენად დიდია, რომ იგი ქმნის ახალ მსოფლიო პოლიტიკას. სახელმწიფოები აღარ არიან ჩაკეტილი ერთობები და მათ არ შეუძლიათ აკონტროლონ საკუთარი ეკონომიკები. სახელმწიფოთა ეკონომიკური არასტაბილურობა არასოდეს ყოფილა ესოდენ ურთიერთდაკავშირებული ვაჭრობის განვითარებათა და ფინანსების ბრუნვით. ფინანსური გლობალიზაციის ერთ–ერთი ძირითადი ნიშანია გლობალური, სუპერტერიტორიალური ფულის არსებობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეშვეობით მოქმედი ფიქსირებული, შემდეგ კი მცურავმა სავალუტო გაცვლის რეჟიმმა საშუალება მისცა ზოგიერთ ეროვნულ ვალუტას საზღვარგარეთ გასულიყო მიმოქცევაში. ეროვნული ფულის ერთეული ამერიკული დოლარი გახდა გლობალიზირებული, იმიტომ, რომ მისი უზარმაზარი მასა აღმოჩნდა საზღვრებს გარეთ და ეკონომიკური კრიზისის დროს მან შეცვალა ეროვნული ვალუტა. გლობალური ხასიათი შეიძინა ევრომაც 2002 წელს და თორმეტი ქვეყნის ვალუტად იქნა შემოღებული, რამაც გამოიწვია თავისთავად მისი გლობალიზაცია.

საგარეო სავალუტო ვაჭრობა ერთ–ერთი გავრცელებული სუპერტერიტორიული ბიზნესია.გლობალიზაციის პერიოდში ეს ვაჭრობა,ხორციელდება ტელეფონით,ფაქსით,ელ–ფოსტით ინტერნეტით და მანძილს და სახელმწიფოებრივ მდებარეობას მნიშვნელობა არ აქვს.მსოფლიოს ბანკების უმრავლესობა სწორედ ზემოთჩამოთვლილი კომუნიკაციების საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს და პიროვნებას რომელსაც ანგარიში აქვს რომელიმე ბანკში აშშ იქნება, თუ შვეიცარია მნიშვნელობა არ აქვს. მას ნებისმიერ მომენტში შეუძლია ისარგებლოს ამ თანამედროვე ტექნოლოგიებით და მიიღოს მისთვის სასურველი თანხა ისე, რომ სულაც არ შეხვდეს ბანკის მოხელეს.აგ-

რეთვე ძალზე პოპულარულია თანხების მიმოქცევა ვიზა და მასტერქარდებით (არტი ჯერვისი.თბ.2011 გვ 530)

უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა ტექნიკურმა და ტექ-ნოლოგიურმა პროგრესმა ხელი შეუწყო ქვეყნების ეროვნული ბაზრების დაახლოებას.მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე წარმოება.ტექნიკაში(კომპიუტერები ელექტრონიკა,ვიდეო,ტელე და ფოტოაპარატურა)მათი ექ-სპორტი დღითიდღე იზრდება, მაგ: „ნოკიას“ ფირმის მობილუ-რი ტელეფონი 150 ქვეყანაში გამოიყენება, ასევე სიგარეტი „მარლბორო“, არაფერს ვამბობთ ყავა „ნესკაფე“–ზე, რომე-ლიც ქართულ სინამდვილეშიც თითქმის ყველა ოჯახის აუცი-ლებელი სასმელია.მაღაზიათა ქსელები მაგ. იტალიური „ბენე-ტონი“ ფრანგული სუნამოები და ა.შ.ამჟამად ძალზე მოდურია ინტერნეტით საქონლის გაყიდა და შეძენა სახლიდან გაუსვლე-ლად, საკრდიტო ბარათის გამოყენებით.გლობალიზაციამ შე-ამჭიდროვა მსოფლიოს ხალხები.რაც შეეხება წარმოების გლო-ბალიზაციას იგი განსაკუთრებით იგრძნობა მანქანათწარმოე-ბაში. მაგ. გერმანული მანქანები,იაპონური ამერიკული და ა.შ.პირველადი თუ მეორადი ბლომადაა, არა მხოლოდ საქარ-თველოში არამედ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

წარმოებისა და შრომის გლობალიზაციამ მასობრივი ხა-სიათი მისცა მოსახლეობის მიგრაციის უპრეცედენტო მასშტა-ბებს. ეს ეხება იმ მიგრაციულ ნაკადებს, რომლებმაც დაიწყეს დინება გლობალური სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. მიგრაცი-ას თავისი მიზეზები გააჩნია,იგი შეიძლება იყოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ–კულტურული,რელიგიური და ეკო-ლოგიური. ემიგრანტების უმრავლესობა ლეგალური თუ არა-ლეგალური წესით ცდილობს დამკვიდრდეს იმ ქვეყანაში სა-დაც ის იმყოფება, რათა თავი ან ოჯახი გადაარჩინოს. ემიგრან-ტთა რაოდენობა ძალზე დიდია აშშ–ში მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან და მათ შორის საქართველოდანაც, რადგან ევროპის ქვეყნებთან შედარებით აშშ–ში ანაზღაურება უფრო მაღა-

ლია.და საერთოდ მიგრაცია გლობალიზაციის ეპოქაში, მიგვაჩ-ნია რომ სოციალურ პრობლემასთან პირდაპირ კავშირშია.

გლობალურ პროცესებში მოიაზრება აგრეთვე,გარემოს დაცვის პრობლემები ანუ ეკოლოგია, რომელიც XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისში მეტად მნიშვნელო-ვანი საკითხია, მან საფრთხე შეუქმნა კაცობრიობას. კლიმატუ-რი ცვლილებები, ჰაერის დაბინძურება, ოზონის ხვრელი, გლო-ბალური დათბობა,გამოდმებული სტიქიური უბედურებები. ამის თვალსაჩინო მაგალითია იაპონიაში მომხდარი მიწისძვრა და შემდგომ ატომური ელექტროსადგურების აფეთქება, რო-მელმაც გამოიწვია ჰაერის მოწამვლა, და დაბინძურება, რასაც მოჰყვა დიდი რაოდენობით მსხვერპლი. ეს არა მარტო კონკრე-ტული ხალხისა და ქვეყნის უბედურებაა, არამედ გლობალური პრობლემაა.

გლობალიზაციის სხვადასხვა გამოხატულბებს შორის კულტურის გლობალიზაცია ერთ–ერთი ყველაზე თვალშისა-ცემი, გავრცელებული და წინააღმდეგობრივია.კულტურა, მო-გეხსენებათ სწორედ ის სფერო გახლავთ სადაც საზოგადოება თავიანთი თვითმოყოფადობის, ადათ–წესების, ისტორიული ბედისა თუ რელიგიის მეშვეობით ცდილობდნენ შეენარჩუნები-ნათ საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობაზე გადმოსული ღირებულებები.ეროვნება და ეროვნულობა თითქმის გაიგივე-ბული ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს.რადგან პიროვნება მაშინ ით-ვლებოდა გარკვეული ეროვნების წარმომადგენლად, როცა ამავე ეროვნული კულტურის მატარებელი იყო.

კულტურა არის ადამიანის, ერის ინდივიდუალურობის თვითმყოფადობის, თვითგამოვლენის, თვითგამოხატვის ფორ-მა,რომელიც რეალიზდება ცხოვრების წესში.კულტურა ერის კულტურული და ფიზიკური თვითშენახვის სტრატეგიის გამო-ხატულებაა.

გლობალიზაციის პროცესმა ეს სფეროც ვერ დატოვა ხე-ლუხლებელი.70–იან წლებამდე ტელეკომუნიკაციების კორპო-რაციები და მედიის კომპანიები საკმაოდ მრავლად იყვნენ

სხვადასხვა ქვეყანაში და ისინი ეროვნულ კორპორაციებს წარმოადგენდნენ და შიდა ბაზარს ემსახურებოდნენ მაგ. პოსტსაბჭოთა სივრცეში, ტელესაკომუნიკაციო გადაცემები და პრესა მკაცრად კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ. 90–იანი წლების შემდეგ რასაც მოჰყვა საბჭოთა კავშირის დაშლა,მედიაინდუსტრიამ და ტელეკომუნიკაციამ ტრანსფორმაცია განიცადა.გლობალიზაცია აქაც შემოიჭრა და ინფორმაციის მოპოვებაში მაგ. ლიდერობენ ასოშიეტედ პრესსი და „როიტერი“.საერთაშორისო სატელევიზიო ახალ ამბებში „CNN“ და „BBC“ ლიდერობენ. მუსიკალური ფირფიტებით ვაჭრობის დარგში ვორნერსა და სონის აქვთ უპირატესობა.

ელექტრონულ მედიასა და მასობრივ კომუნიკაციებს შორის დიდი ადგილი უკავია რადიოს.გარდა საინფორმაციო და პროპაგანდისტული მნიშვნელობისა რადიო კულტურის დიფუზიის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. განსაკუთრებით დიდია რადიოს როლი მუსიკის პოპულარიზაციაში. მაგალითად რადიოს საშუალებით მოხდა ანგლოამერიკული პოპ მუსიკის მთელ მსოფიოში გავრცელება. როკენროლის ევროპაში დამკვიდრებაც რადიოს დამსახურებაა.

ტელევიზიამ, როგორც ელექტრომედიის ერთ–ერთმა მთავარმა სფერომ თავიდანვე წამყვანი როლი დაიკავა ელექტროკომუნიკაციებისა და ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალებებს შორის.დღით-დღე იზრდება სატელვიზიო არხების რაოდენობა გადაცემები და პროგრამები. ტექნოლოგიურმა პროგრესმა აქაც შეაღწია რასაც მოწმობის საკაბელო და სატელიტური ტელევიზიები.რაც შეეხება კინოს, აშშ არის ყველაზე ექსპორტირებადი თავისი ჰოლივუდის ფილმებით,რომელსაც არ ჩამორჩება ინდური კინოწარმოება ბოლივუდი.აგრეთვე მექსიკური და ბრაზილიური სერიალები რომლებიც ქართულ ბაზარზეც მრავლად შეინიშნება.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ტურიზმი, რომელიც კულტურული და ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ–ერთი ყვე-

ლაზე აშკარად გამოხატული ფორმაა. ტურიზმი პირველ რიგში ბიზნესია, მაგრამ მას კულტურული განზომილებაც აქვს. აქ იგულისხმება ტურისტების მიერ შემეცნებითი ობიექტების ნახვა–დათვალიერება ასევე მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობის ქცევისა და კულტურის ტრანსფორმაცია. ხოლო თუ ტურისტები ძირითადად ერთი რომელიმე ქვეყნიდან მოდიან მოცემულ ადგილზე ადგილობრივი მოსახლეობა სწავლობს არა მარტო მათ ენას არამედ ქცევისა და კულტურის ბევრ სხვა ელემენტსაც (სანიკიძე, ნ.კიღურაძე თბ,2001 გვ 38–40).

გლობალიზებულ მსოფლიოში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განსხვავების თანდათან წაშლისა და დაახლოების პარალელურად კანონების ნორმების, პროცედურების უნიფიკაციასთან ერთად აუცილებელი გახდა ურთიერთობის ერთიანი საშუალების ამოქმედება ანუ ერთი საერთო ენის არსებობა რომელიც ყველასათვის გასაგები იქნებოდა და ამ ენაზე განხორციელდებოდა სხვადასხვა ერებსა და სახელმწიფოებს შორის.

კომუნიკაცია, მიუხედავად იმისა რომ ესპანური ფრანგული და გერმანული ძალზე პოპულრული ენები იყო, მაინც ინგლისურმა ენამ დაჩრდილა ისინი და საერთაშორისო მთავარ ენად ინგლისური იქცა. მართალია ეს არც ისე უმტკივნეულო პროცესია, მაგრამ გლობალიზაციამ არამც თუ შეაჩერა ინგლისური ენის უპირატესობა, არამედ სავალდებულო გახადა იგი. რაც შეეხება საქართველოს, ეს პროცესი აქაც მიმდინარეობს რასაც მოწმობს სახელმწიფოს ზრუნვა ინგლისური ენის პოპულარიზაციისათვის ამ მხრივ მრავალი პროექტი განხორციელდა.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ის პროცესები, რომელიც გლობალიზაციას ახასიათებს და ის გამოხატულებები რომელიც მისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ რა როლი ეკისრება პიროვნებას გლობალიზაციის ეპოქაში მისი ადგილი სამყაროში, რა არეალით შემოიფარგლება კითხვა: ვინ ვარ მე? რა შემიძლია? და რა უნად ვაკეთო? არასოდეს ასვენებს ადამიანს.

სწორედ გლობალიზაციის ხანაში ადგილი აქვს ადამიანის ყოფიერების წარმმართველ, მსოფლმხედველობრივ და ღრებულებითი სისტემების ცვალებადობას. არსებული ცვლილებები შეეხება ადამიანის ყოფიერების ყველა ასპექტს. ადგილი აქვს საერთო ადამიანური ღირებულებების დამკვიდრებას. ადამიანები აცნობიერებენ რომ მათ როგორც კაცობრიობას საერთო ბედი აქვთ. ახალი ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების ზემოქმედება არაერთმნიშვნელოვანია. ადამიანს არ შეუძლია გაითვალისწინოს ამ ზემოქმედედების ხასიათი, მასშტაბები და შედეგები. მედიცინის, ბიოლოგიის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ტემპები ადამიანს უნერგავენ შეხედულებას, რომ მათი განვითარების ტემპები ექვემდებარება ადამიანის შეგნებულ კონტროლს. ადამიანის ყოფიერებამ შეიძინა პლანეტარული მასშტაბი, ამიტომ ადამიანს მოეთხოვება გაიაზროს ე.ი. შეგნებული დამოკიდებულება ჰქონდეს ყველაფერთან რაც მისი ცხოვრების თვალსაწიერში შემოდის.ადამიანი იცნობს უამრავ პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ და რელიგიურ თვალსაზრისებს, რომლებიც გამოხატულია სხვადასხვა ადამიანებისა და სოციალური ჯგუფების მიერ.

ცხოვრებამ, ადამიანს უნდა ასწავლოს პატივი სცეს განსხვავებულ შეხედულებას, სხვათა აზრს, მაშინაც კი, როდესაც იგი არ ეთანხმება მის საკუთარს. დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანის თავისუფალი და შეგნებული გადაწყვეტილება. განსხვავებული თვალსაზრისი უნდა იქნეს გააზრებული და დასაბუთებულად მიღებული ან უკუგდებული. ადამიანის საზოგადოებრივი ყოფიერება მოითხოვს რეალობაში გონივრული, გააზრებული ორიენტაციის აუცილებლობას. მულტიკულტურული და მულტიღირებულებით გარემოში საკუთარი კულტურული და სულიერი თავისთავადობის შენარჩუნებას.

ადამიანი ხშირად მოექცევა ხოლმე გავრცელებული პოლიტიკური ღირებულებითი შეხედულებებისა და ტრადიცი-

ული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ.მეორე მხრივ სულ უფრო ცდილობენ ადამიანის ცნობიერების, შეხედულებათა სისტემის მანიპულირებას. ეს კი ადამიანს ხელს უშლის იყოს პიროვნება, ჰქონდეს დამოუკიდებელი პოზიცია, და შეგნებული, თავისუფალი გადაწყვეტილების უნარი.

გლობალიზაცია პოლიტიკურ, ეკონომიკურ, და კულტურულ განსხვავებების წაშლასთან ერთად საერთო ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და გავრცელებასაც გულისხმობს. სწორედ აქ აწყდება გლობალიზაცია ყველაზე დიდ წინააღმდეგობას.ბუნებრივია რომ ახალ ღირებულებათა სისტემაზე გადასვლა ნიშნავს ფასეულობათა გადაფასებას, ძველ ღირებულებებზე უარის თქმასა და ახლის შეთვისებას.ეს კი მთელი ცხოვრების, წესისა და მენტალიტეტის შეცვლას გულისხმობს, რაც უაღრესად რთული და მტკივნეული პროცესია და ხშირად მძაფრ წინააღმდეგობას იწვევს.მდგომარეობას განსაკუთრებით ის ართულებს რომ ის ღირებულებები, რომლებიც გლობალიზაციის შედეგად მკვიდრდება არ არის რაღაც ახალი კოსმოპოლიტური ანდა სინთეზური სისტემა, სადაც ყველა ცივილიზაციაა წარმოდგენილი.იგი ფაქტობრივად იმ ფასეულობათა სისტემაა რომელიც დასავლური ცივილიზაციისათვის არის დამახასიათებელი.ამიტომ სხვა ცივილიზაციების ხალხებისთვის ამ ღირებულებათა დამკვიდრება დასავლური ღირებულებების აშკარა ექსპანსიაა, კულტურული იმპერიალიზმია, სადაც ლომის წილი აშშ-ზე მოდის. (С.А Удовик М. 2002г. ст.18).

რა არის ძირითადი ღირებულებები, რომელთა გავრცელებაც გლობალიზაციის პროცესის გამო მთელ მსოფლიოში ხდება და რატომ უნდა იწვევდეს ის წინააღმდეგობას არადასავლური ცივილიზაციების სამყაროში? ინდივიდუალიზმი დასავლური ცივილიზაციისა და კულტურის საფუძველი და ძირითადი კატეგორიაა. სხვადასხვა ისტორიულმა გარემოებებმა, ფეოდალიზმის დასავლურმა მოდელმა, მიწაზე კერძო საკუთრებამ ბურჟუაზიის გაბატონებულმა მდგომარეობამ და სხვა

ფაქტორებმა ჩამოაყალიბა პიროვნული მენტალიტეტი, როცა ადამიანი თვითონ არის საკუთარი თავის პატრონი არავისზეა დამოკიდებული და აკეთებს იმას რაც სურს ე.ი პიროვნება თავისუფალია. ასეთ შემთხვევაში ადამიანთა შორის ურთიერთობების ერთადერთი რეგულატორი კანონია. ამიტომ კანონის უზენაესობა ინდივიდუალურ საზოგადოებაში აუცილებელი პირობაა და კანონის წინაშე ყველა თანაბარია მიუხედავად მდგომარეობისა და ცენზისა. ყველა სხვა ცივილიზაციაში ინდივიდზე მაღლა კოლექტივი დგას და პიროვნება მის ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს. ისტორიულად ამ კულტურებში მიწაზე თემური საკუთრება იყო და ურთერთობებსაც თემი არეგულირებდა და შესაბამისად დღესაც ასეთ საზოგადოებაში პიროვნების თავისუფლება კოლექტივზეა დამოკიდებული და საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელისუფლებო ელიტა, რელიგიური თემები თუ გვაროვნულ–ტომობრივი კლანები წარმართავენ. კოლექტივიზმი ყველგან ერთნაირი ფორმებით არ არის წარმოდგენილი. რუსული კოლექტივიზმი ფართოა და მთელ სახელმწიფოზე ვრცელდება. კერძოდ სახელმწიფოსა და მის ხელმძღვანელს ყველა მორჩილად უნდა ემსახურებოდეს ხოლო უბრალო მოქალაქეები ერთი კოლექტივის თანაბარუფლებიანი წევრები არიან და ამიტომ თითოეულ მათგანს უფლება აქვს მეორეს შენიშვნა მისცეს თუ ეს უკანასკნელი კოლექტივისთვის მიუღებელ ქმედებებს ჩაიდენს. იაპონიაში კოლექტივიზმი კორპორაციული ხასიათისაა და კომპანიის წევრების ურთიერთნდობაზე და კომპანიისადმი ერთგულების პრინციპზეა დაფუძნებული.ჩინეთში კოლექტივიზმი უფრო ოჯახური დონისაა. პირადი ურთიერთობები და დამოკიდებულება, იურიდიულ ნორმებსა და კონტრაქტებზე მაღლა დგას. ამ სიტუაციით აიხსნება მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების უმნიშვნელო როლი ჩინურ სამყაროში. რაც შეეხება ისლამურ სამყაროს აქ კოლექტივიზმის საფუძველი ტომი ან გვარია და პიროვნებაც, პირველ რიგში მის წინაშეა პასუხისმგებელი. ინ-

დური ცივილიზაციისათვის კოლექტივიზმის კასტური პრინციპია დამახასიათებელი (ზ.დავითაშვილი 2003 გვ 267).

რაც შეეხება ქართულ კოლექტივიზმს იგი არ მოიცავს მთელ ერს ან სახელმწიფოს და უფრო ვიწრო ფარგლებით იზღუდება. ესაა ჩვენში გავრცელებული ისეთი კატეგორიები როგორიცაა „სანათესავო“ „სამეგობრო“ „სამეზობლო“ და ა.შ. სწორედ ნათესავების მეგობრებისა თუ მეზობლების წინაშე თვლის თავს პასუხისმგებლად ქართველი და მათ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს ვიდრე სახელმწიფო ინტერესებსა და კანონებს.

ცხადია კოლექტივისტური მენტალიტეტის საზოგადოებისათვის ძალიან ძნელია ინდივიდუალურ ცნობიერებაზე გადასვლა და კანონის კოლექტივზე მაღლა დაყენება. ამითაა გამოწვეული ის გაღიზიანება, რასაც დასავლეთი იწვევს სხვა არადასავლურ საზოგადოებებში. პიროვნების თავისუფლება, სხვადასხვა საზოგადოებაში, სხვადასხვანაირად აღიქმება და ამ ფენომენისადმი დამოკიდებულებაც განსხვავებულია.

საქართველოში, რუსეთსა და ალბათ მთელ პოსტ საბჭოთა სივრცეში თავისუფლება ნიშნავს თავის ნებაზე ყოფნას: „ვაკეთებ იმას რაც მინდა და ეს არავის საქმე არ არის“. იგი აღიქმება როგორც საშუალება თავი აარიდო პასუხისმგებლობას შენს ნამოქმედარზე. ამიტომ პირადი თავისუფლების მაქსიმალიზაციის მიზნით გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების ისეთი ფორმა როგორიცაა „კოლექტიური პასუხისმგებლობა“ ანუ, თუ პიროვნებამ რამე დააშავა პასუხი მთელმა კოლექტივმა უნდა აგოს. რეალობაში ეს „კოლექტიური პასუხისმგებლობა“ იყო როცა პასუხს არავინ აგებდა. თავისუფლების ასეთი გაგება ინდივიდუალურ საზოგადოებაში წარმოუდგენელია. აშშ–ში თავისუფლებაში იგულისხმება არჩევის თავისუფლება, შესაძლებლობა თავი აარიდო ისეთ სიტუაციას როცა ვინმე შეძლებს ჩაერიოს შენს პირად ცხოვრებაში. ამავე დროს სამსახურში თავისუფლება მკაცრად რეგლამენტირებულია ინსტრუქციით. სპეციფიკურია სიტყვის თავისუფლებაც. უნდა

ითქვას ის, რაც არ გააღიზიანებს ამერიკელთა უმრავლესობას. მაგალითად ტელევიზია აჩვენებს კადრებს თუ როგორ იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა ამერიკული ავიაციის დაბომბვის შემდეგ კოსოვოს კონფლიქტში, საეჭვოა რომ ასეთ პროგრამას წარმატება ხვდეს წილად.

რაც შეეხება ევროპას, აქ თავისუფლება უფრო ფართო ცნებაა და მომდინარეობს საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგიდან „თავისუფლება, ძმობა ერთობა“ ეს „აუცილებლობის გაცნობიერებაა,“ რომელიც გულისხმობს ურთიერთკავშირს: რაც მეტია თავისუფლება მით მეტია პასუხისმგებლობა.

და ბოლოს გლობალიზაცია იქნება ეს ეკონომიკური, კულტურული, თუ სახელმწიფოებრივი დიდ ზეგავნელას ახდენს პიროვნების მენტალობაზე. XXI საუკუნის ადამიანი გაორებულია და დაბნეული, არ იცის რა აიღოს და მიიღოს დასავლური ცივილიზაციიდან. ჩვენ ალბათ ჯერ კიდევ ვსწავლობთ ნების თავისუფლების ელემენტებს. ქართული საზოგადოება გადააფასებს დასავლურ ღირებულებებს და ჩვენი აზრით, ახალგაზრდა თაობა სახელმწიფოსა და უფროსების თანადგომით სწორ არჩევანს გააკეთებს და იმ ღირებულ პრიორიტეტებს გადმოიღებს, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის და კულტურისთვის არის მისაღები.

.

განმარტებათა მოკლე ლექსიკონი

აგზნება - გამაღიზიანებლებზე აქტიური პასუხის გაცემის უნარი.

აგრესიული ქცევა – ადამიანის მოქმედების სპეციფიკური ფორმა, რომელიც მიმართულია სხვა ადამიანისადმი ან პირთა ჯგუფისადმი ვნებისა და ზიანის მიყენების მიზნით.

ადამიანი – სიცოცხლის განვითარების უმაღლესი ფორმის წარმომადგენელი, საზოგადოებრივ – ისტორიული ქცევის სუბიექტი, მოაზროვნე და იარაღის მკეთებელი არსება.

ადაპტაცია – ორგანიზმის მიერ ბუნების მოვლენებისადმი შეგუება.

აზროვნება – შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი. რომელიც ხასიათდება სინამდვილის გაშუალებელი და განზოგადებული ასახვით.

ანალიზი – აზროვნების ერთ–ერთი ცენტრალური ოპერაცია, რომელიც გულისხმობს მთლიანი მოვლენის ნაწილებად დაშლას.

ასაკი – ინდივიდისა და მისი პიროვნების კონკრეტულ დროში შედარებით შეზღუდული ფსიქიკური განვითარების საფეხური.

აღზრდა – გეგმაზომიერი და მიზანმიმართული მოქმედება, რომლის საშუალებითაც მომავალ თაობებს გადაეცემა საზოგადოებრივ–ისტორიული გამოცდილება და უზრუნველყოფა პიროვნების ჰარმონიული განვითარება.

ბრბო – ადამიანთა უსტრუქტურო თავმოყრა ერთიანი ემოციური მდგომარეობისა და ყურადღების ობიექტის საერთოობის საფუძველზე ნათლად გაცნობიერებული მიზნების ერთიანობის გარეშე.

<u>განწყობა</u> – პიროვნების მთლიანობითი, გარკვეული მოქმედების შესრულებისაკენ არაცნობიერი მზაობის მდგომარეობა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს მის ქცევას.

<u>გენიალობა</u> – ზოგადი ნიჭის, გონიერების განვითარების უმაღლესი ფორმა.

<u>დედუქცია</u> – ლოგიკური დასკვნის ფორმა, რომლის დროსაც კონკრეტული ცოდნა გამომდინარეობს ზოგადი ღირებულებებიდან.

<u>ენა</u> – ნიშანთა სისტემა, რომელიც არის ადამიანური ურთიერთობის საშუალება, პიროვნების თვითცნობიერების გამოხატვის ხერხი, თაობიდან თაობაში ინფორმაციის გადაცემის პირობა.

<u>ვერბალური</u> – სიტყვიერი

<u>თანდაყოლილი სტატუსი</u> – დაბადებიდან მიღებულ სტატუსს – თანდაყოლილი სტატუსი ეწოდება.

<u>თვითაღზრდა</u> – სუბიექტის მიერ იმ მოქმედებების მართვა, რომელიც მიმართულია საკუთარი პიროვნების შეცვლისაკენ შეგნებულად დასმული მიზნების მისაღწევად.

<u>თვითშეფასება</u> – პიროვნების მიერ საკუთარი თავის შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასება.

<u>იმიჯი</u> – გარეგნული სახე, რომლითაც პიროვნება ან ორგანიზაცია საზოგადოების წინაშე წარსდგება.

<u>ინდივიდუალურობა</u> – ადამიანის თვისება, რომელიც მას განასხვავებს სხვა ადამიანებისაგან, ინდივიდის ფსიქიკისა და პიროვნების თავისებურება, მისი განუმეორებლობა, ორიგინალობა და უნიკალურობა.

<u>ინტელექტი</u> – ინდივიდის გონებრივ შესაძლებლობათა შედარებით მყარი და გამძლე სტრუქტურა.

<u>ინტერესი</u> – შემეცნებითი მოთხოვნილების გმოვლენის ემოციური ფორმა.

იუმორის გრძნობა – ადამიანის უნარი შეამჩნიოს მოვლენებში კომიკური მხარეები და ემოციურად აღიქვას ისინი.

ინსტიტუტები – ეწოდება გარკვეული სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამიზნული როლებისა და სტატუსების ერთობლიობას.

კოლექტივი – მაღალი დონის გაერთიანების ჯგუფი, სადაც პიროვნებათშორისო ურთიერთობანი გაშუალებულია საზოგადოებრივად და პიროვნულად ღირებული თანაცხოვრების შინაარსით.

კომუნიკაცია – ადამიანთაშორისი სოციალური ურთიერთმოქმედების აზრობრივი ასპექტი.

კონფლიქტი – პიროვნებათაშორის ურთიერთობებში ინდივიდების მკვეთრად განსხვავებული ან შეუთავსებელი აზრების შეჯახება, რაც დაკავშირებულია მკვეთრ უარყოფით ემოციებთან.

კონფორმულობა – ადამიანის თვისება შეცვალოს თავისი ქცევა ან აზრი სხვა ადამიანთა გავლენის საფუძველზე.

ლიდერი – ჯგუფის წევრი, რომელსაც აქვს უნარი ჯგუფის წევრთა თანაცხოვრებაში ითამაშოს მთავარი, ორგანიზატორული როლი და მიიღოს გადაწყვეტილებები.

მამაცობა – ნებელობითი ნიშანი, რომელიც გამოიხატება შიშის დაძლევისა და მიზნის მისაღწევად მთელი ძალების მობილიზებაში რთულ, საშიშ და სარისკო სიტუაციებში.

მეტყველება – ენით გაშუალებული ადამიანთა ურთიერთობის ფორმა.

მოთხოვნილება – იმ ობიექტის საჭიროების განცდით გამოწვეული ინდივიდის მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია მისი არსებობისა და განვითერებისათვის და რომელიც საფუძვლად ედება მის აქტივობას.

<u>მრწამსი</u> – პიროვნების გაცნობიერებული მოთხოვნილება, რომლის საფუძველზეც იგი მოქმედებს საკუთარი ღირებულებითი ორიენტაციის შესაბამისად.

<u>მსოფლმხედველობა</u> – შეხედულებათა სისტემა ბუნებაზე საზოგადოებასა და მეცნიერებაზე.

<u>ნასახი</u> – ტვინის თანშობილი ანატომიურ – ფიზიოლოგიური თავისებურება, რომელიც საფუძვლად ედება ნიჭის განვითარებას.

<u>ნებისყოფა</u> – მიზნის მიღწევის გზაზე სუბიექტის მიერ სიძნელეების გადალახვის უზრუნველმყოფი საკუთარი ქცევის შეგნებული თვითრეგულაცია და მართვის უნარი.

<u>ნიჭი</u> – პიროვნების ინდივიდუალურ ფსიქოლოგიური თვისება, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ პროდუქტიული მოქმედების წარმატებით შესრულების პირობას.

<u>პიროვნება</u> – უნიკალური არსება, რომელიც თავის თავზე ერთდროულად მრავალ ფუნქციას (როლს) იღებს.

<u>პრესტიჟი</u> – საზოგადოების მიერ ინდივიდის დამსახურების აღიარების ზომა.

<u>პრობლემა</u> – არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე სუბიექტის მიერ კონკრეტულ სიტუაციაში აღმოცენებული სიძნელეებისა და წინააღმდეგობების გადალახვის შესაძლებლობის გაცნობიერება.

<u>პრობლემური სიტუაცია</u> – სიტუაცია, რომლის გადასაჭრელად ინდივიდმა ან ჯგუმა უნდა გამოიყენოს მისთვის ახალი ქცევის ხერხები და საშუალებები.

<u>როლი</u> – მოსალოდნელი ქცევა, რომელსაც ინდივიდი ასრულებს კერძო სიტუაციაში და რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ სტატუსთან.

<u>რაციონალიზაცია</u> –პროცესი, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე საზოგადოებებში სოციალური პრობლემების გააზრება და გადაჭრა ხდება ლოგიკისა და რაციონალიზმის საფუძველზე.

საუბარი – ინფორმაციის მიღების მეთოდი ვერბალური სიტყვიერი კომუნიკაციის საფუძველზე.

სტატუსი – ეწოდება ადამიანის პოზიციას საზოგადოებაში გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით.

სიმპათია – ადამიანის მდგრადი დადებითი ემოციური დამოკიდებულება სხვა ადამიანისადმი.

სოციალიზაცია – ინდივიდის შეზრდა სოციალურ ღირებულებებში, სოციალური გამოცდილების ათვისება.

ურთიერთობა – ადამიანებს შორის რთული, მრავალმხრივი, ინტერპერსონალური კონტაქტების დამყარების და განვითარების პროცესი ერთიანი თანაცხოვრების მოთხოვნილების შესაბამისად.

ფრუსტრაცია – დაძაბული ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც აღმოცენდება მიზნის მიღწევისა და მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზაზე რეალური ან წარმოსახული გადაულახავი დაბრკოლებით გაჩენის დროს.

ქცევა – ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ურთიერთდამოკიდებულება გარემოსთან, რომელიც გაშუალებულია მათი გარეგანი და შინაგანი აქტივობით.

შეძენილი სტატუსი – სტატუსს, რომელსაც ადამიანი შეიძენს თავისი საქმიანი მოღვაწეობის შედეგად – მიღწეული ეწოდება.

ხასიათი – პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებათა ერთობლიობა, რომელიც ჩამოყალიბდა და ვლინდება ქცევებსა და ურთიერთობებში და რომელიც აპირობებს პიროვნების ტიპიური ქცევის ხერხებს.

რეზიუმე

ნაშრომი „პიროვნების სოციოლოგია“ განხილულია პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელოვანი საკითხები და პიროვნების ქცევის მოდელები. ლაპარაკია სოციალურ გარემოზე, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანზე. განხილულია სტატუსისა და როლის ცნებები, რომლთა საფუძველზედაც ხდება ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, როგორებიცაა სამართლებრივი, განათლება და ოჯახი. ეს სწორედ ის ინსტიტუტებია, რომლებიც აყალიბებენ სოციალურ სტრუქტურას.

ნაშრომში საუბარია თუ რა გზა განვლო კაცობრიობამ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და რა ადგილით განისაზღვრებოდა „ადამიანის“ ცნება, სანამ საზოგადოებამ თავისი, განვითარების კლასიკურ ხანას მიაღწია.

ნაშრომში ლაპარაკია პიროვნების როლებრივ კონცეფციებზე, რომელიც XX ს. 30-იან წლებში ჩაისახა ამერიკულ სოციოლოგიაში და ჯონ მიდის სახელს უკავშირება. შემდგომში იგი გავრცელდა სხვადასხვა სოციოლოგიურ მიმდინარეობებში პირველ რიგში სტრუქტურულ–ფუნქციონალურ ანალიზში, რომელიც ტ. პარსონსის სახელთანაა დაკავშირებული. ნაშრომში განხილულია აგრეთვე პიროვნების ფროიდისეული კონცეფცია, პიროვნების ქცევითი კონცეფცია, მისი ქმედითუნარიანობა და პიროვნების სოციალიზაცია, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ადამიანისათვის.

აგრეთვე, განხილულია თუ რა ზეგავლენას ახდენს პიროვნება საზოგადოების განვითარებაზე, ვინაიდან ადამიანის პრობლემის მნიშვნელოვანი ასპექტია, პიროვნებად ყოფნის საკითხი. პიროვნებად ყოფნა ნიშნავს თავისუფლებას, გონიერებას, არჩევანს, გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლობას. სამყაროში მისი დამკვიდრება, მის აქტივობაზეა დამოკიდებული. მხოლოდ საზოგადოებაში იქცევა ადამიანი პიროვნებად საზოგადოება წარ-

მოაჩენს პიროვნებას, რომელიც თავისი გონებრივი შესაძლებლობებით გამოირჩევა სხვა ადამიანებისაგან.

ნაშრომში, მოყვანილია იმ პიროვნებათა ღირსებები, და დამსახურებები რომლებმაც მოახდინეს ზეგავლენა საზოგადოების განვითარებაზე, იქნება ეს პოლიტიკა, ხელოვნება, ლიტერატურა, და კულტურა.

ასევე განხილულია ის აქტუალური საკითხები, რომელებიც აკისრია თანამედროვე ქართულ ოჯახს პიროვნების ჩამოყალიბებაში. აგრეთვე საუბარია, იმაზე, რომ ოჯახი ერთ–ერთი უდიდესი ღირებულებაა, რომელიც კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე შექმნა. ოჯახი წარმოდგენილია, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, რომელსაც მართავს კანონი, ზნეობრივი ნორმები, ტრადიციები და ადათ–წესები. ამ მაღალი ღირებულებებიდან გამომდინარე, ოჯახის ძირითად ფუნქციად გვესახება, მომავალი თაობის აღზრდის, ადამიანის სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბება და საზოგადოებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის პრინციპები.

ლაპარაკია, პიროვნებისა და გლობალიზაციის არსზე, რომელიც მოიცავს, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებს. განხილულია პიროვნების როლი და დანიშნულება გლობალურ სამყაროში. მოვლენების სწრაფი ცვლილებები პიროვნებას უფრო მაღალ მოთხოვნილებებს უყენებს, რაც აისახება საზოგადოების აზროვნების ცვლილებებში. ასეთ სიტუაციაში პიროვნებას მხოლოდ გონივრული გააზრებული ორიენტაცია და მიმდინარე მოვლენების ობიექტური შეფასება გადაარჩენს.

ნაშრომში საუბარია თანამედროვე კულტურულ გლობალიზაციაზე, რომლის დამახასიათებელი ნიშნებია:უპრეცედენტო მასშტაბის ახალი გლობალური ინფრასტრუქტურები, კულტურული გაცვლა-გამოცვლის გაზრდა და დაჩქარება, დასავლური მასობრივი კულტურის როლის ზრდა გლობალურ კულტურულ ურთიერთობებში, კულტურული პროდუქციის წარმოე-

ბაში მულტინაციონალური კომპანიების როლის ზრდა, გლობალური კულტურული ურთიერთმოქმედების გეოგრაფიის ცვლილება მეორე მსოფლიო ომამდელ სურათთან შედარებით და სხვა. ეს ის ზოგადი ნიშნებია, რომლითაც გამოიხატება გლობალიზაცია, როგორც კულტურასთან მიმართებაში, ასევე კულტურის ცალკეული სფეროების მიმართაც. გლობალიზაცია თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ერთხელ და სამუდამოდ დაიმსხვრა მსოფლიოს ხალხთა მეტნაკლებად იზოლირებილი, კარჩაკეტილი, საკუთარი საზღვრებიდან გაუსვლელი ცხოვრების წესი, ამის ნაცვლად მკვიდრდება დედამიწის ყველა, მათ შორის ტერიტორიულად უკიდურესად დაშორებული ქვეყნებისა ასევე ხალხებისა და საზოგადოებების, განსხვავებული ცივილიზაციების ურთიერთკავშირი, ურთიერთზეგავლენა, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგებით.

ასევე გამახვილებულია ყურადღება იმაზე, მიუხედავად იმისა რომ საქართველო პატარა ქვეყანაა მისი ადგილ-მდებარეობა განაპირობებს აშშ-ს ინტერესს, რომელიც ეკონომიურად, პოლიტიკურად თუ სოციალურად ეხმარება ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ხელისუფლებაც ყველაფერს აკეთებს ამ ორი ქვეყნის მეგობრობისათვის. შემდგომ განხილულია სახელისუფლებო პროექტები და მიდგომები ამ ქვეყნების უფრო დაახლოებისათვის, მათი კულტურის გაცნობისათვის.

ბოლოს დასკვნის სახით მოცემულია, რომ გლობალიზაცია ჩვენი ცხოვრების ნაწილია და მას ვერსად გავექცევით მთავარია, ჩვენი ტრადიციები ენა, მამული, სარწმუნოება, ზნე–ჩვეულებები და ისტორიული წარსული ჩვენს მომავალ თაობას ვისაც ეს ხელგვეწიფება ჭეშმარიტად და საღად მივაწოდოთ. ხოლო ახალგაზრდობა თვითონ გააკეთებს არჩევანს თუ რა არის მისთვის მისაღები დასავლეთიდან და რა სპეციფიკურ და სულიერ ღირებულებებს მიანიჭოს პრიორიტეტი.

სწორედ პიროვნებებმა უზრუნველყვეს საბოლოო ჯამში მსოფლიო საზოგადოების განვითარება. და დღეს გლობალიზა-

ციის ეპოქაში უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების როლს რადგან ნებისმიერი საზოგადოების წინსვლაში მსოფ-ლიო საზოგადოება მოიაზრება.

REZUME

The key issues of interdependence of a person and society, the models of a human behavior are discussed in the work „Sociology of the person“. The scientific work deals with social environment which has great impact on man, with the notions of status and a role, on which the establishment of such institutions as legal, educational and family is based on. The above mentioned institutions form a social structure. The way passed by mankind through its centures – old history of evoiution and to what extent the notion „human“ had been defined before society reached its classic period of development are referred to.

The study examines the role conception of a person appered in the 1930s in American Sociology which was connected with the name of G. Mead. Later this concept spread in different sociological theories, first of all in the analysis of structural functionalism linked with T.Parsons.

The Freudian concept of the personality, the conception of a human behavior and his/her capability and socialization which are key characteristics for a human being are discussed in the presented work.

The work deals with the problem of personality, how a person affects society development as it is the main aspect of being personality that means freedom, consciousness, choice, decision and responsibility. The establishment of a person in the world depends on his/her activity, only in society an individual becomes personality, society promotes the person whose mental possibilities differ from people.

The study represents the dignities and merits of those persons who made a huge contribution in the development of society, whether it is policy, art, literature and culture.

Thus, we conclude that just persons have provided society development in the end and today in the epoch of globalization more attention is paid to the role of personality promoting in progress of any society in the world.

The qiver work discusses the question of major factors of development of the person. The opinions of representatives of different psychological school on development of the person and the basic signs of integration in the social environment are cited. Also the most complicated processes of development of the person are brought to the forefront in which posterity, environment, education and self-development are meant. The person by active action just becomes a member of a society.

In conclusion the purpose of education and a problem at the present stage are given. Georgia costing on a way of building of a democratic society aims to create such social environment that will promote development and creation of the free citizen, the professional and the person possessing responsibility.

The work deals with the most actual issues when the contemporary family is responsible for formatting a personality.

Family is of the values that mankind has ever created, states the presented work. Family is represented as the main (fundamental) group unit of society governed by law, norms of morality, traditions, a time – hououred customs. From this point of view up –bringins of a high – quality new gewration a creation of nealthy environment for the society are basic principles of the family.

In conclusion he issues of globalization and an individual are discussed in he presented work. The work deals with the problem of globalization which encloses economical, political a cultural spheres a the role of an individual in a global society is discussed. The democratic Georgia through civized methods and reforms tries to establish the healthy social environmeat for youth.

In conclusion, we may say that cooperation befween a family a government will warrant formation of our next generation which'll help the country's prosperity

Fast change of occurrences higher expectation for an individual, which is reflected on the changes of the society's mindset. In this

situation the individual can be saved only by a logical a smart action a objective views of current events.

The given work is devoted to the analysis of modern cultural globalization whose characteristic features are advanced global infrastructures of an unprecedented large scale, expansion and acceleration of cultural exchange, increase of the western mass culture role in the universal cultural relations growth of the furnction of multinational companies in the cultural product creation, change of the world-wide cultural interaction geography as compared with the pre-Second World War period, etc. They are general characteristics of globalization with reference both to the culture as a whole and to the culture of separate spheres as well.

Globalization clearly shows that the isolated, the more or less secluded war of life of the peoples of the world, confined within the boundaries of their own countries, has been smashed once and for all. It has been replaced by interrelationship and interdependence of all the countries of the world, including the countries which are extremely remote from each other, peoples and societies of different civilizations with thein positive and negative consequences.

Though Georgia is a small country its lay – out conditions the interest of the USA which helps our country economically, politically and socially. Our government does everything possible to promote friendship between the two countries.

The present work touches upon the governmental projects and approaches which contribute to our countries' closer relationship, better acquaintance with each other's culture.

In conclusion, it should be noted that globalization is part of our life and it is quite inevitable but it is also essential to preserve our traditions, language, motherland, faith, morals and customs, our heritage and to pass them on to our posterity and the younger generation will decide it for themselves what is to accept from the West and which specific material and spiritual values should be giver priority to.

ლიტერატურა

1. ბრეგვაძე ა., რა არის ადამიანი თბ. 1997წ.
2. ბალანჩივაძე რ., ადამიანი, თავისუფლება, პასუხის-მგებლობა თბ. 1976წ.
3. ბიბილეიშვილი ლ., ტუღუში მ. ზოგადი ფსიქოლოგია თბ. 2003წ.
4. ბალიაშვილი მ. სოციალური ფსიქოლოგია თბ. 2010წ.;
5. გოგიჩაიშვილი თ. ზოგადი ფსიქოლოგია თბ. 2003წ.
6. დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია თბილის 2003წ.
7. დურკჰეიმი ემილ სოციოლოგიის მეთოდის წესები თბ.; 2001.
8. ვასაძე ნათელა „პედაგოგიკა“ თბ. 2000წ.
9. ავტორთა კოლექტივი ირაკლი იმედაძის რედაქციით „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ თბ. 2008წ.
10. იუმი დევიდ გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ თბ. 1992წ. გვ. 95
11. კალჰუნი ქრეგ, დონალდ ლაითი, სუზენ კელერი „სოციოლოგია“ თბილისი 2008წ.
12. კასირერი ერნსტ რა არის ადამიანი თბ. 1983 გვ. 107
13. კაკაბაძე ზ., ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობ-ლემა თბ. 1987წ.
14. ლუტიძე ბ. სოციოლოგია I და II ნაკვეთი თბილისი 2004წ.
15. მალაზონია შ. „პედაგოგიკა“ თბ. 2001წ.;
16. ნარგიზიშვილი აკ., „საოჯახო პედაგოგიკა“ თბ. 2008წ.
17. ნადირაშვილი დ. ზეგავლენის ფსიქოლოგია თბ. 2006წ.;
18. ნადირაშვილი შ. პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია თბ. 1975წ.;
19. რამიშვილი ვ. „ფილოსოფია” თბ. 2010წ.

20. სანიკიძე გ., კიღურაძე ნ. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია თბილისი 2001წ.
21. უზნაძე დ. „ფილოსოფიური შრომები“ თბ. 1982წ.;
22. ჩხარტიშვილი შ. „პიროვნების სოციალური“ ფსიქოლოგია თბ. 1975წ.;
23. ჩიკვაშვილი შ. „საოჯახო სამართალი“ თბ. 1998წ.
24. ჯერვისი არტი „საერთშორისო პოლიტიკა“ თბილისი 2011წ.

Литература

1. Л.П. Гримак Резервы человеческой психики М.1987г. ст.111
2. Э. Гидденс Социология М.1999
3. Ф.Т. Михаилов Загадка человеческого Я. Ст. 166.-
4. Г. П. Мартин Шуман Х. Западная глобализация М. 2000
5. Л. Морган Древние Общество М. 1936.
6. Дейл Карнеги как приобретать друзей и оказывать влияние на людей М.1989г.
7. С. А. Удовик Глобализация М.2002
8. И. Кон.Социологическая психология М. 1999.
9. Н. Смелзер Социология М.1994
10. Г. С. Хозин Глобальные проблемы современности; М 1998
11. Н.Чавчавадзе Культура ценности Тбилиси 1984
12. Г. Н. Филонов социальная педагогика М. 1995.
13. www.google.com
14. www.wikipedia.org

შინაარსი

პიროვნების სოციოლოგია შესავალი 3
პიროვნების სოციოლოგიის გაგებისათვის 13
პიროვნების სოციოლოგიის ძირითადი კონცეფციები 19
პიროვნების სოციალური სტატუსი და როლებრივი
თეორიები.....25
ტ. პარსონსის სტრუქტურულ–ფუნქციონალური
ანალიზი.....35
პიროვნების ფსიქოლოგია 43
პიროვნების ქცევითი კონცეფცია 55
ქმედითი მიდგომა 59
პიროვნებათშორისო ურთიერთობანი 66
ოჯახის ფუნქცია და როლი პიროვნების
ჩამოყალიბებაში.....88
საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთმიმართების
საკითხები 105
კულტურისა და რელიგიის ზოგადი ასპექტები
პიროვნებასთან მიმართებაში 116
გლობალიზაციის ეპოქა და თანამედროვე პიროვნება 130
განმარტებათა ლექსიკონი 141
რეზიუმე 146
The rezume 150
ლიტერატურა 153

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge